

მარტოობა

წასვლა პილსუდსკისა...

ანუ

ბარტელი და...

„მე შემეძლო პროსტიტუტკების სეიზის გარეუვა და
ჰიასავით მისი გასრესვა... მაგრამ ეს არ ჩავიდინე
და თითონ მივდივარ“

—(პილსუდსკის ინტერვიუდან)



თუმცა საფარძლის დატოვებაზე
ვიხარები გულში და ვითუქები,
მაგრამ დროებით ჰა, „სათამაშო“
დე, გაერთონ „პროსტიტუტკები“!

„პრავდა-კაცია“

ყველა კაცია, განა კაცია?
 არის კაცია კაცურაძე,
 ცომისარივით ტანზედ აცვია
 და „უწითლესი“ არის ტურაზეც!
 გვარიც ცურვისგან აქვს შენაძენოქ
 და თუ მღვრიე წყლის ხმაც ექურება,
 მარჯვეთ უქნევენ მისნი საქენი
 ზოგჯერ თუ არ ხვდა თვით „კაცურება“!..
 თუმც არის ჭოგვრი საკუთარ ცხვირის
 და ჭერებაც თავის—ქოხის-ბანური,
 ცაციას ხელშიც მორჩილად სტირის
 ჭეშმარიტება ეს, ანბანური..
 არის „უფროსთა“ ცვლა თუ ყენება,
 რასაც განაგებს ყოვლისმძლე მასა!
 თუ იცი დროზე ენის ჭენება,
 უფროსობაზეც მიიღებ ხმასა.
 მოხდება ისიც, რომ სჯობს ყუჩიგა,
 და თუ დროდ წყალი პირს გიყენია,
 დე, იმხალღონ ყველა ქუჩებმა,
 ტკბილი ცხოვრება მაინც შენია!
 იყო კაციაც უჩი „უფროსი“,
 მაგრამ „უფროსმა“ რომ გაიმარჯვა,
 მასთან კაციაც ახლო უფრო ზის,
 იცის შესაფერ სიტყვების ხარჯვა..
 „უფროსი“ ქვეყნად რის მაქნისია,
 თუ მას მეტოქე არ ჰყავს თუნდ ცალი?
 ზურთი—დღეს შენი, ხვალ სხვისია,
 ზედ „კაციებმაც“ სდით „პირის წყალი“!..
 მხოლოდ აქ მასა რომ აიყოლო
 და თან უფროსიც მოინადირო,
 ვინმე სხვა დირის უნდა მიყოლო,
 თუ გინდა ზორბათ რომ ისადილო!
 არა უშავს, თუ სადილის კერძი
 სისხლით ან ცრემლით არის ნარევი..
 რას იქო? მაზედ სღვას ცხოვრების ღერძი,
 თან აქვს ზედ ბრუნვაც, გადასარევი!..
 სამაგვიროთ, ორი ხატის წინ
 გენთება სწორად ერთი სანთელი,
 წინ-წინ იცი, რომ არც შენ დაიწვი
 და არც ის „ნადლი“ შენი სათქმელი..
 მოხინჯავ მხოლოდ წინ-წინ ნიადაგს,
 დააკვირდები იქა თუ აქა,
 რომ არ გადასცდენ შემდეგ ლიანდაგს
 და ორკოფისაც არ გეცხოს ლაქა.
 სცნობს კაცია, რომ არის „ნაზები“!
 და თუ გასურს ერთი გიტანდეს ხაზი,
 მაშინ, კაციაც, რას ინაზები?
 საკუთარს კბილზე მოირგე ვაზი..
 თუმცა კაციას არც კი სჩვევია
 პირადი გეზი საერთო ძღვევის,
 იგი ნიადაგ სხვებს უთრევია,
 თორემ მას თავი სად ჰქონდა თრევის?!
 მხოლოდ დაბოლოს შენიშნავს იგი,
 რომ რაღაც მრეზით უცქერს მას ბევრი:
 —ვაჰ, თუ შეზომეს ეს ჩემი დიგო
 ან მიცენს, რომ ვარ უძირო ქვევრი?!
 განსაკუთრებით— ეს შემდგომ იმის,
 რა რომ კაციაშ გივს უღალატა,
 თანახმად ორკოფ კარაბადინის
 საქმის ორგულად გივი დახატა!
 გივი, რომელსაც საქმის სინაღდე
 საკუთარ თავზეც ბევრად ერჩია,
 ამისი ნიჭი, სიმხნე, სიმარღე,
 მტყუნენ,— ცეცხლი ანუ „სმერჩია“!
 კაციაშ იგი მაინც შეზხელა,
 რადგან იწოლა პირადი ზრახვით,
 ხხვა მას ფეხებზე ჰქილია, ყველა:

არ გადაპრან ყურებზე ხახვი..
 იცნობს კაცია საქმის სიძნელეს:
 კრინტსაც ვერ დასძრავს ამაზედ მასა!
 ტყვილად არ ეძებს ქურდი სიძნელეს,
 და ბნელს რომ რჩება,—არ ზოგავს ხმასა!
 მაინც იქ, გულში დარწმუნდა ყველა,
 თუ რის მაქნისიც კაცია არის!
 და საზღაურად, მოგვეცეთ შველა,
 ფასიც იცოდენ ამ „კულდა-ხარის“!
 და დაღის იგი ერთხელ კრებაზე
 ჩვეულებრივად, კულდა-ხარულად:
 ჩამოსდის ოფლი ზოგის ქებაზედ
 და ძრახვაც ზოგის მიპარულად.
 და როცა კრება გაიხსნა მართლა,
 სიტყვები—სიტყვებს აეცვა მძივად,
 კაციაშც ენის დაწყობა ფართვლა
 და ჯერ „სუსტი“ გაჰქრა ჩვეულებრივად!
 გაისმა ხალხში ხმა მოწონების:
 —რა გაბედული! რა მამაცია!..
 და მოსდევს ამას ხმა აღფრთოვნების:
 —„პრავა“, კაცია!.. „პრავა“, კაცია!..
 დასრულდა სიტყვა. მიღს კონტრ-სიტყვა.
 ჯანყი და ღელვა სჩანს დარბაზობის!
 ბევრს ის არ მოსწონს, რაც უკვე ითქვა,
 ირყევა გეზი „აზრის“ და ბჭობის..
 დგება კაციაც და იწყებს ლოდნას,
 წინანდელ გემის სჩანს, უჭირს დაწვა,
 მაგრამ „სუსტისთვის“ მანც რომ არ მოხსნას,
 ვაი, თუ „სუსტმა“ დღეს გაიმარჯვა!..
 თანაც ჩუქი ისმის ხმა მოწონების:
 —რა გაბედული! რა მამაცია!..
 და მოსდევს ამას ხმა აღფრთოვნების:
 —„პრავა“, კაცია!.. „პრავა“, კაცია!..
 და შა. უმატებს ცეცხლს კაპიტანი:
 გემის დაწვა თუ ცეცხლს აშორება?
 აქ სწორი არის მხოლოდ მიზანი,
 ხოლო ძნელია გეზის სწორება!
 მაგრამ შეტბობა ჩვენმა „ლაშურამ“:
 „სუსტი“ თუმც მართლაც იქცა ძლიერად,
 ამან კაცია უფრო გამურა
 მორალურადაც, ვით ნივთიერად!..
 ახლა ის დაღის მტკნარ შეცოდებათ,
 არც კომისრულად ტანთ არ აცვია
 და დარჩა მასზედ ზედმეტ წოდებათ:
 —„პრავა—კაცია“!.. „პრავა—კაცია“!
 ონისიში.



— როგორ გაქირი ვირივით გლეხარ? ალბად, ანლაც იმ
 საოხრე ღვინოზედა ჰგეჭკრებ!
 — სწორებს ამბობ: შენ რომ გიქქერ, სულ ღვინოზე
 და ფეჭკობ; ეგებ დარდი მაინც გადავყოლო!



— მე დღეს მოხსენებას ვეღარ ვკითხულობ, დავიღალე, ალარ შემოძლიან...
 — როგორ იქნება რეზოლუცია თქვენი მოხსენების ირგვლივ უღვე გაგზავნილია რედაქციაში სახვლით ნომერში მოსათავსებლად.

დამჭირავებელი—ძერძო დამქირავებელს

არც ვიჭადი და არც ვიკვებები, ალარ ვარ ტანჯულ ფიქრში გართული, ახლა საქმიან ფაქტებს ვებები, ძლევაშოსილი, წელგამართული. დამჭირავებელს რა უფლება გაქვს, დაქირავებელს რომ შემჯდომიხარ?!. ორმაგი სარჩო ჩემგან რად მიგაქვს? შენ მარჯვენითა ხომ არ მჯობიხარ? გირჩევ— ვასწორდი ცხოვრების ჩარხთან, ძმას არ ჩამორჩე ვაეკაცობაში, თორემ უღონო ღონიერ ხალხთან მიიღებ ავსა—ავკაცობაში. დღეს ირგვლივ ბრძოლის ცეცხლი ანთია; სამართლიანად ნაკარნახალი, შრომის უნარი: ხერხი. შანთია და გამარჯვება ახალახალი.

გიგო ხეჩუაშვილი.

„ბედნიერი დღე“

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სამსახურიდან დაუბრუნდი, ჩემი ცოლი ჩვეულებრივად „უქვიფოდ“ დამხვდა.

მე მოინდომე მისი გამზიარლება და შევეკითხე: — რაზე ხარ, გენაცვალე, ცუდ ხასიათზე? ხომ არაა ვინ გაწყენინა?

— ვინ უნდა მაწყენოს. ვითომ არ იცი, რომ ყელი მტკიავს?—მკეხებით მიპასუხა მან.

— გუშინ რომ თავი გტკივოდა, მოგირჩა?

— თავი კი არა, გუშინაც ყელი მტკივოდა.

— არა, რამდენადაც მახსოვს, გუშინ თავი გქონდა შეხვეული და კიდევაც ნემომიხივლე, რომ თავი მტკივო!

— არაფერიც. შენ აგრე გახსოვს... შენ არასოდეს არ აქცევ ყურადღებას ჩემს ჯანმრთელობას!—გაბრაზებით მიტბრა ცოლმა და თვალვებთან ცხვირსახოცი მიიტანა „ტრემლების“ მოსაწმენდათ.

მივხვდი, რომ ამ გზით მის „ტკივილებს“ ვერ მოვარჩენდი და გადავწყვიტე სხვა გზისთვის მიმემართა მომავლად, რომ მისი სახელწოდების დღე მზახლოვე ბული იყო და ამაზე ჩამოვეუდღე ლაპარაკი.

მართლაც ყოველივე ტკივილები დაავიწყდა.

ამნაირად, გაიმართა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ ჩავეტარებთა მომავალი „ბედნიერი დღე“ და რაც უმთავრესია, რა სასარგებლო შედეგები უნდა მოპოვოლოდა მას ჩვენთვის. ამ თათბირში რომ ვიყავით, უცებ გაიშა კარების კაკუნი.

— მოზრანდით!—დაუუძახე მე და ოთახში შემოვიდა და ჩემი თანამოსამსახურე პეტრე.

— კაბიტონ, გაიგე, რომ ჩვენს დაწესებულებაში შტატების შემცირებას აპირებენ? მომმართა მან შენ მოსვლისთანავე აღუცხადებულის ხმით.

— მერე შე რა?!

— როგორ თუ შენ რა? განა შენც ჩემს დაწესებულებაში არ მსახურობ? განა შენზე კი არ შეიძლება გავრცელოდეს შემცირება? ხომ იცი, რომ ცოტა ზარმაცად მოაჩნება.

— ერთნდა! აი მალე ჩემი ცოლის სახელწოდებში დღეა და... აქ მომავლად, რომ უადგილო იყო ჩემი იმედის გამოთქმა და სიტყვა ჩავსალაგე.

— და არ გინდა ხასიათი გაიფუტო ცოლის დღეობის წინ? — ირონიის კილოთი დაამთავრა ჩემი სიტყვა პეტრემ, რომელიც თავისებურად „მიმიხვდა“ აზრს. — მე კი მეგონა, რომ შენ უფრო სერიოზულად შეხედებოლი ამ არა სასიამოვნო ამბავს და ერთმანეთს რჩევა-დარიგებას მიესცემდით, როგორ ავიცილიოთ ეს უბედურება!

— მე არავითარი დარიგება არ მჭირდება. მე თვითონაც მშვენიერად ვიცი ჩემი საქმე!—უპასუხე ამაყად, —რა სულელია.—გავიფიქრე. როდესაც პეტრე გავიდა და ისევ ჩემს ცოლს მიუბრუნდი.

— მაშ აგრე, ჩემო კარგო... წელს შენ სახელწოდების დღესთან ვაკავშირებთ შემდეგ მიზნებს; ვარლამ ნიკოლაევიჩის ჩვენს ოჯახთან დაახლოვება, როგორც საქირო კაცი; ჩემი თანამდებობის გამოცემა მერჯავიკრიან თანამდებობაზე; შენთვის სამსახურის შოვნა... მაშასადამე, უნდა დავებარეთ...!

— ჯერ მოიცა, დაგვიწყდა, რომ გრიშა (ცოლის ძმა) სამსახურში უნდა დავაყენოთ? მაშასადამე, ხომ იცი?... ამის გარდა მართუიას (მისი და) თავის პირველ ქმართან საჩივარი აქვს...!

— მერე?

— მერე და ის, რომ საქიროა სათანადო ხალხის „მოთაფვლა“, რომ საქმე იმის სასარგებლოდ დამთავრდეს. აგრეთვე ვალიკოს (ცოლის ბიძაშვილი) სჭირდება დამარება; ხომ იცი, გაფლანგვა მპრალდება; მაშასადამე.

აქც პურ-მარილია საქირო. აი ახლა ჩამოვთვალეთ ვის და ვის ვპატიუბთ.

— კარგი, ჩამოვთვალეთ!—დავეთანხმე მე და დავაწყე სიის შედგენა.

— რამდენია სულ?—შემეკითხა ცოლი, როდესაც დავამთავრე ყველა „საქირო“ ხალხის ჩამოთვლა.

— ნათესავების გარდა ოცდა ათი. ამას უნდა დაეუმატოთ ჩვენი დაწესებულებიდან ჩამოდენიან დაბალი თანამშრომელი... ხომ იცი, არჩევნებია... რამეა; იმათთანაც უნდა მივიძღვოდეს პურ-მარილი;

— ჩემის აზრით ეს უნებრულოა... აბა, როგორ შეიძლება რომ გამგეს, მის თანამშემწეს და კიდევ სხვა წარჩინებულ პირებს დაბალი თანამშრომლები მოუხსნა გვერდით? ულამაზო იქნება. სირცხვილია.

— არა უშავს რა, ჩემო კარგო, ასეთ შემთხვევებში შენ მშვენიერად იცი ხოლმე საქმის გამოსწორება, გამგის წინაშე ბოდიშს მოხიდი და ეტყვი, რომ ჩემი ქმარი ასეთი გულყვითელი კაცია რომ...

— ვიცი, ვიცი... კაი აზრია. ერთხელ ძლივს გამოსთქვი ჭკვიანური აზრი — დამეთანხმა ჩემი ცოლი, რაც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩემს ცხოვრებაში.

— მაშ ასე, სულ ნათესავებიანად ორმოცდა რვა სული გვეყოლება. საკმარისია.

ამნაირად სტუმრების საკითხი ამოვწყურეთ და შევეუდგეთ ხარჯთ - აღრიცხვის შედგენას. ჩამოდენიან ხნის ცნაობის შემდეგ გამოირკვა, რომ სულ ორასი მანეთი იყო საქირო „ბედნიერი დღის“ ღირსეულად ჩასატარებლად... მერე რა ვუყოთ... ორასი მანეთი რაჲს მიქვიააჲ; სახელწოდებებს დღეა!

როგორც იყო, ძლივს ვაი-ვაგალაბით, ორმოცდა ათი მანეთი ჩვენი ბიუჯეტიდან გადავდეთ, დანარჩენი კი ვისესხეთ იმ იმედით, რომ „ბედნიერი დღის“ შემდეგ სულ ადვილად გადავიხდიდით ამ ვალს. რა არის დაწესებულებისთვის 150 მანეთი? არაფერია მივიღებო, ავანსი, „ნაგრუჭა“, „სვერხუსროჩნი“, საჩუქარი, კომპენსაცია, და რა ვიცი რამდენი საშუალება აქვს დაწესებულებას თუ გამგემ მოინდომა. მოინდობდა კი ჩვენს „ბედნიერ დღეზე“ არის დამოკიდებული.

ასე თუ ისე, „ბედნიერ დღისათვის“ ღირსეულად შოვემზადეთ. სტუმრებიც თავის დროზე დავპატიუებთ და გულის ფანქვალით მოველოდით ამ დღის გათენებას. გადიოდა დღეები და ჩვენი მოუთმენლობა თანდათან იზრდებოდა. ამასთან ერთად იზრდებოდა ჩვენს დაწესებულებაში შტატების შემცირების შესახებ ჩურჩული. თანამშრომლებთან შორის რაღაც არაჩვეულებრივი ჩემი ქოთ-ქოთი ემჩნეოდა. მე კი ყურსაც არ ვიბერტყავდი და მთი ალიაქოთზე გულში მეცინებოდა:—რა უწო, რა საწყაალი ხალხია ჩემსავით კი ვერ მოახერხებენი?!

როგორც იყო ვეღირსეთ „ბედნიერ დღის“ გათენებას. ო, რა ბედნიერი ვიყავი იმ დღეს!... მთელი დღე სულ ალერსში და მზიარულებაში გავატარეთ. სიკაცობით სავსე ჩემ ცოლს ყოველივე „ტყვიულები“ დავეწყებოდა და მზიარულად დაცქრილობდა სათოლი გაპრილობულ იატაკზე... აგერ, სტუმრებმაც თანდათან დაიწყეს მობოძანება... რა მშვენიერებაა!... ცოტა ხანაც და ჩემს მშვენიერად გაწყობილ სუფრას ორმოცდა რვა სტუმარი შემოუჯდებოდა. მერე როგორი სტუმრები?! მაგრამ, რაზაა საქმე, რომ ჩვენ გამგემ დაიგვიანა? სხვა „საქირო“ სტუმრებიც რომ ჯერ არსად სჩანან? ჩემ ცოლს მოელოება ვერცა.

- თქვენ გამგემ რათ დაიგვიანა?
- არ ვიცი ღპერთმანი... მე ვშიშობ რომ...
- რაო? რას შიშობ?
- მე ვშიშობ რომ იქნებ სულაც არ მოვიდეს
- რატომ?

— რა ვიცი რაი ეგებ ყური მოჰკრა, რომ დაბალი თანამშრომლებიც მყავს დაპატიებულნი და იმათ მოუხიდა.

— კი მაგრამ დაბალი თანამშრომლებიც რომ არსად სჩანან?

— ალბად იმათაც ყური მოჰკრეს, რომ გამგე იქნება და იმას მოერიდენ.

— ხომ გეტუბნებოდი მათი დაპატიება საქირო არ არის მეთქი! არ ვიცი პირდაპირ რა გიწოდო ასეთი ჯიუტობისათვის... ვირის თავი ხარ, ნამდვილი, ვირის თავი!

ისევ ცრემლები. ამგვარად ეს „ბედნიერი დღე“ ჩემთვის უბედულად დღეს გადაიქცა.

აფსუს, ორასი მანეთის პრავიზიაც, აფსუს!.. თავი და თავი სტუმრები არ მოვიდნენ და ვილაც ვიგინდარებს დარჩათ გასაძიგნად, აფსუს!

მეორე დღეს სამსახურში რომ მივედი, ქეფისაგან გაბრუნებული თავით, მაშინვე გავიგე, რომ შემცირებაში მოვეყოლივარ.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩემს ცოლზე, რომ... გაამეცა.

— როგორ შეიძლებაოდა ისეთ ადამიანთან ცხოვრება, როგორც შენა ხარ! შენ ბატისტინავ, სტუმრების დაპატიუების შნოც კი არა გაქვს!—ასეთი წერილი დამიტოვა მაგიდაზე.

დღეს თუ ხვალ სასამართლოს აღმასრულებელი მოადღებდა კარზე სახლის ავეჯეულობის გასაყიდათ „ბედნიერი დღის“ შესახვედრად აღებულ ვალის გასანაღდებალად.

ახლა კი მივხვდი, რომ ჩემი ცოლი მართლს მეუბნებოდა: „ვირის თავი ხარ“-ო. თუ ვირის თავი არა ვარ, დავტყულიყავ ჩემს ტყავში! ფდებულებიყავ ჩემთვის არხეინად!

ვაი, ჩემო ორასო მანეთო; ვაი, ჩემო სამსახურო ცოლო, სახლის ავეჯეულებზე...

„ბიოტე“.

„ჭ მ რ ი“



— ამბობენ, რომ შენ თამროს მამას დაუფორებიაჲ კიბიდასი.

— მე-ე? რას ამბობ, უაცო!? კორია, სისულელეა!


— მაშ, ტყუილია?

— რა თქმა უნდა, ტყუილია! თამროს მამამ მხოლოდ ხელი მკრა, კიბეებიდან კი მე თვითონ ჩამოვგორდიო.

დიალღობი აბაკაკჷე

ანუ

პირამთენი „პირადი მდივანი“



ბიუროკრატი (თავის პირად მდივანს): — აი, ზომ ხელად იმ ძროხას მზეში როგორ წევს! პირუტყვი, მართ-
 ლაც რომ პირუტყვია, თორემ, რომ ის ვიყვი, აგერ ჩრდილ ში წამოვწვებოდი არხეინად!
 პირადი მდივანი: — რა თქმა უნდა, თქვენ რომ ძროხა ყოფილიყავით, გაცილებით უფრო მეტი ჰკუა გეკ-
 ნებოდათ!

სიზმარი ცხელს

ბევრი კარგი სიზმარი მინახავს, ბევრი კარგი სანახაობა მოჭყენებია, მაგრამ არა დროს ამის მსგავსი არაფერი განმიცდია. როგორ დაეწევი, როგორ ხასიათზე ვიყავი, რომელ გვერდზე ან როგორ დამეძინა ეს აღარ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ ის, რომ სიზმარში ვარ. ბევრი რამის ნახვა შეიძლება. სწორედ სიზმარში და მეც აი. ესაბე ერთი კაბინეტი. რომელიც თურმე ერთ დიდ კაცს დააცლევინეს, მე ჩამაბარეს და ერთბაშად დიდ ყაყად გამზადეს.

სიზმარში, რა თქმა უნდა, ასეთები შესაძლებელია. პირველად ვითომ მეც დაეწევი ერთოვლი მუშაობა. დღიან-ღამიანად არ ეშორდებოდი კაბინეტს, ვითომ პორტფელიც მომცეს, ავტოც მყავს. ბინაც გამომიცვალეს, ხელფასი, აბა, ხომ გამოიღიდეს. მეც წყნარად შევეჩვიე ჩემს თანამდებობას, ყოველდღე ავტოთი დაენგარობ, ამხანაგებიც გამოჩნდნენ: დიდ „სტაჟიანი“ ამხანაგები, ძველი სპეცები, ახალგაზრდა ტენიკოსები, დღიან თანამდებობის პირები, ლამაზი ქალშვილები და, ერთი სიტყვით, ისეთი პირები დამიხსლოდნენ, ვითომ, რომლიც უწინად ვერც კი მაქმნევდნენ ქუჩაში.

ყველაფერი კარგია, სიზმარი რომ არ იყოს— ვფიქრობ მე და არ ვინძრევი, მინდა უფრო დაღხანს მეძინოს და სიზმარი გაგრძელდეს.

ასეც ხდება, სიზმარი თანდათან ვითარდება და უკეთესი და უკეთესი რამეები ჩნდება. ცაი და ქვეყანა მე მაქვს, ქალები ჩემი გაცნობისათვის მისერს იტყუნენ, გაცნობილები ერთბაშად სწამლავენ. ჩემი ცოლი ცხელი ცრემლებით სტირის და ნატრობს ისევ იმ დროს, ლაფათებით რომ ვმუშაობდი.— „ნეტავ, ეხლაც ის უბრალო მუშა იყოვ“,— იძახის.

აი სად მყოლია მტერი, — ვფიქრობ მე, — ჩემი ცოლი ჩემი მტერი ყოფილა! ჩემი კარგი თანამდებობა შემურს. შეილებიც რომ აიყოლია! — დიდოვო მუდამ სტირის, შენ რომ სახლში არ დადიხარ ლამ დაზით სხვა მალებში დადისო ამბობს. დაანებე, პაპიკო, თავი დიდკაცობას, წადი, ხაოლში იმუშავე, იმ პატარა ოთახში გადვიდეო ისევ, ისევ იქ სჯობია. დედიკო არ იტირებს მაინც — მეუბნებიან შვილები. მათაც არ მოსწონთ ჩემი დიდკაცობა. კიდევ კაი, რომ სიზმარია, თორემ ხომ დაეწყებდით ყველას.

მდგომარეობა ვითარდება. მიჩვენენ და მიჩვენენ ახალ-ახალ, მაღალ-მაღალ თანამდებობაზე და მიმაქმნებენ შევით. ვის ანახავს ოჯახი; ცოლი და შვილი? საქმეში ვარ გართულა, დღი-



გამგზავნი ცოლ-ქმარი:— უპ, უპ, რა საძაგელი შმორი სხდასი
სანიტარკომისიის წმმარი:— თითქოს არ იცოდნენ ქალაქის ქუჩის უღაპურობა... ძლივს სურნელოვანი სოკოები გამოჩნდილან და ესენი კი ამაჟადა ცხვირებს ზევი სწევენ.

სით ავტოთი დაეკრი, საღამოს ეტლით ქალაქის მივარდნილ კუთხეში საქეიფათ.

— ნეტავ, ცხადათ იყო— ვფიქრობ მე და განვაგრობ ხვრინვას.

ცოლი ერთბაშად შემთხვევით ქუჩაში შემხვდა, სტორდა საცოდავი, მომგარდა, ბავშვებიც თან მომაყარა:— არ მინდა შენთან ცხოვრება, გამიშვი, გამიშვი, მიეცი ბავშვებს საზრდო, აი, აგერ ზაქსი, შევიდეთ, მომცილდი, ისტოვრე, როგორც გინდოდეს, — სტორის მაგრამ ჩემ გულს სრულებით არ ხვდება, ან კი როგორ ვივარძნობ სიზმარში რასმის.

— თუ მომშორდები, არც მე მოვიკლავ თავს— ვუთხრები მე და ზაქსიში მივდივართ.

სტეფანე მეგობარი კაცია ჩემი და მეხვეწება: ნუ გავეყრები ცოლს, არ ვარგა, შვილები დაილუპებიან. არ უნდა ჩვენი გაყრის ქაღალდი დასწეროს რამდენს არ ცდილობს, შემარიგოს ცოლს, მაგრამ თქვენც არ მომიყვდეთ. რაა სტეფანე ვინ კითხავს მას? წინადადებას ვაძლევ სასტიკს და ისიც, ძალიან ნაწყენი, ისიც ძარულებს ჩემს სურვილს.

მცილდებიან ცოლი და ბავშვები. მართალია, გულმა რაღაც კი იგრობო ტკენა, მაგრამ სიზმარია, რა ვუყოთ მერმე!

ორი დღე და იმავე ზაქსიში ელენე მიმყავს და შერითების ქაღალდს ვაწერო ხელს.

ელენე გაციფებით უკეთესია ჩემს ცოლზე, ნამდვილი შესაფერი ჩემი თანამდებობისათვის.

ქორწილი დიდებული გადვიხადე. ყველა „დიდი კაცები“ მყავდა დაბა-

ტიკებული, — რა კარგია ეს ცხადად ხდებოდეს! ვფიქრობ მე და განვაგრობო დროს ტარებას.

კარგია ასეთი სიზმარიც!..

უცებ კიდევ შეიცვალა მდგომარეობა, ელენეც მომცილდა, ქეთოსთან წაღაპარაჟდა.

— ჯანდაბას მისი თავი! ქეთოზე დაეწევი ჯვარს. იმავე ზაქსიში ქეთოსთან შევეუღლი.

ძველი ცოლი და შვილები აღარც მახსოვს. ერთ დღეს ავტოში მჯდომი დამინახა პატარა ჩემმა გოგონამ. „პაპაო“ — შეიძახა და ავტოსკენ გამოიქცა. მე ავტო არ გავაჩერებინე შოფერი, მაგრამ ბავში წინ დაუღდა ავტოს და მოუტერმაც ავტო გააჩირა, ბავში ჩემთან მოდიოდა. უნდადა პო მხოვოდა, მაგრამ მე მის ფულეები მივეცი და მოვიცილეთ. რომ მიდიოდა ტირილი დაიწყო, მაგრამ მე ყურადღება არ მიმიქცევია. ქეთოსთან მივიჩქაროდი ავტოთი.

რას არ იზამ თურმე კაცი სიზმარში. ერთი უბრალო მუშა ვიყავი და სიზმარში კი ვეფებრთელა ვინმე გავხდი.

მივჭკივარ წინ და წინ. გზასაც ვერ ვგებულობ. ფულეები გამომაქვს და გამომაქვს. საღარი ორი სამი დგას ჩემს სამფლობელოში. ქაღალდი ბევრი მიწყევია მაგიდაზე — და წითელ მელანიც საკმაოდ მაქვს, ვწერ: „მომეტეს“ — თქვა და მეც შეძლევა. მეტო რაღა მინდა!

სავარაკოთაც გამგზავნეს, თვარია კი ხომ სულ ჩემი გახდა, რა ვინდა სულ და გულო, რომ არ მაქვს. სიზმარი და ასე ნანგრძლივი აღარ მიხნახავს.

გ ო ს დ ე ნ ი ლ ი „ მ ა ნ ე ვ რ ი “



— ცოლი გავგზანე მთავე წულეზე!
 — ასეთი, განა, რა სვირს შენს ცოლს? ჯანმრთელად გამოიყურება?
 — ის კი ჯანმრთელია, მაგრამ მე ვარ ავად და მინდა ცოტათი მაინც მოვიხვენიო სახლში!

აგარაკიდან რომ დავბრუნდი რა დას არა ხალისიანად შეხედენ, ვითომ გაზეთებშიც სწერდნენ ჩემზე. გამახსენდა ჩემი მულშკორობა, როცა მე სხვებზე ეწეროდა. გამეკინა. სიზმარშიაც მაგონდება გაზეთი. არაფერი — ვამბობ მე. საკანტროლო კომისიაში მიბარებენ რალაცაზე — ალბად, წყალს მიყენებენ!.. საგანგებო კომისიაში რალაცა საქმეები შექმნილა.

— სულელები — ვფიქრობ მე, — ერთს გადაებრუნდები და, მოგკამათშირი, გამოუმეღობება კიდევაც! ბრალდებები წინაშე დაუზადებული ჰქონიათ: სად რა დამიბარჯაეს. ყველაფერი იციან თურმე. — აწი დროა გამოვიღებო, თორემ ამ ტუბილ სიზმარს წამაშვარებენ, ვფიქრობ მე. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: ვერ ვიღვიბებ.

საგანგებო კომისიის აგენტებმა ჩემივე კაბინეტში დამაპატიმრეს.

— უკაცრავად, ვერ მოგართვით, მე უბრალო მუშა ვარ, აი ეხლავე გამოვიღვიბებ და ნახავთ. ვეუბნები მე.

— ჩვენ გამოგაღვიბებთ, მეუბნება ერთი. — მაშ, კარგი აბა, ნახავთ — ვუთხარი ვითომ მე და, რაც ძალა და ღონე მქონდა, გავიქეცი. უკებ რალაცამ დაიქეჭა და მე გარბობა — დაკარგული დამეკითხა... რამოდენიმე ხნის შემდეგ, მართლაც გამომეღვიბა. თვალები მოვიფშვინებ, თავი წამოვწვი და მივიბედ-მოვიხედე.

— ალათიავ, ერთი წყალი მომიტანე, ქალო — დავიძებ მე. ვილაცამ წყალი მომიტანა, მაგრამ ეს ჩემ ცოლს ალათას არ გავდა.

— ღმერთო დიდებულო, სადავარ, ნეტავ? — ვთქვი მე.

— თქვენ საავადმყოფოში იმყოფებით — მითხრა თერაპეტი შემოსილმა ქალმა.

— რა? საავადმყოფოში? — გაეკვირავე მე და ადგომა დავაპირე, მაგრამ ცალი ფეხი ვეღარ ავწვიე.

— არ წამოიწიოთ, გაენებსთ — მითხრა იქავე მდგომმა მილიციელმა.

— თქვენ რა გინდათ აქ? — შევეკითხე მილიციელს.

— მე თქვენ გადაიჯობთ. —
 — მე? მე, რა მჭირს სადარაჯლო? — უფრო გავიკვირე.

— თქვენ პატიმარს ხართ. გუშინ მილიციამ დაგაპატიმრათ, თქვენ გასწივეთ ზოინდომეთ გაისროლეს და დაიჭერით ფეხში — მითხრა მილიციელმა.

— მე დამაპატიმრეს? მე? რისთვის? რათა?

— ეს თქვენ გეცოდინებათ უფრო — მოკლეთ მომიგო მან. — ალბათ, გადაამეტეთ ქეიფობაში.

— ის ხომ სიზმარი იყო, ის ხომ ძეგლში იყო.

— დიახ, დიახ სწორედ სიზმარს იყო, — დაცინვით სთქვა მილიციელმა და გაჩერდა.

ალარ ვიცი, სად ვიყავი. ეხლა ვიყავი სიზმარში თუ მაშინ, მხოლოდ, როცა გამომძიებელმა ყველაფერი, რა საც მე სიზმარში ვნახულობდი, ზეპირად მიამბო და ისიც დაუმატა, რომ მე გამიფლანგაეს 50 ათასი მანეთი, მაშინ კინალამ შევიშალე.

— მაშ სიზმარი არ იყო ეს? — შევვკითხე გამომძიებელს მე.

— თქვენთვის ალბად, სიზმარს იყო და ჩვენთვის კი არა, — სერიოზულად მითხრა მან და დაკითხვა დამიწყა. მეც ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, რაც იმ სიზმარში ვნახე და ბოლოს დავასკვენი, რომ მე ყველაფერი ის სიზმარში ჩავიღინე.

მეორე დღეს ჩემი ცოლისაგან ჩემი გოგონას ხელით რალაცა საქმელები მხვილეს. თან პატარა წერილიც იყო.

— მომწერე, რას სკამ? მაქვს თუ რა ბრალი მიგინდის? შევხვეწები ცასა და ქვეყანას. მოხლბეზე ვაყოლებ ყველას, შევხვეწებ ჩემ ბავშვებს და იქნება მათი სიცოცხლის გულისთვის შეგიბრალან, თუმცა მგებს ღირსი არ ხარ. მართალია, მომიძულე, მაგრამ მე მაინც ძველებურად მიყვარხარ, შენი ყოფილი ცოლი ალათა.

— ნუ თუ მართალი იყო ყველაფერი? — ვთქვი და მოვირტყე თავში ხელები.

სალამის ორი პატარა წერილიც მივიღე.

— ნულარ ფიქრობ ჩემზე. მე და თიკოს გავყვევი ქეთო. — ეწერა ერთი ში.

ახია შენზე ყველაფერი ილიკონსთან კარგად ეცხოვრობ. ჩაძაღლიძე ღროზე ელენე — ამოვიკითხე მეორე ში.

ყველაფერი გასაუბნი ვახდა.

ეხლა კი მინდა ვიყო სიზმარში და გავიძებნა შემეძლოს, მაგრამ ისეთ ადგილას ვარ მოთავსებული, რომ თქვენი მტერი არა მტერი, მე თქვლან მზის სხივი არ მეღირსოს.

ასეთი სიზმარი ვნახე ცხადად მე.

ღ ა მ ა

პ რ ო ს ტ ი მ ო უ წ ი ი ს ა ლ ა

— ჰერი-შა, შენ რაებს ამბობ,
 აბა რომელს დაგიჯერო!
 დამაცადე, მსურს ვილოცო
 და პირჯვარი გადვიწერო.

ისევ ქრისტეს და მამა ლეონს
 ვსთხოვ განსაჯოს თქვენი დავა
 შეილო ჩემო, თორემ საქმე,
 როგორც ვატყობ შორს, შორს წავა!—

არქიელმა ასე უთხრა
 მამა პროკლეს, მაშინ როცა
 პროკლემ იმას საჩივართი
 მიაკითხა, მიულოცა.

ფოკლე პროკლემ როგორც იყო
 დიდი შრომით მოიცილა,—
 მაგრამ ბედათ სამრევლოზე
 მას ნიკანდრე შეეცილა.

იმ ნიკანდრეს, იმ თვალ-დამდგარს
 პროკლეს მრევლი მოეწონა,
 მღვდელმთავართან მსუქან ძღვენით
 საქმეს თავი მოუქონა..

მაგრამ პროკლე ფზიზლად იყო,
 არქიელთან გაჩნდა მყისვე
 და ნიკანდრეს ნაცვლად მრევლში
 მოძღვრად დარჩა ისევ ისვე.

ნიკანდრემ კვლავ გაადრდა
 მღვდელმთავართან მისაზიდი,
 პროკლემც ზიდა „მოსაკითხი“;
 ხურჯინები დიდზე— დიდი,—

მაგრამ საქმე არ გადაწყდა
 აღარ შორჩა მათი დავა.
 არქიელმა ძღვენის ჭამა
 არ ქნა, აღარ გაათავა.

და, შა იმ დღეს, არქიელთან
 ჰქონდა პროკლეს საუბარი,—
 სთხოვდა ეთქვა საბოლოოდ
 მისთვის ან „ჰო“, ან და ვარი.

არქიელი (ზევითაც ესთქვითი,
 ჭანემზადა მარხვად-ლოცვად,
 (საქმე მართლაც რთული იყო
 გასარჩევი, ჩვენში რომ ისთქვათ).


ძღვენს არცერთი არ აკლებდა
 შემწვარსა და მოხრაკულებს;
 სახარების ქვეშაც ხშირად
 პოულობდა ხოლმე ფულებს;

აბა რომელს მიმხრობოდა
 წმინდა მამა, არქიელი,
 რომ არავის გაეკიცხა
 შემდეგ მისი საქციელი?!


არქიელმა ილოცა და
 ასე უთხრა პროკლეს პოლოს:
 „თქვენი საქმე შემდეგშიც რომ
 არაფერმა დააბრკოლოს,—



არის საჭირო ცნობა
 ამ კრების დღის წესრიგის:
 მეძაობ-ლოთობასთან
 მებრძოლთა შექმნა ლიგის.




როგორც უველანი, ლიგის
 სანდროც გახდება წევრი.
 ივლის სპეტაკად შემდეგ,
 ვით ცალიერი ქვევრის..




სამიციანოში ერთხელ
 მთვრალს წააწყდება სანდრო.
 უყვირებს:—ტყავს გაგაძრობ!,
 დაგიდგათ ლოთებს სხვა დროს.


ლთმბუს ვინააღმდეგ



მთვრალი ეძახის სანდროს—
შესვას ჯერ რთი ჭიქა...
მოლბა ხათრისგან სანდრო,
ჩაჯდა და... ჩათვრა იქა...



ღამეა. მოლის სანდრო:
ხედავს—საეჭვო ქალის...
გზას გადაუჭრის:—შესდეგ!..
რამ აგირია ეული?!



ღელავს, მრისხანებს სანდროს
ის ხომ წვერია ლივის.
ქალს აპატიმრებს ბოლოს
და... შინ თან მიყავს ივის!

სინამბრო.

მე ამ რიგად შთამაგონა
ღმერთმა. შეილო, თვის განგებით;
პროვლში უნდა გამოხვიდეთ
თქვენ ორთავემ ქადაგებით

და რომელიც უკეთ იტყვიო
იმ დღეს თქვენში ქადაგებას.
ის დარჩება, ვერვინ შესძლებს
შიმდეგ იმის გადაგდებას.



არქიელი თვით დაესწრო
ორი მღვდელის პაექრობას,
(ხალხიც სეირს უყურებდა:—
ნიკანდრეს და პროკლეს მტრობას)..

დაღვა წირვა. პროკლე ღმერთს სთხოის
რომ ნიკანდრე დაამუნჯოს...
ნიკანდრეც მას შეჰლაღლებს
პროკლე მღვდელი გააფუქოს.

შვა წირვაზე პროკლეს ერგო
თქმა პირველად ქადაგების.
შიშით ტანში გააქრკოლა
(ეშინია გადაგდების)

მოიკრიფა ძალ-ღონე და
როგორც იყო იქადაგა
(ვინც უყურა, —პროკლეს ცოდივით.
დაიწვა და დაიდაგა).

პროკლეს შემდეგ მამა ნიკანდრის
სიტყვა— თაფლი წამოსდინდა
(სიტყვა:— თუ ველარ გაიმპარჯვი,
ნიკანდრ, ყოფნა ნულარ გინდა)

ჰქუბს და ღელავს მამა ნიკანდრ
საყდრის კედლებს აზანზარაო!
მკერმეტველობს, ხელებს აწენვს,
და თან წვერებს აცანცარებს.

ცდილობს, ოფლში იწურება
ნიკანდრ მამა და ოჰ! ღმერთო..
ხედავს რომ გლუხს ც
თვალებიდან (ჩემლის ღვართ).

მყის მივარდა არქიელთან,
უთხრა :—ხედავ მღვდელმთავარო?!..
გლუხს გულიც კი აუყურე
მე არ უნდა ვიმომღვარო?



გლუხს რომ ჰკითხეს რად სტიროდა
ასე ახსნა ცრემლთა დენა:
—ეჰ, ჩემი თხა, მეწველი თხა
ტყეში რომ არ გამეღენა!..

ღღარა მყავს აწ ბეკეა,
გულში მგელმა შემიქამა;
ისიც იყო წვერ-ცანცარა,
როგორც ჩვენი ნიკანდრ მამა!

ეს სიტყვა გლუხმა და სიმწრისგან
ჩაეშა ხელი წაიშინა...
სიტყვით არქიელს იმ სამყოსში
მღვდლათ ვინ უნდა დაეჯინა?

სოზიკა.

შეითხვე ლოტოზე

ტრადედია | ნაწილად წაუფეთა ცხოვრებიდან

თქმულება არის: „თუ ვსურს ფრთებს გამოაბამ აქლემს“.
„თუ გწყალობს ღმერთი, მაშინ ეშმაკი რას დაგაკლებს?!“

(ღმერთად ვგულისხმობთ — გამგეს. ეშმაკად — ადგილკომსაჯ უკანასკნელი მუღამ პირველთან აგებს რომსა).
—

და მოველინა ლოტოს, ლოტოს პირველსა ნომერს, თანამშრომელი ქალი, შრომ-ბირჟა ვერ სცნობს რომელს.

(ან როგორ უნდა სცნობდეს! — იქ არ მისულა ჯერ ის... და ადგილკომი(ც) გამგის დულუქზე ცეკვობს, მღერის).

ეს არაფერი... მაგრამ... ამ ქალს შეეშინება ხათა: კინალამ გაუხადეს თავი მას ერთხელ რეათა.

მონაგარიშის ცოლი ესტუმრა ქმარს ლოტოში. წააგო რაც კი ჰქონდა მას რედიკულში გროში...

უცბად ის ებღღვნა თმაში თანამშრომელსა ქალსა; ზვირ-პირში ჩაჭკრა მუშტი სდებდა შემდეგ ბრალსა;



— მე დაგინახე, რომ შენ ჩემს ქმარს უქენი თვალი. შენ მოგიხდებოდა ასე... მიიღე ეს წამალი!

და მან ცხვირიდან საწყალს ადინა სისხლი — ძმარი... ხედავდა ამას ყველას გაშეშებული ქმარი...

ხედავდა ამას ყველა შეიჭნა იქ განგაში; არავინ არ იცოდა თუ საქმე იყო რაში.

მომქმედნო; გრიგოლ — სტუდენტი; ეფროსინე — დედა. ესიკა — მამა გრიგოლის.

ესიკას ოთახი. (რომ არ აეშენებია მისი შვილის პარკონს კარგი იქნებოდა).

ეფროსინე — (შვილის ლოდინში ფერთხავს მტვერი ხავეის შესაგებებლად). უი, მას კი დენაცვლოს დედა. უწოდებ დღეს ჩამოვა ჩემი ნასტაველი ცხრა კლასიანი სტუდენტი. უი, რომ ექნება ქორთვი განზე და უკან ფრონცკით გადაბარცხნილი... ბარე ორ გოგოს გოუჩენს გენიას — მარა ნი პირი; პირი არ დასწევას არავის. რო ჩამოვა ჩემი შვილი, მაშინათვე სამსახურში დადგება. სოფელში აღმასკომის თავმჯდომარეთ ეორჩევენ. ქეა ახლა, გადარჩევიები, ნენავ; მგონია ქე მოდის! (გაიხედავს) უიძე, შენ გერაცვალო შვილო.

ბამოსვლა I-ლი: ესიკა და გრიგოლი

(ანუ, ახ ტრადედია, მზათ გქონდეთ ცხვირსახოცი). ესიკა. (შემოყვება შვილს): — ა, მევიდა შენი ცხრა კლასიანი შვილი...

ეფროსინე: — უი, გაგისკდა მიწა, შენი არა თუ? რაფერ ფიქრობ, ყაძახო, ექვი გეპარება?

ესიკა: — კარგი ახლა, პო, (იგრძნო ტრადედია).

გრიგოლ: — გამარჯობათ დედაჩემო (ბრძნულ-სიძია-ტით).

ეფროსინე: — გაგიმარჯოს, ნენავ, გენაცვალე (კოკონის).

გრიგოლი: (ჯდება): — სხვა, დედაჩემო, როგორ არის საქმე. ყეტომ — ამ სელსოფელში...

ეფროსინე: — გენაცვალოს ნენა, ყოლიფერა კარგათ არის. აწი მალე გადარჩევიები იქნება და...

გრიგოლი: (აწყვეტილებს): — მე მაგას არ გეკითხები — არის აქ კლუბი. თეატრი? იმართება — კონცერტები, კონცერტიული განყოფილებები, ოპერები, ოპერნი არტისტები?

ეფროსინე: (იგრძნო ტრადედია, ვერ მიხვდა) — პო შვილი, კონცერტი არა და ღომის ლოპერა, რამდენიც გინდა — შეტს რას ვაკეთებ...

გრიგოლ (შეწუხებით): — ნუ ბრასაი, დედაჩემო. მე სხვას ვამბობ: აქ იმართება სიმღერები?

ეფროსინე: — პო შვილო, გააყრუეს ყურები გოგონებმა...

გრიგოლი: — არ მოგწონთ? ალბად არ იქნება ისეთი, (ტრადეკულად): ახ, კავდა სპამინაიუ, დედაჩემო! ოპერა ეს არის მუსიკალური ლაპარაკი. ის დასწერა ვინცბამ...

ეფროსინე: — რათ გინდა, შვილო, მუშეკით ლაპარაკი, ენით დეიქერ ყველას...

გრიგოლი: — იმათ მიონდა, დედაჩემო, რომ მე თვით ოპერისტი ვარ, შენ რომ მოისმინო, დედაჩემო, „თაო ჩემო“... ოხ, აი, დამიგდე ყური; მე ვიმღერებ... (იწყებს):

თაო ჩემო, ილბალი არ გიწერია.

ცხრაწლედში მე ტკბილად არ მიმღერია.

თაო ჩემო... (აუწყევს, ადის მაგიდაზე)

ბედი არ გიწერია... გულთ ჩემო...

გრძნობით არ გიმღერია (იცემს გულში ხელს, გახტის დის გამო)... ეფროსინე: (შებოქა ტრადედიამ) — შვილო, რას შექმნი ბი მაგას?, რაეა მეიკალი თავი?!

რინტინტინა

„აკრძალული“ ხილი გემრიელია

„თვითკრიტიკა“

(ლილინი უდარდელიძე)



სდვას „ის“ და გამგე ხილვით სტკებოდა... ხე კი—„ცნობადის“— დასჩერებოდა.

კრიტიკეთ, აკრიტიკეთ, მერე მე რა? მე არ მცხელა, საკანტოლო კომისიამ თავზე თმები გამოთხალა, მაგრამ საქმეს „ვაჯაბრაკებ“ შეუშინველათ, ნელა-ნელა და რა ვქნა, თუ ფულით საეცე სალოროსი მიყვარს „წველა“? აკრიტიკეთ, იკრიტიკეთ, მე არ „მცხელა“, მე რა შერე, ბუზგალტერო, საჭეიდოთ ავანსები გამოწერე! დღეს „არტოში“ ქალი შიშაა! თვალტანადი და „მზა...“ ჩემი მშაჩი „არტო“ არის, მსურ იქ „დავიწერო ჯვარი“.

აკრიტიკეთ, კრიტიკეთ... მერე მე რა? მერე მე რა? მე ჩუმათ ვარ... მან ამბოლა, და იმან ის გადიმტერა! ბევრს ამბობენ, ბევრი ითქვა, ბევრი რაზე დაიწერა, ბევრს კრიტიკა ასე ესმის, ბევრმა ისე დაიჯრა!

იკრიტიკეთ, აკრიტიკეთ... მერე რა მე? მერე რა მე? „ხელი ხელსა, ორიე—პირსა“ შენც იამე, მეც მაამე! საქმე თუ ქნა „საკრიტიკო“ გეყოლები მე მოწამეთ, თუ დამპირდი, შენც მზათ იყავ, მეგობრობა ძმავ, იწამე! აკრიტიკეთ, იკრიტიკეთ, მერე მე რა? მე არ „მცხელა“! მე ჩემს საქმეს „ვაჯაბრაკებ“ შეუშინველათ, ნელა-ნელა!

წიწაკა

გრიგოლი:—დედა ჩემო, ნუ მაწყვეტინებ, ეს გრძობაა ჩემში დაგროვილი... ხომ კარგია?

ეფროსინე:—კი, შეილო, მარა გეყოფა...

გრიგოლი:—შშენიერია, დედაჩემო, ოპერები განსაწყუთრებით „დაისი“, „ომონი“, მერი ფიკფორდი, „იღრიალე ჩინეთო“ და სხვა. აი, მე გიმღერებ ერთ ოპერიდან, რომელიც მე გავიგონე შესავალ ვარებიდან. გიმღერე თომონის არიას.

ეფროსინე:—რათ გიხდა, შეილო, რათ, თავი დაწებე...

გრიგოლი:—მაცალე ნენავე, (იწყებს—ესიკა—ირტყამს თავში ხელს):
 ია ლუბლუ—ტება, ტამარა,
 ია ლუბლუ, ლუბლუ-ლუბუ (ავარდება. მაგიდაზეა აიშლის თმას, იხლენს ხმას).
 პაილიომ სამნოი, ია ტება ლუბლუ;
 ია ვსიო ვუბლუ... პაილიომ (გაიხსნის გულს).
 ეფროსინე:—რავე დევილუქე! გადამრეცია შევილი ვაიბე!...

გრიგოლი:—(შეყვირებს):
 ნი პაილიომ...—ია ტიბე პაკაუ.

ია ტიბე უბიუ, ზადლუშუ, ზადლუშუ...
 პაილიომ სკარეი, ტამარა. (მივარდება ეფროსინეს და დააველებს ხელს. შეშინებული ეფროსინე პირაჯარს იწერს).

ნე ილიომ, ნუ სიხას ია ატამშუ...
 ახა, ახა-ახახახახა... ზადლუშუ (უკერს ხელს ეფროსინეს კისერში, და თითქმის აბრჩობს).

ესიკა: (წამობტება):—რას შობი, ბეჭო? რამ გადაჯა რია? რას აბრჩობ დედაშენს? ვაი ამ დღეს (გამოგლეჯს ხელიდან, წყალს ალუეინებს და აბრუნებს).

გრიგოლი (გამოერკვევა):—ეტო ჩეპუხა; გრძობაა, განცდა არტისტის.

ეფროსინე:— ვას ამ დღეს, ამიზა მოგელოდი, შეძლო? ეს მიხაროდა?

გრიგოლი:—ეს არაფერია, დედაჩემო; მე ცხრაწლეოლიდან ვარ გამოსული.

ეფროსინე:—ვაი, ამ დღეს, და იმ ცხრაწლეოლს...
 ესიკა:—ვაი, ღმერთო რეიზა გაეწნდი.
 გრიგოლი:—ოპერნი არტისტი ვარ ცხრაწლეოლიდან. (ფარდა).

ბარცხანბეგი.

ტვინსპირაჰის სისტემა

წინმატრესტის გახვეთ არის ჩემი სეგობარი აბუქარ ტვისსკინჩაძე, რომელიც ამ ორი წლის წინათ მცხეთის დანასვენებელ სახლში გავიცანი და პატარა ხნის განმავლობაში დაემგზავრებით კიდევ.

ამიტომ გასულ შაბათს, თბილისში რომ ჩამოველი, სადგურიდან პირდაპირ აბუქარს ვეწვიე დაწესებულებაში.

ღიღი სალამისა და ხვევნა - კოცნის შემდეგ, აბუქარმა დამსვა კაბინეტში, დამიწყო წინ ქურნალ - გახვეთები და მითხრა:

— დაჯეკ, თავი შეაქციე, პატარა საქმე შექმნე დაწესებულებაში, გავთავებ, საცაჟ, და წავიდეთ ჩვენსა, ვისადილოთო.

ჩამოვევქ სავარძელზე და დიდის ყურადღებით ვათვლიერებ ჩემს მეგობარს. აი, მისი გარეგნობა: ტანი მაღალი, მოგრძო კისერი, რომელზედაც სასამთროსოდენს თავისმავარი დიდ ყურებიანი არყის სახდელი „ქეპანია“ მიმაგებელი. „ქეპანზე“ უწნოთ და უღაზათოთ ჩამოჩეხული აქვს ძვირფასი, მაგრამ თავთან შედარებით ზაწაწკინტელა-რუსულ კიზირიკიანი ზარფულში. ცალი უღვაში მალა მიეშურება, თითქოს აბუქარის ელამ თვალს ეარშიყებაო, ცალი კი კისერ მოტეხილი ნაღვლიანთ გაყოფილ ნიკაპს დასცქერიან. გალსტუკი, ალბათ, სახელოზე არა აქვს მიმაგრებულ, თორემ ყურქვეშ არ მოექცეოდა; სათვალეები შუბლზე აქვს აწეული, თითქოს მხედველობა კი არა, ტვინი აქვს სუსტიო; ყველა ამ ნაკლს ავგირგვირვებს კოჭლი ფეხი. რომელიც აბუქარის მთელს სხეულს სიარულთან დროს უნდობლათ არხევს და ანჯღრევს...

აი, აბუქარმა დააჭირა თითი ზარს, ცალი თვალთ რაღაცა ქალღღს ათვალერებს და ცალით კი მარჯვნივ კაბინეთის კარებს დაშტერებია.

კარებში შემოყო ცხვირი დაშლაგებულ ქალმა. რომელსაც აბუქარმ უბრძანა:

— საქმეთა მმართველს დაუძახეთ-ო.

ჩამოდენივე წუთის შემდეგ, შემოვიდა საქმეთა მმართველი, დატვირთული აუარებელ ქალღღებით. — ფუ-უ! კიდევ ნიჭის სუნი გდით პირიდან — უთხრა ზიზღით აბუქარმა და დაუმატა — მზათა გაქვთ ქილაღღები?..

— თქვენ კარგათ იცით, რომ მე ზულამ ყველაფერს დროზე ვაკეთებ, პირიდან კი ნიჭის სუნი მდის თუ ოღეკოლონის, ეგ თქვენ არ გეხებათ, ვინაშით თქვენს საქმეს მოუაროთ — მოკლეთ თუ უქრა საქმეთა მმართველში.

— ძალიან აიშვით ადვირი და ვნახოთ, როგორ დაბოლოვდნა საქმე, — წაიბურტუნა. ჩემმა მეგობარმა და შემოტანილ ქალღღებს დაუწყო სიმჯავა.

საქმეთა მართველი-ჩამოჯდა სკამზე და ისე აღმატებით დაჰყურებდა გამგეს, რომ გეგონებოდა — მისი მოსისხლე მტერია და, საცაჟ, საშელნის სთხლიშავს თავშიო.

აბუქარმა გადათვლიერებულ ქალღღებს შოაწერა ხელი. გადასცა საქმეთა მმართველს და შიამბა:

— შეგიძლიათ წახვიდეთ და თუ ეს საქმე დროზე არ იქნა მოგვარებული, ვაი თქვენს ტყავს.

— თქვენ თქვენს თავს მოუარეთ — იმავე ცილოთი უპასუხა საქმეთა მმართველმა და კაბინეთიდან გასვლისას ისე მოიჯახა კარები, რომ აბუქარს სათვალეები შუბლიდან უცებ ცხვირზე ჩამოუვარდა. მე უნერხულათ ვიგრძენ თავი და უფრო ღრმით ჩაგვაივი ცხვირი გაზეთებში.

შემოვიდა ბუხალტერი, მაგრამ, რომ არ მიმოსულიყო ის საცოდავი, უკეთესი იქნებოდა. აბუქარმა მიტლი ჯავრი მასზე ამოიყარა.

ლანძღვა - გინიბით გაუმსაპინძლდა დაბოლოს სამსახურიდან 24 საათში მოხსნას და პასუხისგებაში მიცემას დაჰპირდა.

— აი, თქვენი მოჩვენების ასლები მზად არის წამოიძახა მოსულმა მემანქანე ქალმა და აბუქარს გაუწოდა დაბეჭდილი ქალღღები.

— ჩამდენჯერ მოთქვამს თქვენთვის, დაუკითხავათ ნუ შემოხვალ მეთქი კაბინეტში! ეს პირდაპირ თავაშვებულობაა! გაბრძანდით ეხლავე და შემდეგში აღარ დაშინახოთ.

მემანქანის შემდეგ, შემოვიდა მოლარე, ჩერე რეგისტრატორი; ადგილკომის მდივანი და სხვები. აბუქარი ყველა უყვიროდა. ფეხებს უბრაზუნებდა, ემუქრებოდა, ლანძღავდა და უწამაწურ სიტყვებს აკადრებდა. არც თანამშრომლები აკლებდნენ ხელს. ზოგიერთი მათგანი ისე შეუბრუნებდა სიტყვას გამგეს, რომ მეგონა, საცაჟა კაბინეტში ხელჩართული ბრძოლა იატყლება - მეთქი. ზოგიერთები კი დამშვიდებით მოისმენდნენ აბუქარის ლანძღვას და მოწიწებით უსრულდნენ ყველა მოთხოვნილებას.

სამსახური გათავდა. თანამშრომლები გაიფანტნენ. აბუქარმა მოიხსნა სათვალეები, მოიშალა ცხვირსახოკით ოფლი და ღიმილით მომხართა:

— ეხლა წავიდეთ ჩვენსა, ვისადილოთ, ოჯახსაც გავაცნობო.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ქონდა, როდესაც აბუქარის ოჯახში

დავინახე საქმეთა მმართველი, რომელსაც დღეს დაწესებულებაში ეჩხუბებოდა ჩემი მეგობარი. ეს ვაჟბატონი და ბუხალტერი (აბუქარმა რომ ლანძღვა გინებით აიკლო) ისხდნენ და ქალღღს თამაშობდნენ. ჩვენს დანახვაზე, ბუხალტერმა გაშალა ხელები და სიცილით უთხრა აბუქარს. — შენ! სიძეს, ჩემო ძამიავ, ქავი გავადინე; მეორე პარტიას ვუგებე!..

— სუფრა გაშლილი იყო და მაგიდაზე დათან ამკლავებული სწორედ ის მემანქანე ქალი. დაწესებულებაში რომ ვნახე, პურსა სჭირდა. მე შეიძოკავე თავი. არაფერი გამოვიკითხე ჩემს მეგობარს. მაგრამ, როდესაც საღამოზე შემოვარდნენ ოთახში შეზარხოშებული მოლარე, რეგისტრატორი და ადგილკომის მდივანი და მთელმა კამპანიამ დაიწყო კარტის თამაში, ჩემში ცნობისმოყვარეობამ დასძლია და შევეკითხე აბუქარს:

— მიამბე, კაცო! რაშია საქმე?! — რა არის?!

— რა არის და ვერ გამოგია ვერაფერი, — დაწესებულებაში წელან ლამის ერთმანეთსა სქამდით, თქვენს ლანძღვა - გინებას საზღვარი არა ქონდა და აქ კი, პირიქით, ერთმანეთს ენაცვალებოთ - მეთქი...

— ხა-ხა-ხა!!! — გაღიხარხარა ჩემმა მეგობარმა, — ეს, ჩემო კარგო ჩემი სისტემა გახლავს! საიდუმლოობაა, მაგრამ შენ, როგორც მეგობარს; გიამბობ. შენ თვითონ კარგათ იცი, ეხლა სასტიკად გბრძვიან ბიძაშვილობას და მაიმიდაშვილობას დაწესებულებაში. აი, სწორეთ ამიტომ შემოვიდეთ ეს სისტემა. დაწესებულებაში ვლანძღვთ ერთმანეთს, ვაგინებთ, ვითომდა ერთს ვიძიებთ, ვითომდა გვძულს ერთმანეთი. ეს ყველაფერი მხოლოთ იმიტომ კეთდება, რომ ხალხმა არ გაიფიქროს, რომ ჩვენ ნათესავეები ვართ და ერთ ოჯახს ვეკუთვნით: აი, საქმეთა მმართველი — ჩემი სიძე გახლავს, ბუხალტერი — ჩემი უფროსი ძმა, მემანქანე — ჩემი ცოლი, მოლარე ცოლის ძმა და დანარჩენები შორი - ახლო ნათესავეები. შენ გგონია, ადვილია შენს საკუთარ ცოლს დაწესებულებაში ლანძღვა - გინებით იკლებდე და ვილაცას შორეულ ნათესავედან უწამაწურ სიტყვებს ისმენდე?! მაგრამ რას იზამ? ყველაფერა უნდა გაუწიო ანგარიში! ნათქვამია „გაჭირდება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებ“ -ო.

გინეა



ინდარბაშინი:—მე აქ ვერაფრითარ ვლახობრივ განსხვავებას ვერა ვხედავ... მაშ, ასე, „შერეულთა მთავრობა“, სწორებით თავის ადგილზე, ნაბიჯით იარ!

**გაყრილს სატრფოს ლაშელვერკის „იბტე-
ლეკენცია“**

მა ტარტაროზ, გეაჯები
ზრინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ დახმარებას, —
რათა ამ ლექსს დაბეჭდვიდე.
მე საწყალი მიჯნური ვარ,
ჩემი გული ამდ სტრისა,
მგამს თქვენ მაინც შემობრალობთ
მე, საყვარლის განაწირსა.

ოდეს ვიყავ ხელუხლები,
ქალთა შორის იშვიათად,
მოარშოეკს ვერა ვსთვლიდი,
(თუმც ენლაც მყავს ბარე ათი).

მაგრამ მათში ერთი ვინმე
იყო ჩემი ტარიელი.
(აწ იმისი გაყრისაგან
დავრჩენილვარ ცარიელი).
ჩვენ ჰირველი შეყრისათვის
სიყვარულმა მოგვცა ძალა;
გულმა გული შეითვისა,
გადუშალე, გადმიშალა...
მაგრამ ჩქარა გახმაურდა
ესე ჩვენი ნამოქმედი.
(სწორი თქმაა: „ფეხით მიხვალ,
სადაც არის შენი ბედი“)
მაგრამ ეხლა სადღა მივალ,
აღარ ძალბიძის ფეხზე დგომა,
საყვარელი დამეკარა—
რა გავიდა ეს აღდგომა.
ჯერჯერობით ვინც რომ შემრჩა,
შველას მათგანც აღარ ველი...
სიბრაზისგან გული მისივს
ისე როგორც ქვეშ—მუცელი.
საყვარელი, მომიგონე,
შენთვის ვიწვი, შენთვის ვჩმახი;
ანუ მომიცე განკურნება,
ანუ თანხა, შესანახისი..

ს. კრიუკელი

სულმნათი შოთას სიტყვები—„რასაც
გასცემ შენია, რაც არა დაკარგუ-
ლია“, ლაშელვერკის ინტელიგენციამ
თავისებურად შეაბრუნა: „რასაცა შე-
სცემ შენია, რაც არა დაკარგუ-
ლია“-ო, და უნდა მოვასხენოთ, რომ
ამ თეორიას ზედმიწევნით ასრულებს,
მხოლოდ, საქმეზარო ის არის, რომ
ხანდისხან ზედმეტ ერთფულებას
იჩენენ სმა-ჰამისადმი, და, თუმცა
ლამით უჭრაქით არ გამოდიან, მა-
გრამ ხან გზას სახლისაქენ კარგავენ
და ქრაქით ულაგო ალაგას მიზეზტი-
ბიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზოგ
ჯერ ძვირათაც უჯდებათ.

აი, მაგალითიც: 20 აპრილს ძირუ-
ლის თემადმასკოშის თავმჯდომარემ,
ამხ, ამბერკი ხარატიშვილმა, კამპანია
გადაიხადა. განათლების მუშაკთა
ძელი შემაღდენლობასთან ერთად,
მოწვეული ყავდა მეშვიდე საოსტა-
ტოს ნადის უფროსი, ფილიმონ ბუ-
აჩიძეც.

გათავდა წვეულმა. დაიტვირთა
ღვინთ ყველა, ვისაც რამდენის ტა-
რება შეეძლო, და დაეშვენ თავ-
ქვე, მაქან ლაშესაკენ. ამ კრებულს
ჟინელილით წინ მიუძღოდა მოქ. ბუ-
აჩიძე, მაგრამ, ალბად, მასწავლებელ
—გრიშა კალანაძეს არ მოეწონა
სხვის ხელში ასეთი ღამის მანათობე-
ლი, სტაცა ხელი, წაპვლიჯა, გააქანა
და... და მართლაც ძალიან ვაბედუ-
ლი გაქნევით ამაშუკელის ქალს მივ-
ლაჯებს შუა მისცა ცეცხლი. შეი-
ძლება გრიშას იქ ჟინელილას გაქრო-
ბა უნდოდა, მაგრამ, წაეცვლად ამისა,
ოფროდ დიდი ცეცხლი კი გააჩალა. და

უწვა ქალს კრებდემინის კაბა, ექ-
ტორიას ჩულქები და სხვა. ამ გარე-
ძობამ ფილიმონი ააღელვა და გააგუ-
ლისა, გაქანდა. გრიშას დაეჯახა და,
რაც შეეძლო, მაგრამ წეაიმასქნა.

კალანაძემაც მოგვერდი უდლო.
აირია მონასტირი და, ჩხუბის მოთა-
ვების შექმდეგ, ხელში შერჩათ
გვერდებ დაზელილ კალანაძე და
ხალათ შემოხეული ბუაჩიძე.

ასეთი თითით საჩვენებელია ჩვე-
ნი ლაშელვერკის ინტელიგენცია.
ლაშე კარგი გვაქვს, მაგრამ ამ ღვერ-
კამ კი საქმე გავვიფუტა.

ლაშელი.

სოფ. მონასტრის-ქრი

მინდა ამბავი მოგვერო,
ერთი სოფლისა ტარტაროზ,
თუ გუსურს რომ ამა სოფელმა,
შენ ხელის გულზე გატაროს.
ესე ამბავი, არ გრძელი,
ვიქვი, რომ გეპატაროს,
და ვთხოვ ვერეთვე: ამ ლექსმა
გოდორში დრო არ ატაროს.
ნუ თუ არა ვსთქვა სიმართლე,
მეზობელმა რომ გამპაროს
ერთ წულქმა ღორმა ათასი
შეაიწროვოს გასაროს.
სოფელი მონასტრის ძირი,
გურიანთა მდებარე,
ხალხი ასხია მშრომელი,
კეთილი გულით მეტნებარე.
ქვეყნად სოფელი ვინ ჰპოვოს,
უნაკლოთ უმახინჯოთა,
და ამიტო ვთხოვთ მობრძანდეთ,
თქვენ თითონ რომ გაშინჯოთა.
სიღობსტრო *) , მუღამ ყიყინა
ფლიდი და ქვემპრომელია
კოლი ყავს ღიზა და შვილი,
სევისტი ენა მჭერელია.

სიღობსტროს კოლის საქმენი,
არ ახალია, ძველია.
მეზობლის შინა-ფორინველებს
გაკრა, გამოკრა ხელია.

არც ბუღით კვერცხი დასტოვ:
და არც დერგებში ყველია,
იხვსა, ინდაურს და ქათამსა.
არ ზოგავს წულქი მ.

ჩვენსა მასიკო ცინცაძეს,
მოპარა ინდაურია,
ჩაასაცევა გემოზე,
მოყვრებს „აქამა პურია“!

გიორგი ბელიქანიძეს.
კვერცხი მოპარა ბუღეში,
ნოე ზოიძის ქათმებმა
ერთმანეთს უთხრეს ნუგეში.

ტარტაროზ, შენ კარგათ იცი,
კვიცი რომ დახტის გეკარხედა!
გვერცეც ღიზა და სიღობსტრო...
ქირი მოგვეყარა კარხედა:

ქათმები ვერ გავამწევიდე
ეზოში, კარახედა!..
იქნებ გვეშველო, ტარტაროზ,
ცრემლი შეგვაშრო თვალზედა.

არ დაგვარავ.

*) ნუ თუ სიღობსტრო ყველა ძველია...
ყველა

პროვინციული „მოღვაწე“



ლორი. (ერთი სკოლის გამგეს, რომელმაც სხელიდან სკოლისაკენ მიმავალ გზად სკოლის დუქანში შეუხვია, ღვინო-არაყით გამოიბრიჩა და ახლა ვაცდენილ ღვინოს ასანაზღაურებლად აჩქარებს სკოლისკენ თავის „სახიდარს“):
— შენ თუ იქ სხვისი ღვინოები გვლოდებიან. მე საკუთარი თორმეტი გოჭი მყავს დასაპურებელი და უხეშად მიშლის ხელს მოვალეობის ასრულებაში...

გოდება მფლანგვილისა

უკვე დადგა სიციხიანი ზაფხული, და სადაჩოთ ამიტოვდა მე გული... მაგრამ ვაი, უფულობა მაწუხებს, თორემ სხვა ფრიც, აბა, რა შემაწუხებს?!
ოი, ფულო, შენ მოგიკვდეს მოგონი(შენმა დარბმა, გულზე დამიდრო ჭონისა ფიჭრით გულმა დაგაღუგი დამიწყო, და იშვილმა თავში გეგმა გამიწყო, ამ იშვილით მე შეძრება ფულები, პროკურორმა თერ გამიგო ტყვილები, ფიჭრები ბიჭმა ხელათ საქემთ ვაქციე, და სალარო პირქვე წამოვაქციე; ჩისტკა ვუყავ, აო დავტოვე გროზია; და ხადავლი შევდე ერთ სოროზია; და უუამზე მე კომისარს ყოველი, — „დამებარეთ. თქვენგან შევლას მოველი. კომისარმა მითხრა: „ოი, შე გლახა!“
და ელსმენით პროკურორს დაუძანა დახეთ ჩემი ესეც უბიდლურება,
მოსამართლეს ჩემი არ ეყურება.
ათას კითხვით დამიბნია დავითარი ბოლოს მითხრა: „თქვითი ფული საუ არია“
აო იცრუო, პოტრიდე ტყვილებმა, თორემ გულში დაგაყრო ამ უკუ ეხსა!..
წავბდი ბიჭი, დამეყარა ა. შ. შ. შ. შ.
გუთხარ: „შევედი, მომიყე და იღობა“!
ამის შემდეგ ჰობდა ესე ამბავი.
და ათი წლით გამსახლში შევეყავ თავის..

კირილე საფინიელი.

მ ა რ ნ ი ს თ ე ბ ი

შრომის შვილო მუშებო,
ჩაზედ ჰოგიწყენიათ?
ბუგალტერი თუ არ გეწყალობს
გამგე მაინც ჩვენია.
სპირიტონ ჯაქაბაძე
ქარხნის ბუგალტერია,
მასზე ბევრს რამეს გეტყვი
რადგან მუშის მცველია!
უყვარს მუშის წვალება:
რომ შეუკრას ხელია,
ანგარანშიც არ უშვებს,
როცა მუშა სველია!..
ახლა ენახოთ მელიტონ.
ანგარანის თავია,
ცოტა ხრიკები უყვარს,
ძველი ნაპრისთავია!..
იქვე ნახათ ქალბატონს,
ანნაურის ასული,
ქმრის გვარს არც კი დაიწერს
თუნდაც არუქოთ ფული.
ლევანიც ვინახულოთ,
სამუშაო აქვს ღლი:
წიგნების უქმ ფურცელაში
წასძვრა სალოკი თითი!..
ვიხილოთ ალიქსანდრეც
მოლაჩე ჩინებული,
უყვარს მუშებს უქვეითოს
ჯამაგარიღან ფული,
ავანსია თუ ნარდში
მას თეთი აქვს მოგებულო!..
მეთვალყურე.

მონახეთ მწაზე ნაყოფი
მცენარის, ბოსტნეულისა,
მწეახიდან წითლად გამოდის,
გამბურვებელი გულისა.
ორი სახილით ითქმების:
ექვ... და შვილი ბგერიდა;
ჩვენ შედიანი გვინდება,
სიგრიძითა მის-მიერთა.
ჯერ ბოლოს მოკვეცთ ერთ ასოს,
შუაზე გასჭრით ვალათა.
ერთი ნაწილი ჩვენ გვინდა,
ვართ მეორეზე მწყრალოთა.
თავში დაუსვით წაჩადას
ნაკვეთი. აო მრთელია...
კვლავ ჰპოეთ მიკვალებულთ:
საქებდრე სამოსელია.
ექვსი ანათი საწერი,
თეთრია იგი ფვარდა.
შუაზე გაკვეთთ მასაც,
ჩველს აიღობთ მრთელადა.
და დასაწყისთან შარლის
მიაწყობთ მასაც რიგითა...
შემდეგ მონახეთ ყვევილი
ბლო-პირს ან ღობეს იქითა.
ტანზე ქაცვებთ შემოსილს.
მას ბეგრი გაუქარდია,
არც ყულ მინდვრისა, არც ბლის,
არც ვარლი და არც ბარდია.
ყერ-ყარყარობით (ნობილი,
თავის კანტურით, ქნევითა,
ექვსი ასოთი საწერი,
მიგ სამის ამორჩევითა:
მოსწყვიტეთ თავში ერთი ხმა,
ბოლოშიც წყვილი-მრთელადა,
ჩაც მორჩა, ყოფნის შარადას.
დასასრულ-დასაქნელადა...
და ჩაცის გიარი გამოვა.

კნობილის, ქვეყნის ბურჯისა,
ერთი სეიმის ავტორის,
კვლავ იმ სეიმის ურჩისა.
ფაშისტურ დიქტატორობით,
ვინაც გაითქვა სახელი,
ვართ მისი ბეგრჯერ სურათში
შორიდან შორი მნახელი.
არის, მოსაზღვრე საბჭოთა
და იმდენადვე მტრისა,
არ მოსწონს ჩვენი წესრიგი,
არც სახე, არცა ფერიცა.
უყვარდა ცეცხლის ჩხიკინი
რინბი და ფართი-ფურითა,
ყმად ჰყავდა ბებრის ანტანტა,
რამდენჯერ ჩვენზე უთითა...
დაბოლოს ჯანიც გავარდა,
ბგონი. მოიდნო დროებამ,
სხვთ გამწირველი ბეგრისა
გასწრა საწყუთოვებამ!..
გაქირი ვირის წესს მიჰყე
და სთქვა უარი ძალაზე...
აწ ჰგლია მყარალი ლეშიკით
მიჩრე ანტანტის ქალაზე...
თუმცა რა სანდო პირია
ამ ხვედრშიც ეჭე (ხოველი,
რა გაფრთხილება მქირია,
მისგან ავს კვლავაც მოველი.
მიტომ მიგმართე, მწარ ნაყოფს,
მკვლარს და ქაციანს ყვაილსა,
თორემ არ გახლდით უმიზნოთ
აყოლილ ენის ქავილსა...
აწ მიხვდით, დასტკბით, იხარეთ,
თან გააფურთხეთ ერთიცა,
ლორსია იგი ამ ფურთხის,
გნებავთ, მთლად შეწყაერთიცა!..
ენუქ...

შ ა რ ა ლ



ბალია—გაგიგე, რომ მატყულებ... მწვილობით!
 შაქი—ვახ საკირველია არავისათვის არაფერი მი-
 თქვამს, და საიდან გაგიგე!

შ ა რ ა დ ა

ცული ცულობას ვერ იზამს,
 თუ სამკედლოში ჰქილია,
 აუწყობ — გაუწყობელი
 ჯერ ისევ გასაყილია.
 ჩვენ შარადისთვის გვეკირდება;
 ცული მთლად გამართულია
 ხის ჯირკის გასაპობათა
 ცისაქენ ამართულია.
 ამ ცულის ხისა ნაწილსა
 ბოლო ხმა მოაცილეთა,
 ნარჩენი ორჯერ დასწერეთ
 შარადის მონაწილეთა.
 შემდეგი სამი ასოსთვის
 შორს არ მოგვიწვეს სავალი;
 იჭება საბლში იპოვით,
 დაძებნეთ სადმე კაკალი.
 იმის ნაქუჭი არ გვინდა,
 მთელი თუ ვაპობილია.
 გულის სახელი გვეკირდება,
 შუაზედ გაყოფილია.
 ორივე ნაწილს არ ვეძებთ—
 საქმისთვის მანებელია.
 პირველი სრულად წაშალეთ,
 მეორე სასურველია.
 შაბამ, დასრულდა შარადა;
 აიშალენით წელშია!
 მკითხველო, რაღასა ჰფიქრობ?
 სიტყვა გიქირავს ხელშია?!...
 ზჩილი.

ბნობათა შიშაბა

კოვანიზალიზმი

შიილეთ ესე—სიბრძნე,
 გახსოვდეთ აწ და შარადის,
 — „სჯობს უსაქმოდა უოფნასა
 გამოთქმა უშნო შარადის“-ო, გეწერეთ.
 უკაცრავათ და უშნო შარადის გამოთქმა აღარაფერს
 აღარ ჰგავს. ამის მაგალითს იძლევა თქვენი ლექსი, რომელში
 გამოთქმული „სიბრძნე“ იქ თქვენთვის დაგვი-
 ლოცნია, ხოლო აქ — სარედაქციო გოდრისთვის.
 სოკო.

აღ. ბალიაშვილს

შართალია, ფსევდონიმია ეს თუ ნამდვილი სახელი
 და გვარი.—სწორეთ დროს შესაფერი გქონიათ. პირდაპირ
 „სასეზონო“, ვინაიდან ეხლა სწორეთ აღუბალია მო-
 დამში, მისგან ეგრედწოდებული მურაბის ხარშვა, მაგრამ
 ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი თქვენი ნაწარმო-
 ები მურაბასავით ტკბილი იყვეს.
 ავბლოთ, მაგალითად, თქვენი „სალამი ზაჰის“. თქონ
 სწერეთ:

„დიდი ხანია მსუროდა
 გამომეგზავნა ხალაში,
 მაგრამ, ზაჰესო, ვერ ვპოვა
 თავისუფალი დრო წამი“-ო.

აქ რომ „თავისუფალი დრო წამის“ მაგიერად გეხმა-
 რათ, მაგალი: „თავისუფალი ხალაში“, ან პირდაპირ: „სა-
 მურაბე ხალამი“, მაშინ ეს ზედამოჭრილი იქნებოდა ავ-
 ტორზე.

ქვეით თქვენ სწერთ:

„აქამდის ბნელი თბილისი
 ცრემლს აღარა ღვრის ცხარესა,
 ჩვენც, მიცემულნი სიხარულს,
 ველარც კი ვაშენეთ ღამესა“-ო.

ჩვენ კი ცნობა გვაქვს, რომ ბევრი ქუჩაში მოაოშივე
 ღვრის ცრემლს, ქუჩებში სინათლის გაძლიერების გამო. ამ
 რიგათ „აქამდის ბნელი თბილისის“ ცრემლმა იმატა. რაც
 შეეხება თქვენს განცხადებას, რომ „ღამეს ველარ ამ-
 ნეთ“, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენსკენ ჯერ-ჯე-
 რებით არც თუ იმდენად ნათელია, რომ ზოგ ლექსში ბნე-
 ლი და ნათელი აზრები ვერ გაეაზროთ.
 ბულ.

უჩინარს, (ზოგიში, ლეხუშუმის მაზრა)
 თქვენ გეწვევთ თქვენ სოფელში უჯრეთის გამოსა-
 კვლევათ. იწერებით ასე:

„მაგრად მოსცხე შენი საბრე,
 „ჯადოსნური“ და ძლიერი,
 უნაყოფო მუშაობა,
 რომ დარჩეს ნაყოფიერი“-ო.

ამდენი „ჯადო“ ჩვენ საბრესაც არ გააჩნია. მიმართეთ
 ცენტრს. ხოლო თუ „ცენტრიკ“ მოშლილია, მაშინ სჯობს,
 თქვენთან ერთად, თვით ეს საქმეც უჩინარს დარჩეს.
 ჩინ.

გვებულეგაუი წასვლა ღამკვიღრღა!



თაგვი (გულდაწყვეტილათ):— წავიდნენ.. უველანი წავიდნენ!..: სათავურიც ყი აღარ დასტოვეს სახლში!

ბრეზოვი

ბიუროკრატი „სისხის“ გავლენის ქვეშ



ცხელა... ცხელა... არ აგრილდა...
 წამო ბუფი, წამო, ქალო...
 არ იფიქრო სხვა რამ... მინდა
 „თვითკრიტიკა“-ს ღაჭიგალო...

შანი ჭამისათვის ანუ სტატისტიკა და ზენის მადა

დიდი ღვთის მორწმუნე ქალი გახლდათ ცხონებულ ბებიანები და იმდენადვე — ცრუმორწმუნეც, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ზოგი აზრი კი ისეთი ჰქონდა „შეთვისებულნი, რომ ის ღვთის ბერის ეგრედ წოდებულ „უღმერთოთა საზოგადოების“ წევრსაც არ დაეძახავის საღიარებლად.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის? კაცსა ოთხმოც წელზე მეტი ვაატარო ამ ცოდვილ დედამიწაზე და კეუა იმდენად მინც ვერ ისწავლო, რომ ზოგ არ არსებულ რამეში ეტყვი არ შეიტანო, ხოლო ის კი არ დაინახო და არ იწამო, რაც ყოველ დღე ჯიუტი სარიგით პირდაპირ თვალში გეჩხირება.

ჰო და, აი, ბებიანებოც იტყოდა ხოლმე: „ეშმაკი რა უხილავი სადაა, ნებაჲ, კაცის ეშმაკი, მაკლური და მანებელი ისევ კაცია“.

მართალია, ესაა, ამ უაღრესად კოლექტიურობის ხანაში, კაცის ადგილი ზოგან მანქანამ, ხოლო ზოგან სხვა დასხვა დაწესებულებამ დაიჭირა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბებიანების მიერ გამოთქმული „სრული ქეშმარიტება“ ისევ თავის ძალაში რჩება და კაცის მაკლურობის საქმეში ცენტრალური ადგილი ისევ და ისევ კაცს უკავია. შემთხვევა, რომელსაც მე ქვევით ავიწერო, ნათელყოფს ყოველივე ამას.

ვინ არ იცის სტატისტიკის ძალა და მნიშვნელობა: სტატისტიკის მნიშვნელობა უაღრესად უაღრესია. ამიტომ მე, ღმერთი და ეშმაკი თუ შევიძლე, სტატისტიკის პირდაპირ ყურმოჭრილი მონა და მორწმუნე გახლავარ, იმდენად მორწმუნე, რომ საქამაო სადმედან ყური მოვეკრა ამოძახალს „სტატია“-ს, რომ მე თვალის დახამხამებაში დავაბოლოოვო ის და „სტიკა“-თქვა წამოვიძახო ანგარიშ-მიუცემლად. ზოგჯერ ამ „სტიკა“-ს წამოძახებას საქამოდ საგრძნობი უსამომენებაც კი მიუყენება ჩემთვის, მაგრამ მე მინც ვჯიუტობ და „სტიკა“-ს წამოძახებაში პირდაპირ შეუღრეკელი ვარ.

მაგრამ მოგესხნებათ, ყოველგვარი ჯიუტი რწმენა, მით შორის სტატისტიკისადმი რწმენაც, რაღა თქმა უნდა ისევ მორწმუნეს ატყდება ხოლმე თავზე.

ერთ მშვენიერ ზაფხულს დილას (ყველამ იცის თუ გარკვეულად მშვენიერი ზაფხულის დილა რა სიცხესა და გაიცაფნასაც გულისხმობს შუადღის ხანს), როცა მე ჯერ კიდევ ზვიდან მომბაზრებელი ბუზებისა, ხოლო ქვევით მან და წითელ კანიან ცხოველების გავლენის ქვეშ ხელბითა და ფესებით ეგბრაოდით ერთ მერხვ ტბილ და იშვიათ სიზმრის შეწყვეტის შესაძლებლობას, უცბათ ჩემი ოთახის კარებს რაღაც ისეთის სიძლიერით დაეცა, რომ ჩემს ცოლს, კასინეს, გული ჩახეთქოდა; თუმცე მიწის ძერა ჰგონებოდა და ეფიქრნა: „ესაჲ ვიღუპებითო!“...

მე ჯერ კიდევ ფრჩხილებითა და კბილებით ვებლაუ-ტებოდი ჩემს იშვიათ სიზმარს, მაგრამ ჯიუტმა სინამდვილემ მინც თავისი გაიტანა და დარეტიანებული—ცალკე შიშით, ხოლო ცალკე უსამომენო გრძნობით—კასინესთან ერთად, მეც ზედ წამოვედრდი და, ის იყო, კარები-საყენ გაეაღრდას ვაბარებდი, რომ კასინეს კარები უკვე გაუღო და ვიღაც აყლა-ყულას კარებიდან საყვედურით უძასანძლვებოდა.

— ვინ არის? რა უნდა? რა დროს მომსკელია?!. ვაყრით მე კითხვებს და მინდოდა შიში ახლა გულის წყრომით მინც გადამეჭლიბა.

და აი, უცბათ მე მოვხვდი სასწავლებელში, სადაც „რკინების ჭედის“ ნაცვლად, უბრალო კევი უნდა მეღვქნა ან კიდევ უბრალო ცომის გუნდები უნდა მექნა და შემკრევალებინა.

ესენი იყენენ მდიდართა შვილები, ერთი პროინციალური, თითქმის პატრიარქალური ზნე-ჩვეულებებით და წეს-ადათებით გაყუნთილ ქალაქის მეშინათა შვილები, გოგლი-მოგლითა თუ საშაქარამოების სხვა რამ ნაწარმით ნაპატეები ხალხი.

— ჩემ შვილს, ყმაწვილო, თვალები აქვს ერთობ სათუთი და ნამეტანი წიგნში მხერით არ შემეძწისო!— შემოიჭრა ერთ შუა გაკვეთილზე ერთი კალის ჟმარულითა, გუნდა-ლახუსტაკის ძინითა და „ცოფიანი ფერი“ შეითხნელი, ტანზე ოფოფის ფრთებით შეჭრულბული, ხოლო ყურებსა, თითებსა და საბანჯურებზე ყვითელ ლითონის მორგევებით დამძიმებული ქალბატონი, გვარად ჩიტი - ჩხართვი-ცხვირის-წვერ-ნისკარტაშვილის მეუღლე და მომახალა ამ თავისი მოულოდნელი და ამდენადვე შეუფერებელი ვიზიტით გაოგნებულს.

— რომელია, ქალბატონო, თქვენი შვილი? თავაზიანდ შევეკითხე მე და გვრძობდით თუ მისი სახიდან „ცოფიანი ფერი“ ანარეკლი როგორ გადმოდიოდა და როგორ იღვრებოდა ცხლად ჩემ საკუთარ სახეზე.

მან თავის მარჯენიდან მარცხენა მხარეზე გადაადებით მიმითითა ერთ „ლობიოზე“, რომელსაც მთელი ერთი თვის ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში ერთი ადამიანის მოღმას დამახასიათებელი ხმაც კი არ გამოუღია.

მე მორჩილებით თავი დაუფქარი და ქალბატონმა ჩიტი-ჩხართვი-ცხვირის-წვერ-ნისკარტაშვილმაც არ დააკოცა კარების თავის ზურგს უკან შეხმაურება.

— ჩემს შვილს, უჩიტელო, თავი აქვს დიდი და დიდ ხანს სკამზე ჯდომით არ მომიქანცო!.. შემოიწინა ერთმა გველის თვალზე-გამოკაყულმა ასპიტმა დედაკაცმა და მიმითითა ერთ „თავ-ბუხეზე“, რომელიც მინდვრის სოკო-სავით ეყუდა თავისთვის სასწავლო ოთახში და სიცოცხლის ნიშნებს მაინცა და მაინც არასოდეს არ იძლეოდა.

— ეს ბიჭი ალბათ, მამას ჰგავს, გავიფიქრე მე გულში და გველის თვალზე დედაკაცს მორჩილად გავუძივ წინ ჩემი ქროლა თვალები, თითქმის უმწეო ჩიჭრძირს დავარდნილ ბარტყად მინდოდა ჩემი თავი მის წინაშე დამეხასა.

— ტუცა, სადა ხარ შვილო?!—ამ კითხვით პირში შემოიჭრა ასეთსავე უხერხულ დროს ერთხელ სკოლაში ერთი გაქონილი მიკრტანი და ღია კარებში ისე შეჩერდა, თითქმის ორმოც ვედრიანი კასრი შემოაყუდეს შიგ, რომელიც კარების სივიწროვეში უხეშად გაეხირო.

— ამას, ბოშო, ცხვირში რაღაც სისუსტე აქვს დაჩემებული და გამიფრთხილებინარ, რამე არ მოხედეს და არ გაიბიზებთანოს კიდევ უფრო!—დასაღვი-ნებლად დაყენებულ მაქარის ბუხბუყით დამითავა დარბეგბა ერთი ყმაწვილის შესახებ, რომლისთვისაც თითქმის ყოველს გაკვეთილზე ათი-თუთხმეტი შენიშვნის მიცემა მაინც მიწვედა შესახებ ცხვირიდან უხეშად ჩამოიშინარე ცინგლის გამოსუფთავებისა.

ამ ორმოც ფუთიან კასრისათვის მე ველარაფრის თქმა ველარ მოვასწარი, რადგან სწორედ ამ დროს მის საამაჟო დაუს ყინვიან ზამთარში სახლის ერდოზე სახურავის კილიდან ძირს ჩამოშვებულ ყინულის სტალაკტიკით ჩამოეკიდა ცხვირზე მოთეთრო სითხე, რომელიც უცბათ ისე გაიბერა, თითქმის შეუშების სასხმელ ჭარხანაში ლოთონის მილით გამძნარი სითხე აუსრუტავს და უნდა მისი ჭურჭლად ჩამოსხმავო.

ამ გულის სიღრმემდე შემაერთოლებელ პაუზაში მამა კარებიდან რის ვაი-ვაგლახით გამოეცემა, შვილს ბატის ბაჯბაჯით მიუხსლოვდა, ჯიბიდან გაქონილი ბაღდადის ცხვირასხოცი ჯიბის ბრუნებით ძლივს ამოათრია და შვილს ცხვირზე ისე ტლანქად მიუსვ-მოუსვა, რომ ფიქრი ყმაწვილის ცხვირის სისუსტის შესახებ, თუ ჯერ სადმე ამ წუთამდის კიდევ არსებობდა, ამის შემდეგ იგი ყოველგან უნდა გამქრალიყო, როგორც შარშანდელი ნსლი.

- ჩემს ბიჭიკოს ყელი სტკივა...
- ჩემსას—ფეხი...
- ჩემსას—ხელი...

მოდით და მოდიოდნენ: კუნკურები მანდილოსნები, ჩარგვალბული გაქონილი მიკიტნები, წელ ხანჯლიანი თავადები თუ სხვა ასეთი ჯურის ხალხი.

ერთი სიტყვით, დღე არ გავიდოდა, ისე, რომ ორი-სამი ნახევრად-საპყარი. ნახევრად ყრუ, ორმესამედათ—მუნჯი, თუ ამდენივე, ამაზე ცოტა ნაკლებ-ნამეტარი ბრმა, ბეცი, ჩლუნგი თუ ენაბრჯინილი არ აღმოქმინა ჩემს სკოლაში.

ნამდვილათ კი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ყმაწვილები კარგათ სჭამდნენ, კარგათ სვამდნენ და ტანთ ჩაცმულობითაც ბევრად სჯობნიდნენ თავიანთ მასწავლებელს. მარტო სკოლაში მოტანილ საუზმეზე რამდენჯერ ამკაწყაწებია კბილები, რომელთაც მე განგებ უჭერდი და ასეთ შემთხვევაში და ბევრ ჩემ მოწაფესავით თითქმის ასპროკენტიანი სიმუნჯით განზრახ ვისწვლუებდო თავს.

— ეჰ, რამდენი ათეული ნიჭიერი გლეხის შვილი ფართოდ მოირთხამდა ფეხებს, და სასიცოცხო ფეს-

ვებსაც ღრმად გასდგამდნენ თითოეული ამ „დოკლასპას“, „თავ-ბუას“ თუ „ცინგლიანის“ საარსებო ბაზაში! —გამიფიქრებია მე ბევრჯერ და ბრაზი მახრბობდა ჩემი თავისა, რომ ცხოვრებას ჩემთვის განსაკუთრებული სიძულვილით საზარელმა მაშინდელმა წესებმა ასეთი სოკოების უნებური მებღაღობა მომისაჯა მე უფისოდაც მძიმე ხედრათ.

სასწავლო წლის ბოლომდე სული კბილით მივტანე. და თუმცა ჩემი ხელობა გულთით მიყვარდა, თუმცა, რომ ეს უტყინო და ხეპრე შშობლები არა, ამ გამოუსადეგარა მასალაზეც სარგებლიანად გასჭირდა ჩემი დაცლილი ხერხი თუ სამართალი, მე მაინც წლის ბოლოს კვლავ იქ მასწავლებლად დარჩენაზე უარის ქალადი წარუვდგინე, ვისაც ჯერ იყო.

— რატომ, ბ. კალისტრატე, რა მიზეზია?!

შეშფოთებით მეკითხებოდა სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარე და მწუხარებით დასძინდა:

„როცა უკვე სკოლას ერთგვარი წარმატება ემჩნევა თქვენს ხელში, როცა ჩვენც გული თითქმის. და მშვიდებული გვექონდა...“

აქ სწყდებოდა მისი სიტყვა და იწყებოდა ჩემი ჯამგირის, ბინის თუ სხვა და ხვა დარგთა ფეროში ყინულებზე ჩამოშვების მოსურნე დირიუბლის განბილებული თარეში.

მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. და მეც მეორე დღეს ჩემი კიდევ იქ დარჩენის საკითხში, ყინულზე კიდევ უფრო ცივი და მიუტარებელი, მოეჭოდი მატარებლით უკანვე ისევე ჩემი „კენჭებისა“, ჩემი საყვარელი „ველური მთის ქანებისაკენ“...

ონისიშე.

მ. გოთკის შეხვედრა სადგურზე



—გაღვიდე — ვაი, არ გაღვიდე უი..

თანამედროვე „მეზიანიზმის“ განმარტება გორკის მიერ ანუ
გსპერზე თუ ზელსაირზე



— უპ, როგორ „დაბუნო“ მეზიანებით შეუწყვიტო ხმაი..

მ ფ ლ ა ნ გ ვ ე ლ ი

(პაროდია — შარტი)
(სცენა—ციხის წინ).

ზორა. თენდება დილა, დაპყრეს ზარები,—
კამოუკეტეს ციხეს კარები; ;
ციხევე, გიკეთდეს მომგონებელი, —
შენ ხარ ქურდების დამლონებელი!
ქმარი: მზე ამოდის და ჩადის,—
ჩემ საკანში კი ბნელა;
დღე-ღამე დარაჯი დადის
ჩემს ირგვლივ ნელა-ნელა...
დარაჯი: დელო ისპორტიტ გლუპცია, —
აბვინიაიტ სლუჩია...
ქმარი: თავო ჩემო, ბედი არ გიწერია, —
ოხ, ქურდობავე, ეშხით არ გიკედრია.
მითხრეს: ციხე ყველა ქურდის მტერია,—
ჩემი თავი ოთხკედელს უქერია...
დარაჯი: ამაზეა ხათქვაში მგლიას ისტორია,—
და რასაც ეხლა გიმღერთ, იცოდეთ რომ სწორია.
„ბედნი ლისცა პლაკალა:
ნე პრიშლა კაშნე სონია,
ლიშ კურიატნიკ ნაშოლა,
პატკაპად ევო დონია...
გუსი, უტკი და კურცია,—
ესემ ზადელ ზუბი ოსტრია;
ნო ტამ საბაკა ვსტრეტულა...
ატარავალ ონ მნე ხვოსტია...
ქმარი: მეგელსა თურმე მგლობა ჟქეს, —

ტურამ მხარე დაქცია;
ათ წელს მე აქ როგორ ვაეძლო,—
უნდა მივეც კასაცია...
დარაჯი: აბა, მაშ, რა გეგონა,—
სალაროს რომ აღებდი,
ფულეებს იტაცებდი, და
კახინოში ავებდი?!.
ცოლი: ნე სპრასილა, გავარილა,—
ვახშილა, ნე პალაეილა...
ქმარი: ვინ არა იცის, რომ აქ ჯდომა მწარია,
დღეს გაფლანგვით არავის გაუხარია...
ცოლი: ჩემო ქმარო, მანდ რად ზიხარ,
შენი ბრალი რა დიდია?
შიპასუხე, გვედრები,—
გულზე ცეცხლი მიკიდია...
მეზიანობდათ მეტებს ვსჯიო,
კახინი ფული ყლაპუმ,
ათი წელი ციხე მსჯიანი (პაუზა).
ცოლი: კარაულ... სკაეი, სოლნცე,
მოი მუე ტამ კაკოი დნია?..
დარაჯი: ჩემო სპრასილ, ნებო რაენო მუეა სპრასიტ კაკოი რიად?
ცოლი: სამნოი ეილ ონ დეხლი იმელ,
სტაბოიყე კაკოი დნია?
დარაჯი: ტი სამ ზნაიშ, რომ მეტებს წვერებ ვისოკია;
ტამ სილიტ ტევერ ტვიო მუე,—
შეია ემუ სკურუჩენია...
ცოლი: სამნოი ბილ ონ, დენეგ ტრატეილ,—

სტაბოი ოხ კაკოი დნია?..
დარაჯი: ზა რასტრატე მნოლო ოინგუ,—
სილიტ ონ ტამ სეგოდნია...
ცოლი: კარაულ... სკაეი,მოი დუშკა,
მოი მუე ტამ კაკოი დნია?..
დარაჯი: ზამოკ ემუ რუკი ჩეშეტ,
რეშოტკა ლომ პოხოლანდია...
ცოლი: ატკროტი ემუ დვერი—
ილი სკაეი ჩტო სნიშია?..
დარაჯი: ევო ნეკტო ნე უვიდეტ,
ლეტ ნა დესიტ პრისლანია...
კუევშინ, ჩტოზი ნესტი ვოდუ,—
ესევა ემუ ნესლურია...
კავდა ნიბუდ სლამიაცა,—
იზნი სებე მუე ლუჩია!..
ცოლი (ქმარს): ქმარო ჩემო, ნე პუსკაეტ,
ზდეს კარაულ დერეიტ თოფი,
შენი მზერა შორით გულს მწვაფს,
და მედება, როგორც ცოფი...
დარაჯი (კალკე): ანა სტროიტ ზდეს მნე გლაზკი, —
ო, აპასნა ეია ლასკი.
ქმარი: ცოლო ჩემო მიშველევია,—
ხერხი რამ მოიგონო:..
მე თუ ხშირად მატუყუბდი,—
ენლაც რამე ილონეო...
ცოლი: ვეცდები რამეს აქ მეო,—
იქნებ გავაწყო საქმეო...
დარაჯი: ეტა ეენშინა სატანა!
(ზურგს შეაქცევს).
ცოლი: არძალმის მეტის ატანა!..
(ეხვევა).
ქმარი: ცოლო ჩემო, რაცა გთხოვოს, —
მიეც, გევედრები მეო;
იქნება ხსნა რამე მომცეს,—
მომიხიბლე როგორმეო...
ცოლი: კარაულ... მოი სერდცე ბუსი,—
ამბატუმ ტებე ნა უსი!..
დარაჯი: ასტავე.. შენია ნე ზამანიშ,
მნე ნე ნუენო ბუსი ვაშის...
ცოლი: დუშკა!..
დარაჯი: ასტავე!..
ცოლი: გულის უშკა,—
დარაჯი: ცუდათ ჩაგვიღის იგრუშკა...
ზორა: ფრთხილად იყავი, დარაჯო მგლანგველის დასჯას რალა ჯოზს?!
ქმარი: ვაიმე, ახლა რალა ვქნა.
თუ რომ წამიხდა საქმეო...
ცოლი: შენ მანდ იჯექი, გენაცვა, სხვა დუშკას ვახავ აქ მეო!..
ქმარი: ვხედავ, ცოლმაკ მიღალატა წყეულიმც იყავ შენ, არტო, ათ წელიწადს ამ ციხეში როგორ გავძლო ასე მარტო...
ცოლი: ამაღამდელი ლამეო, ნუ გათენდები მალეო... (გარბის).
დარაჯი: მეტების ციხევე მაღალეო დღე — ლამ შენ გენაცეალო...
ზორა: მეტებისა ციხეო, სურვილითა გნახეო; გამფლანგველი მანდ არის,—
ქარგად შეგვიანებო!..
ტარზან:

მუნჯი რადიო

გორგი და მ. ჯავახიშვილი

(ქუთ. მაზრა, ს. ამაღლება)
 ამაღლების რადიო,
 ზად ხარ დადუმებული,
 მენი ხმა გამოგონე
 გამიხარე მე გული


ექვსი თვე შეგისრულდა,
 შკაფში ხარ დამწყვდიული,
 იქნებ გშია, გწყურია,
 ან ფეხს გიშლის წყეული?

პირველ ანძის ამგებად,
 ტენიკები მოვიდა,
 მთელი დღე იმუშავეს,
 მაგრამ რა გამოვიდა?
 ერთი ანძა აფიგეს
 და მეორე ძირს გდია,
 ზედ „ანტენა“-ს მეთუღი,
 საცოდავად ჰკიღია.

მისთვის მიშას ხალხი სთხოვეს:
 „მოიკიდე მადლიო,
 სამკითხველოს გამგე ხარ,
 და მოგიწყვე რადიო!“

თორემ მსგავსი რადიო,
 დღეს ხალხისათვის ფუქია: ?
 მას ხმის მოსმენა უნდა,
 ეს რადიო მუნჯია!

შაშიჩარი



—პირველი ჩემი თხზულებები: „ჩანჩურა“ და.. მე გორკის გავლენით დავსწერე, ხოლო შემდეგ კი „სამშუპ-ხაროდ“ ჩემი საკუთარი გზა ვნახე.

ქნელი მღვთაშობის გადალახვა

(რუსულიდან)

ერთ მშვენიერ დილას დირექტორი, კონდრატე პირ-დაპირიძე დარწმუნდა იმაში, რომ მისი ქარხნის ხელ-მძღვეანელ აპარატში მთელი ასი პროცენტით ფეხი აქვს მოკიდებული ლაქაობას, პირში ლაქტუსა და მლიქვნე-ლობას.

მას მთელი თავისი არსებით შეჰზარდა ეს საშინელი ავადმყოფობა და დაიფრინა რა თავისი კაბინეტიდან ყველა ლაქტუსა, ლაქ-მაქი ხალხი, დაიწყო აღნიშნულ სი-საძაგლის აღმოსაფხვრელი გეგმის შემუშავება.

— დაბალ თანამშრომელთ აბა რა უნდა მოსთხოვო, ისინი მაგალითს თავისი უფროსი ამხანაგისაგან ღებუ-ლობენ. უნდა დავცხო ზევიდან. ავიღოთ მაგალითისა-თვის კვიციშვილი. აბა, რა საქმეთა მმართველია ეს დოკ-ლაპია? სუთი წუთის გაძღება არც კი შეუძლია ისე, რომ ვინმეს „ენა არ ამოუსვას“. მივაწვევ იმას უკან ყველა თავის გადასულს, რომ ამის შემდეგ სხვებმა მაინც ის-წავლონ ქეტა!..

პირდაპირიძემ აიღო ბლოკნოტი და შეუღდა ქარხ-ნის სამმართველოსადმი ბრძანების წერას:

„ამხანაგი კვიციშვილი მის მიერ ცხადებულ ლაქ“..

დირექტორის ხელი უცბათ შეკრთა და შეჩერდა. მის სახეზე სერიოზული გამომეტყველება აშკარა მწყუხ-რება შესცვალა. მას ცხადათ წარმოუდგა თვალწინ ტრეს-ტის გამგეობის წევრის, ლაშაბაქაშვილის ამ ამბით შემ-

ფოთებული სახე.— კვიციშვილი ხომ მისი რეკომენდა-ციით იქნა მიღებული სამსახურში!..

და პირდაპირიძეს თვალები გაუწვრილდა:

— მებრალეა კვიციშვილი მართალია, ის ლაქ-მაქე კაცია, მაგრამ თავისი სამსახურის შეუღარებელი ამსრუ-ლებელაჲ იმავე დროს... გაუფელვა უცბათ პირდაპირიძეს და დაწყებულ ბრძანების ქაღალდს, მოკმუქვნის იქვე, კა-ლათში გაუძახა.

— აი, ჩვენი სამწეო ნაწილის გემგე, თხუნელაჲ კმ აუტანელი კაცია, დღე და ღამ სულ იმაზე ფიქრობს, თუ საზონ-მოუსმელად როგორ მორთოს შეძრობა ყოე-ლად დაუშვებელ ადგილას. ხეაღვე, რომ იმისი ხსენე-ბაც კი არ იყვს იქ..

პირდაპირიძემ უკვე ამაუწო კალამი მელანში, რომ ხელი ისე გაუშეშდა, როგორც ჰქონდა:

—პოითმინეთ, ძმებო და მეგობრობო! თხუნელაჲ

ხომ თვითონ სიმონ გამცემლიძის ბართის თანახმად არის მიღებული... არა, რამდენათ გამოიმელაჲა მაინც ეს თხერა გოგრა, რომ ის თხერი კი ვერ მოვისაზრეს.. თხუნელაჲ, მართალია, ლაქიაა, მაგრამ სამაგიეროთ კი ახალგაზრ-დაა. ასეთებს დაფასება უნდა!..

დირექტორი უკვე შეუღდა სხვების ანგარიშს, მაგრამ ყოველი ახალი პიროვნების გახსენებაზე ყურში უფრ-

ს ა ხ ტ ა ლ ღ ა რ ჩ ე ნ ა



— ვაა, ეს ხალ შემოუყვანივარ; აქ ზომ ადგილი უკვე დაკავებული ყოფილა..

მაგრათ და მაგრათ ურეკავდა რალაც, თავისი სრული კლსუსურობის შეგნებისა გამო.

მცირე მფარველობათა მქონე ხალხისაგან უკვე გასუფთავდა ქარხანა. უკანასკნელი წმენდის დროს დარჩნენ ისეთნი, რომელთაც არა თუ ძლიერი მფარველები, არამედ პირდაპირ მთა ყუარჯენები ჰქონდათ მხრებში შეყენებული.

ამავე დროს კი ღირსეშანიშნაფი კვიციშვილი, საიდგანლაც უკვე შემომტყვრალიყო პირდაპირიძის კაბინეტში, და ესლა დირექტორის წინაშე თავლიეით დნებოდან:

— ძვირფასო კონდრატე კონსტანტინესძე, თქვენ ისეთი მოქანტულობის ფერი გაძეუთ სახეზე, რომ მე უკვე განკარგულემა გავეცი თქვენთვის მანქანის მორათმევის შესახებ!.. თქვენ უნდა გაუფრთხილდეთ თავს, თუნდაც ქარხნის ინტერესების გულისათვის!..

პირდაპირიძე სიანსხლისაგან დაკუნტრუშდა, სტაცა ხელი პორთფელს და შურდულიეით გაუარდა გარეთ.

შიგ კარებში ის შეეჩება ქარხნის მთავარ ინჟინერს და კარძიან ფეხზე უხეზად დაადგა თავისი სპილოს ფეხი. დაშავებულმა საზარლად დაიკლანა დირექტორის ფეხებში და ნაძალადევი ღრეკით ძლივს წამოიკნაევა:

— მპატიეთ, კონდრატე კონსტანტინესძე, ჩემი სოტლანქეი მე, როგორც უხეში დათვი, ისე შემოგიგარდით პირდაპირი ფეხებ ქვეში!..

გახლებული პირდაპირიძე ისარიეით დაეშვა კიბეზე, ვადასჭრა გზა და ლამობდა ეზოდან გაეარდნას, რომ გასავლელთან არ შეჩერებულეყო ერთის წამით. სანამ დარაჯი კიშკარს გაუღებდა.

პირდაპირიძეს ტანის საპეით, კბილთა ჩენითა და კუდის ქიკინით მიუახლოვდა ქარხნის ეზოს ძალლი და დაუწყო რალაც გამოუთქმელი მონური გრძნობით ერთი

დაუსრულებელი აღერსი, ჩექმის კაისი უძახედა, ფერდებით ზედ მიკრობა და ტუჩებით ლოკეა.

პირდაპირიძეს მოთმინება დაეკარგა:

— ეხლავე გაავდეთ ეს ლაქუცა არსება აქედან!.. ხუთ წუთში, რომ მაგის სახსენებელიც არ იყვეს აქ!..

დარაჯს, როსაპას რისილაც თქმა უნდოდა მან თითქოს კიდეც გადასწყვიტა ენის შებრუნება. მაგრამ ხმა-მაღლა ძლივს ეს-ლა წარმოსთქვა:

— მესმის!..

პირდაპირიძეს უცბათ თითქოს რალაც მოეშვა. მან თავი დაკმაყოფილებულათ იგრძნო:

— ერთი ლაქიით ნაკლები იქნება მანც.. დასაწყისში უკვე არის!..

ამ დროს დარაჯი, როსაპა, ერთეულების გრძნობით გაბასრული უკვე დასდევდა საბრალო ჩოთაჰი ოასაჰი რად.

ძალს კი ვერაფერი გაუგო. სეტყვასავით მის თავზე გაწვიმებულ ქვების ყოველ მოხვედრაზე მის ტანზე კუნთები რეზინიეით ხტოდენ, ცქმუტავდენ და ძაღლიც ღრენით და წქმუტუნით გარბოდა ეზოდან.

ის კაი მანძილთ განშორდა ქარხნის ეზოს. მაგრამ მალე ისევე მოუახლოვდა მას და უკვე ჩამოკეტილ ალაყაფის კარებთან მოჰყვა გულის გამწყალებელ ყმუილს.

ქიშკარში გამოჭრილი საკონტროლო სარკმელი გააღიწია და იქიდან გამოჩნდა როსაპას, გაბურძევილი თავი:

— ნუ სტირი, ყურშია მე შენ წაგიყვან მგორე ქარხანაში და იქ მოგაწყობ. იქ ჩემი სიძე მსახურობს, გეცხის!..

თ ვ ი თ ე კ ვ ლ ე ლ ო ბ ა

ქათამი, რომ ქათამია, იმას, რომ დაკლულს დაგინახავ-
 ეთ თვალბეზე სრემლები მომადგებოდა. ვინ იცის, იქ-
 ნებ კიდევაც ავტორებულყავი, ქათამის გემრიელი ხორ-
 ცის გემო რომ არ გამხსენებოდა ამ დროს. ასეთი ხასია-
 თის კაცი სხვის სიკვდილს რავე გაევიღებ, აბა, გულში
 და მით უმეტეს ჩემი საკუთარი თავისას, რომელიც მუ-
 შეკოპის მალახიაზე ძვირად მიღირს.

მიუხედავად ამისა, მე მაინც მებრალება ხალხი,
 რომელიც თავს იცავს ხოლმე.

ერთ მშვენიერ დღეს მე განვიზრახე ამ სოციალუო
 ბორბლებს ნამდვილ მიზნებათა გამოჩვენება. ავიღე ჩემი
 სამწერლო მოწყობილება. გაუღდექი ქუჩებს. არ გამივლია
 ბევრი მანძილი, რომ ერთი სახლიდან კივილი შემომქსმა.
 ოთახში შესავლთან იატაკზე ესვენა ერთი ახალგაზრდა
 ვაჟი, რომლის ახლოც ცგლო გრძელ ტარიანი დანა.

— აბა ჩამომეცალეთ!—დავიძახე მე და მიცვალე-
 ბულისაყენ წავეიწიე. ხალხს გამოძიებელი ვეგონე და მა-
 შინვე გზა მომცა.

— ვინ არის ეს ვაჟბატონი?—შევეკითხე ერთ ქალი-
 შვილს, რომელიც თავზე ადგა ფერ-წასული.

— ივანე ბაკანაშვილია, ბატონო. მიპასუხა მან.

— რამ მოკლა?

— დანამ მოკლა, ბატონო, დანამ დამღუპა, — მი-
 პასუხა მან და ლოყებზე დაიხევა ხელი.

— იმას კი არ გეკითხები, ვინ მოკლა - მეთქი?

— თავისი ხელით მოიკლა, ბატონო, თავი.

— მიზეზი რა იყო?

— მიზეზი მე ვარ, ბატონო, მე მოშკალით მე მეს-
 ჩოლებთ. მორთო ქალმა კივილი.

— ვინაიდან ქალი კივილს მოუწდა და მკვდარი კი
 არაფერს მეუბნებოდა, ისევე სხვებს შევეკითხე და გამო-
 ვარკვიე, რომ იმ ვაჟბატონს ყვარებია ეს ქალი. ქალს უა-
 რი უთქვამს. ვაჟი გაბრაზებულა და თავი დაუტლავს.

— სულელი—ჩავილაპარაკე მე, მაგი მართლა დასა-
 ვლავი ყოფილა, რავე მან თუ არაფერი იცოდა მისულიყო
 სტატისტიკურ სამმართველოში და ეტყოდენ. რომ ერთ
 კაცს 4 ნახ. ქალი უწევს. ამის შემდეგ ვაგივე, რომ ერთმა
 კაცმა თავი მოიკლა დღისით რევოლვერით.

— ალბათ, ისიც სასიკვდილო ყოფილა, თორემ რაღა
 ამ შუადღეზე მოსურდა სიკვდილი—ესთქვი მე და ნელი
 ნაბიჯით ვავსწიე, ნათქვამ მისამართით.

„სოლი გამექცა, ვერ ავიტანე ეს დარდი და თავს
 ვიკლაე“—პატარა ქალაღზე, რომელიც ერთ მოკლულს
 უნახეს ხელში!

— აი მერე სულელი—ესთქვი მე.— შე ოჯახ დაქ-
 ცეულო, მე გამოგატანდი ჩემს საკუთარ ცოლს. თუ ასე
 გინდოდა ამ სიძვირის დროს ქალი, სულელი ყოფილხარ
 შევეუქრობე ერთიც და წამოვედი. ქუჩაში ვილაცხს მია-
 სვენებდენ, ხალხი ბლომად მოყვებოდა და მეც ვაყვეფი:

— მერე რა მოუვიდა?—შევეკითხე მე.

— თავი მოიკლა საწყალმა გუშინწინ — მითხრა ერ-
 ზმა.

— სხვა ვერაფერი ნახა საქმე?—უთხარი მე—ჩა-
 წერილიყო შრომის ბირჟაში, თუ უსაქმო იყო, და საქმეს
 გაიჩინდა.

— ბირჟაში კი არა მშვენიერი სამსახური ქონდა მაგ
 უბედულს—ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა.

— აბა, რაღა უნდოდა?—გკითხე მე.

— ბედი არ წყალობდა საცოდავს, ბედი, ერთი წლის.

განმავლობაში სამი ცოლი მოიყვანა და სამივე მოუკვდა
 ვერ აიტანა კაცმა ამდენი დარდები და თავიც მოიკლა—
 ნაღვლიანად დაამთავრა მოხუცმა.

— მეტი ჰქუა თუ არ ქონდა, ვითომ ამდენ ხანს
 როგორ ცოცხლობდა,—ესთქვი მე.—მეყევანა კიდევ თუ
 უტოლოთ სიცოცხლე აღარ შეეძლო. დმერთს მაგისთვის
 ბედი მოუტია და მაგას ვერ მოუხმარია.

— არა, ამდენი სულელი რავე ყავს ამ ღმერთს.

ფვიქრობდი მე— ას მესამე თვითმკვლელობა ვნახე და
 ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მკვლელობის გა-
 სამართლებელი რაიმე საბუთი ქონდეს. კაციო ცოლი
 გიქცა,—თავს იკლავს, მოუკვდა,—თავს იკლავს, არ წა-
 ევა,—თავს იკლავს!.. ამ ოჯახქორებს რა დარჩენია ამ ცო-
 ლებაში? მე დღე და ღამე იმას ვლოცულობ. იქნება რა-
 გორამე მოვიცილო მეთქი—და ესენი კი წინააღმდეგს შეე-
 ბიან.

ამ ქუჩებში კარგა გზა გამეგლო და ერთ ქუჩაში
 მივსულიყავი. არ გამივლია რამდენიმე ნაბიჯი, რომ რა-
 ლაც ხმაური შემომქსმა.

— აღარც ეხლა ჩამომეხსენები!—დაიძახა ვილაცად და
 რევოლვერიც გაეაზდა. მოვიხედე და ერთ ეზოში დავი-
 ნახე, თუ ერთი შუახნის კაცი მიწაზე როგორ გაგორდა...

— რა მოუვიდა რატომ მოიკლა თავი?—შევეკითხე
 ერთ მოხუცს დედაკაცს რომელიც გაშეშებული იდგა.

— გაამწარეს, შვილო გადაეკიდა ეს ოჯახ - დასა-
 ქცივი: გინდა არ გინდა, უნდა მაცხოვროყო, სამჯერ იყ-
 ენენ „ზაქსში“, მაგრამ მისი მოცილება არ მოხერხდა.

— ეისი დედი ვინ უნდა მოეცილებია?—შევეკითხე
 მე.

— ვინა და ცოლი, შვილო, ვერ მოიცილა ვერაზგით.

— უბედური—შევიძახე მე. აი, კაცი, რომელსაც ქო-
 ნდა საბუთი თავის იკვდილისათვის—უთქვი მე და გა-
 მიხარდა, რომ ერთი კაცი მაინც ვიპოვნე სამართლია-
 ნად თვითმკვლელი.—მინდოდა გმირის ცხედარი მენახა
 და ამ მიზნით ქალთა ჯგუფი გაეარღვიე, რომელიც მო-
 ცვალებულის გარშემო შეგროვილიყვნენ.

— მომეკით წყალი, მომეკით—დაიძახა თვით მკვლე-
 ლმა და თავი წამოსწია—მიშველეთ მომეხმარეთ—იძა-
 ხნა, ის და დაქრილ მკლავს იშინჯავდა.


— ჩაღად გინდა, ძმაო, მოხმარება, მოხმარება კი
 არა დაბეჭე თვალბეზე. იქნება მალე მოკვდე, თორემ შე-
 ნი ცოლი საგარაკოთ ვასამზავერებელ ფულს მო-
 ვთხოვს—ვუთხარი მე დაქრილს. და აქეთ წამოვედი. მე-
 ორე დღეს ვაგივე, რომ ის კაცი საეჭიოდ წასულიყო
 სააუადმყოფოში და ექიმებს ბევრ ფულსაც შებირე-
 ბოდა, თუ მოაჩენდენ!..

— მოდი და ამის შემდეგ შენ გაარკვიე თვითმკვლე-
 ლის ლოლიკა: ზოგი იმისათვის იკლავს თავს, რომ ცო-
 ლად არ მოყვება. ზოგი ხოლო იმისათვის, რომ წაყვე-
 და არ შორდება, მარა არც უტღის. მე კი, უნდა გამო-
 ეტყუეთ, ვერც ერთ ამათანს ვერ მივბაძე. მე ვერ ვუ-
 ლალატებ ჩემს ეფიზოს და თავს წინ წინ ვერ მოვიკლა-
 ცოტას კიდევ დავუტდი, იქნება უკითონ რსურვის გასე-
 ირება თავის საკუთარ წინაპრებისაკენ. ამ შემთხვევაში
 ჩემი საკუთარი წინაპრების მისამართსაც არ დავიშურებ
 მისთვის...

და რომ ეს იმედი მაინც არ მასულდგმულდმდეს
 თვითმკვლელობას მე სხვები დამასწრებდენ?!

ბ. იბოლი.


რაც მოგივა ღავითაო, ყველა უენი თავითაო!..



ყოველის უემძლე იყო სახლის პატრონი გეო. უთქვამს: ჩემს სახლში, რაც მსურს მას მოვიქმედებ მეო.



სახურავს დაშლილს, დახსნილს უემჩნევს კომისია... გეო დგას ისე, თითქოს იქ ანძად ჩაუსვიათ.



მაგრამ ითმენდა მღვმური ყველაფერს, როგორც კრავი, მაშინ მია უემოთ გეომ დაშალა სახურავი.



ყველა გეოჯაჯ სახლში ერთი საბჭოთა მღვმური; მას გინებ - ლანძღვით გეომ გამოუქმეა ყური.

სიზმარების ახსნა

(ქ. ზესტაფონისათვის)


ღვინო ნახო სიზმარში, ეს ნიშნავს ქ. ზესტაფონის ელსადგურის საწყობის გამგეს, რომელმაც ისეთ გააძვირა ღვინო, რომ ბოთლი შვიდ-აბაზზე მეტი ღირს.

საშაქარლამო ნახო სიზმარში,—ეს ნიშნავს ზესტაფონის კინო-თეატრ „ეთერს“, რომელიც ისეთა დაქაჩებულს, რავარც მალრადე ღვდელის ძველი ზურჯინი და ხალხის მისატყუებლად გახსნეს საშაქარლამო, იქნებ ვინმემ ერთი აბაზი გაიმეტოს და ბილეთი შეიძინოსო.

გეძინებოდეს სიზმარში,—ეს ნიშნავს სანიტარულ კომისიას, რომელიც ამჟამად „მილ-ლეინძრათ“ იმყოფება, მაგრამ ერთი დაფაფხურებით, ალბათ, გამოიღვიძებს.

ავადმყოფი ნახო სიზმარში—ეს ნიშნავს იმას, რომ ავად გახდები, თუ კავშირის წვერი ხარ, მერამ მაქაე-რიანი ექიმის ორდერს. გამოვიწერს, მაგრამ ექიმს ვერ ნახაი, რადგან ყველა ემალება ასეთ ორდერს. თუ ვინც ცობაა, დაიჭირე რომელიმე ექიმი, წამოსასვლელათ უკვე ველად ეტლს მოგთხოვს. ორივე უემთხვევაში სიზმარს მნახველს სიკვდილი არ ასცდება.

ყვიროდეს ვინმე სიზმარში,—ეს ნიშნავს ეპოს მოლარე არტება განჩილასს, რომელიც ისეთ ყვირის ეპოში, რამ გეგონებათ ორთქლმავალი ყვირის დეპოშია კილყავი.



გადის დღე. ხარობს გეო.
თავი გონია ცაზე.
უეცრად კომისია
გამოჩნდა იმ ქუჩაზე.



გეოს სიტყვები „სულ“-ში
არც გარკარეს ახლო...
ჩაქინდრა თავი გეომ.
— „მშვიდობით ჩემო სახლო“-!!!
სინტო.

უ ბ ე ლ უ რ ი უ ე მ თ ხ მ ე მ ა

(ნეოკლასიკური პოეზია)

„სიყვარულს რა შეუძლია
იმას „მშაი“ რას მიხედება,
იანვარში „პაეარს“ მოცემს
შეა იელისში გაყინდება“.

ღონ-კიხობტი.

არვის ეგონოს ესე ამწავი ბოდვა ტერინსა
(ან და პოჩმახული ვინმე კრეტინისა),
ეს არის რეალური ფაქტი,
ჩემ მიერ ნახული რამოდენიმე აქტი-
რომანი პროზათ,
რომელსაც არ ვიყიდი ღერ პაპიროსათ.
(რადგან პაპიროსი გაცილებით მეტს ფასობს ამასთან,
ვიდრე „რომანტიკა“, რომელიმე ლაბათთან)
და მასთან,
საგანიც თავისთავათ გამოუცნობი ყოფილა...
(მე ამ შემთხვევაში ვინმე ვინმე ვერ დამაკმაყოფილა)
ყანტი იტყოდა: „საგანი რეალტივია“,
თუმცა მარტივია!
რომენ ფენომენი არის ყოველი!
თუ ქერივი დარჩა გაუთხოველი,
საკმარისია ქერივის სხენება.
რომ ავითანოს „ციებ-ცხელებამ“.
ცოლი რომ მიცვალვებულ ქმარს დამარხავსო,
თვი იმ დიდიდან „დაურწყებამდე“ ინახავს „მარხვასო“!
(ასე იტყოდა სოლომონ ბრძენი),
ეს ქეშმარიტება კი მე დღეს ვგორძენი!
(აი, სად ყოფილა ძაღლის თავი თურმე დამარხული...)
ყველაზე შმაგაო ქერივი „მარხული“ ს...
(მით უმეტეს, როცა დიდი ბჭეს ქერივობის „სტატი“
უხილავი ცეცხლი დაგვიღოს ტანში,

როცა მას, თანახმად მეშინაურ ტრადიციისა, ხელზე
ემთხვევიო!
(თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ასეთი შემთხვევით),
თუნდაც ის იყოს მახინჯი,
სადღურ მახინჯაურიდან...
ან და გავდეს... პოსტი... პროსტიტუტკას.
ან და გავდეს... პროსტი... პროსტიტუტკას.
და აგიშლის ტანში ზაფრებს...
და, დებიუტანთ, პოეტით აფაფრებს...
როგორც ჩემბერლენი, ვერ დამშვიდებ ნერვებს,
და დაიწყებ საეიზიტო „მანერებს“!
(მე ამაში დამარწმუნა პრაქტიკამ),
დღეს კი, აზნაგებო! ასეთია ჩემი ტაქტიკა:
გაფრთხილებთ ყველას!
მოერიდეთ, როგორც მტრებს,
ისე „საპატარძლოთ გამოწყობილ დედაბრებს“!
I.
ჩემი რომანის თაური. პირველი,
საოცარი და გასაკვირველი,
იწყება ასე:
მივდივარ გზაზე...

(სამკითხველო! დიდი ბოღიში, შენთან;
ავერ „მზეს გადავებდავ“ და ახლავე გაახლები...)
(პრადალენიე სლეღუტე).
ღონ-კიხობტი.

ქ მ ჯ რ ი ს ბ ზ ა ზ ი



ქალაქიდან საზჭოთა ავტომობილის

ვანდემ ზარანდია

პრილის პრილა დღეობა... ასლოვდება მორწმუნე-
დღესასწაული „ქრისტეს აღდგომა“ ტარდება ან-
ტირელიგიური პროპაგანდა. რაიკომის გაერთიანებულ
უჯრედის კრებაზე მომხსენებელმა ასე დაასრულა თავი-
ნი საბოლოო სიტყვა:

— „ამხანაგებო, რელიგია ჩვენში ჯერ-ჯერობით არ
არის აღმოფხვრილი. საქართველოს გლეხური ქეყანა
და რელიგიას კიდევ აქვს გასაღალი. უნდა ჩატარდეს
ანტირელიგიური კამპანია... რომ ძირშივე მოისპოს ეს
ძველთა ძველი ჩვეულებები... ამხანაგებო და გადამწყ-
ვეტი როლი მიუძღვის კომკავშირს. ამიტომ ყოველმა
უჯრედმა უნდა გამოყოფს კომისია, რომელიც პროპაგან-
დისტებს დაგზავნის სოფლად რელიგიისთან საბრძოლ-
ველად. ამხანაგებო გახსოვდეთ თქვენი მოკალეობა. იკო-
დეთ, რომ ცრუმორწმუნეობა უმთავრესი მტერია რევო-
ლიუციის!..“ — გაისმა ტანი. აჩოჩოლდენ. ირჩევენ კომი-
სიას ვანდემ ზარანდიაც ჩავარდა ანტირელიგიური პროპა-
განდისტთა წრეში. მას მოუწია წასვლა სოფელ მუხურ-
ში. მან სიამოვნებით იკისრა ეს დავალება. ჩავიდა სო-
ფელში. ის ეხლა სდგას სოფელ მუხურის აღმასკომის აი-
ვანზე და დროგამოშვებით ხელიდან ხელში გაგანიერე-
ბულ პორტფელს ატრიალებს. ხან პაპიროსი მოწვევის
დროს მკლავებს ქვეშ ამოიჩრის მას და სახეს სერიოზუ-
ლობით ამძიმებს... კრებაზე მოწვეული გლეხები ფეხის
ცერებზე შემდგარნი ითვლიან, იბებებს და ბეწვის ქუდე-
ბიდან მოწიწებით სალაპს აძლევენ ევროპიულათ მოკა-
ზმულ სტუმარს. დარბაზი გაივსო ჩოჩოლით. — ამხანაგე-
ბო — მიიპყრო ყურადღება აღმასკომის თავმჯდომარემ

— კრებას გახსნილად ვაცხადებ. მოხსენებებს ანტირელი-
გიის შესახებ გააკეთებს ცენტრიდან ჩამოსული პროპა-
განდისტები. გათხოვთ სენას.

ვანდემ გახსნა პორტფელი და ქაღალდები გადმო-
აღაჯა. სიჩქურე დაეცა. ჩაახველა. გალსტუქი გაისწორა,
თმაზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

— „ამხანაგებო, ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარიატის
დიქტატურის ხაზში... ე. ი. პროლეტარიატს ხელში უქი
ჩავს ცხოვრების სადაჯი და მოაქანებს წინ. სოციალიზმი-
საკენ. უკან მას უხიდება სოფლის ღარიბი გლეხობა. ჩვე-
ნი საბოლოო მიზანია რადიკალიზმის და კოლმეურნეობის
ბაზისზე შენდება ამგვარად სამრეწველო ცენტრები სა-
ხელმწიფო აპარატის ხელში. ის მონობლიას უქეთებს

ვაჭრობა- მრეწველობის არეს და თავისებურად ატრია-
ლებს. სოფელში კი საქმე სულ სხვანაირადაა. აქ უმეტე-
სი ნაწილი სიმდიდრისა კულაკების ხელშია. ამხანაგებო
თქვენ, ალბათ, დამეთანხმებით მე, რომ კულაკები მო-
სასპობია... გაისმა ჩოჩოლი. — ძირშივე მოსასპობია, ვა-
მზომ მე გადაწყვეტით. საბჭოთა არჩევნების დროს ისინი
არცერთი არ უნდა გავიყვანოთ. რით შეგვიძლია ჩვენ
ბრძოლა გაუწიოთ ამ კულაკებს? კონკურენციით. რაში
გამოიხატება კონკურენცია? კოლმეურნეობაში და კო-
ოპერატიულ ამხანაგობაში. კოოპერაცია მტკიცე საფუ-
ძველთაგანია მომავალ სოციალიზმის?! აქ მამაკაცებთან
ერთად ხელი-ხელ ჩართულნი უნდა იყონ სოფლის დედა-
კაცებიც.

— პრავა, პრავააა — გაისმა ქალების ხმა და რაშის
ცემა.

— ამგვარად. ამხანაგებო, — ვანდემ აუწია ხმას —
დღევანდელ დღეს თქვენებურად „აღდგომა“ ჰქვიან. ამ
დღესასწაულს ჩვენ უნდა შევხვდეთ უარყოფითად. სწო-
რედ ამისთვის ტარდება ანტირელიგიური კამპანია. უნ-
და ვებრძოლოთ ცრუმორწმუნეობას, რომელიც ხელს
უშლის ჩვენს საქმეს. ძირს რელიგია! გაუმარჯოს კომუ-
ნიზმს! დაამთავრა ვანდემ მოხსენება და ტრიბუნიდან
ჩამოვიდა. დადგა კუთხეში და პაპიროსი გააბოლა გლე-
ხები აჩოჩოლდენ. — ამხანაგებო — დაიწყო თავმჯდომარე-
მემ. — ივნიდან მომხსენებელმა დაამთავრა თავისი შე-
სანიშნავი სიტყვა და თქვენც ეს მოისმინეთ გულდასმით,
ამიტომ კრებას ვხურავ და გათხოვ „დაიშალოთ!“

შემდეგ ვანდემ მიუბრუნდა. გააბა საქმიანი საუბრ-
რი. იკინეს. ვანდემ პორტფელს ატრიალებს ხელში და
ცნობისმოყვარეობით უსმენს თავმჯდომარეს. გლეხები
ფეხშიძივით სცლიან დარბაზს.

— წავედეთ — მიმართა თავმჯდომარემ ვანდემს.

— პირველად მესმის აქ ასეთი დალაგებული და სე-
ოითოული საუბარი, — მიიშა?! — „კაპრიზობდა“ თავმჯე-
დომარის მეუღლე... ვანდემც იღიმებოდა და მოკლი პა-
სუხს აძლევდა გზა და გზა.

— დიან, კარგი იყო. გლებობაც კმყოფილად დაი-
შალა. ერთი შეკითხვა არ ყოფილა. ალბათ, ყველა დაე-
მყოფილდა მოხსენებით... — დაუმატა თავმჯდომარემ.

— მე კიდევ შევამოკლე ჩემი სიტყვა, რადგან არ შე-
იძლება გლეხებს ასეთ მძიმე ენით ელაპარაკო... — ჩამო-

სცენა პროვინციიდან



ტყიბულის მაღაროს სასადილოში

ერთვა კანდემ თავმჯდომარის ცოლს ხელი და გაულობა თვალებში.

თქვენ ხშირად უკეთებდით კამენტარიებს თქვენივე აიტყვებს, უფრო საუბრის გაუმბრალოება არ იყო საჭირო. ენახებოდა თავმჯდომარის ცოლი ნელად მიმავალ სტუმარს. თავმჯდომარე მოდიოდა შუაში. მაღურბრის სისტემის რევოლუციო კანქუცებზე ურტყამდა. ვანდეს კი ამაყათ მიჭჭოხდა თავი და მაღიზიარ იღვრებდა კისერს პორტფელისაკენ.

— აბრძანდით! — ცბუნზე ასვლის დროს მოიპატრუვა თავმჯდომარემ საყვარელი სტუმარი... — მე არ მწყამს დღევანდელი დღესასწაული, მაგრამ ცოლის „კაპრიზებს“ რა გაეწყობა? მოიბოდიშე მან, როდესაც თვალი მოჰკრა ოთახში გაშლილ სუფრას — მაშ, ჩემო ცოლო, რადგან ასეა საქმე, პატრისი კერა არ დაგეყოლო. ამხანაგო, ვანდე, თქვენ ამოიჩიეთ კარგი ალაგი, მორიდება სუ გექნებათ კომუნისტი კაცი ხარ ბოლოს და ბოლოს, — არიგებდა თავმჯდომარე.

ცოლიც დატრიალდა ფარშევანგივით. ვანდემ მას გააყოლა თვალები და შემდეგ მასპინძელს გაუღიმა თავაზიანად — „ნუ სწუხდებით, ამხანაგო მიშა! ნუ სწუხდებით! — გოგო ტერეზია, ზელი დავებანდე! მიამხა თავმჯდომარემ მეორე ოთახში შემჩნეულ გოგოს... ტერეზიამ საჩქაროთ მოარბენია წყალი და ტაშტი. დაიბანეს ხელები და შემოუსხდენ სუფრას.

— ჩვენი სადღეგრძელო იყოს — მიუკაცუნა მასპინძელმა ვანდეს ჭიქას თავისი ჭიქა და ვადაჭკრა.

დასახლისი მოუსვენრად ტრიალებდა და სხვადასხვა საქმელებს აყრიდა სუფრას. შეჭედიდენ. ვანდე ყლაპავს ლენის და შეუმბრალებლად ატყავენს წითელ კმეცხებს.

— არ გეგონათ, ამხანაგო ვანდე, თითქოს მე ეს დღე სასწაული მშამდეს, მაგრამ რა გაეწყობა ცოლის „კაპრიზებს“? ბოდიშობს შეზარბოშებული თავმჯდომარე.

ამ სიტყვებით მან შეუმბრალებლად ჩასცა დანა გეებრთელა შაქრიან პასკას და ნაჭერი ვანდეს მიაწოდა.

— თქვენი სადღეგრძელოა — თავაზიანად მიმართა ვანდემ ოთახიდან დაბრუნებულ დასახლისს, რომელიც ფერ-უმარულით გათეთრებულ სხმეს ღიმილით ჰხადრავდა.

— ეს ამ ოჯახის დასახლისის სადღეგრძელოა, დაიწყო ვანდემ მესამე პირზედ, სადღეგრძელო იმ ადამიანისა, რომელიც ქმნის ახალ ოჯახს სოციალისტურ ნიადაგზე აღმოცენებულს, უსურვეთ მას დღეგრძელობა და

ყოველგვარ სურვილებს გამართლება ცხოვრებაში — დამთავრა ვანდეს და ვაფლამე მიწანში მხოლოდ მასპინძლის ცოლს.

— ოოო, მამა იეაკის გაუმარჯოს — მოიწვია თავმჯდომარემ ოთახში დაუპატრუებლად შემოსული მღვდელი.

— სიკეთე და სიმდიდრე ამ ოჯახსა შინა, დამარბო მან ზეერი ასეთი დღესასწაული გაიგინონ

— გმადლობ, მამაო, დაბრძანდით!

მღვდელმა შეარჩია საპატრიო ალაგი და დაჯდა — მაშ, ეს გამარჯვება იყოს ახალ სტუმრის — ასწია

სასმისი თავმჯდომარემ. ვანდე თვალს არ აშორებდა დასახლისს. ერთი-მეორის უღიმიან და მაგიდის ქვეშ ფეხებს ათამაშებენ — ბატონებო დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ქრისტეს აღდგომას. — დაიწყოს მასპინძელმა და წამოიღა — დიალ, დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ „აღდგომას“. რაშია საქმე?! ნუ თუ ქრისტე კაცი არ იყო?! მას აფასებდა მათა. მღვდელიც ხომ საზოგადო კაცია. მას აფასებს ხალხი. — ამ სიტყვების გავონებაზე მღვდელმა ორივე ხელი მოისვია წვერზე და ცნობისმოყვარეობით თავმჯდომარეს გადახვდა. — ჩვენ კომუნისტები ვართ! ღმერთი არ გვწყამს! მართალია! მაგრამ ქრისტე რათ არ უნდა ვიწამოთ? ის ხომ ადამიანი იყო და... იგი... სოციალისტი?!

— მაშ — დაუმატა მღვდელმა და ლუკმა გადაყლაპა.

— ჩვენ გვაქვს ჩვენებური ტაქტიკა ყოველგვარ მოვლენისადმი. ასე არ არის? — მიმართა მასპინძელმა გვერდით მოარზოვე ვანდეს. უკანასკნელმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა. — დღეს სამღვდელობა საჭიროა იმდენად, რამდენად ის საბჭოთა ხელისუფლებას უქერს მხარს. მაშ, თქვენი სადღეგრძელო იყოს, მამაო ავაკი! — დაასრულა მან და სადღეგრძელო სასმისი გამოცალა.

— მათლობით — ჩაიდოღუნა მღვდელმა.

— ამხანაგებო — დაიწყო ვანდემ. ფეხზე წამოიღა. აბრძანდა. ღმილით მოსვა ქალის თვალბოიან წყლიანი მხერვა და განაგრძო:

— დაბრძანდით — სთხოვეს ირველიე.

— მე ჩვეულება მაქვს ფეხზე დგომით ევიპარკო, გთხოვთ სძენას. ვასწორად. სიამაყეს დაგეჯინა.

— მე აქ ჩამოსული ვარ რომ ანტირელიგიური კომპანია ჩავატარო. იქონიეთ მხედველობაში ისიც, რომ მე გადმოგზავნილი ვარ ცენტრიდან. ცენტრი კი ახლა ჩვენ გან ძალიან შორსაა. მე დავალბული მქონია. მატარებინა მთელი რიგი ანტირელიგიური კამპანიები, რომლის მნიშვნელობაც თქვენ, მგონი, დღეს მოისმინეთ ჩემს მონსტრებაში. გარდა ამისა, მე უნდა მოგახსენოთ. რომ ანტირელიგიური კომპანიის ჩატარება დიდი მოვლენაა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ამოიბს ვანდე და ბარბაცებს. თან თვალებსაც არ აცილებს მიწანში ამოღებულ მასპინძლის ცოლს. — პროლეტარიატის დიქტატურა ერთად ერთი გზა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისათვის. ორიენტაცია აღებული გვაქვს ინდუსტრიალიზაცია. ელექტროფიკაცია და კანალიზაცია ისევე. სოფელში კი კოლმეურნობა და კოოპერაციის გზარეულებისაკენ. ამიტომ მე მოვიტხოვე, რომ ამ კოოპერაციის ორიენტში ჩავებთ სოფლის სამღვდელობაც. ან მოლარეთ, ან გამყიდველათ და სხვა. მღვდლები საჭირონი არიან ჩვენთვის მდენათ, რამდენათ ეს წელან თავმჯდომარემც აღნიშნა, ისინი ჩვენთვის მოცულობენ. მაშ, გაუმარჯოს მღვდელ იეაკის თავის მიზნებში!

— მრავალ ვამეირ... წამოიწყო მასპინძელმა და მან მთელი სუფრა გავხმართა. მათვე აყვა ვანდემ თავისი ბატიკონით და თან ჩანგაღს ატრიალებდა ზულში კამეტიკონივით.

— ესლა ამხანაგებო, უსურვეთ ვამარჯვება ჩამწყალ ტერეზიას. უსურვეთ მას ბოლომდე არ მტყუპალოს

რადიო-გორი სოფლად

საკამიასერი (გურია)



ტარტაროზო, მსურს გაგაცნო
 დაწერილებით ჩვენი სერი,
 მსურს გაიგო, როგორ ხდება
 იქ ავ-კარგი ყველაფერი...
 მშენებლობის მოყვარული,
 კულტურული ხალხით სავსე,
 მაგრამ ნაკლი რომ არ ქონდეს,
 ასეთად ვერ შევადგას...
 „ბანკში“ ნახავთ თავ-რედ *)
 ლუკას.

გაასალა ჩვენში ხილი,
 კარიერის ძიებაში
 არის დიდათ გამოცდილი
 იქვე ენახავთ თეატრის საზღს,
 გადაქიმულ დიდს და ფართეს,
 ხელმძღვანელობა აკლია...
 (საყვედური ონიფანტეს!..)
 საექიმო პუნქტს ნუ ეძებ,
 რომ ავტიკედეთ თუნდ მუცელი;
 მარიამი არ წაგყვებათ,
 თეარ მოგვარეთ ლაფშა ცხენი
 შრომის სკოლის მეზონინი
 მოგვეგონებს მტრედის ბინას,
 „რატომ ჩარჩოს არ ჩადგამენ
 და ჩარჩოში კიდევ—მინას?“
 თემის საბჭოს მუშაობა
 მიდის ნელა, კუს ნაბიჯით,
 მისი ნაკლი ვერვის უთქვამს.
 თავმჯდომარის რისხვა შიშით.
 ეხლა ამით დავმთავროთ,
 რომ შევეხვით შემდეგ სხვებსა,
 წერილებს მიმოფანტვით
 კულტურულ თემს ჩირქს რომ
 სცხვებსა...
 „მოსკიტი“.


*) გაფრთხილება ყველას: თავ-
 რედ „ად არ წაიკითხოთ, შემოკლებ-
 ბულ თავმჯდომარეს ნიშნავს!
 ავტორი.

თავისი ერთგული სამსახური თავისი ბატონისთვის. და-
 ლიეთ!— დასცალა ყანწი თამადამ.
 — ნე სტოიტ მიშა— უსაყვედურა კოლბა.
 — ზაჩემ მადაშ— იძრო ბარიტონი ვანდემ. —ლენი-
 თი აბობდა, რომ „კაელაია კუხარკა დოლენა პრავიტ
 გოსუდარსტვომ“-ო, მეც ვუსურვებ, რომ მას გულკეთი-
 ლი სამსახური არ მოეშალოს თქვენთვის —დაასრულა
 ვანდემ ენის ბორძიკით და ყანწი დასცალა.
 — მალოობთ— წამოდგა თავმჯდომარე და სტუ-
 მარს არხეინად გადაეხვია. ვანდემ თავის მხრივ მღვდელს
 გადაეხვია. შემდეგ მიუბრუნდა მასპინძლის ცოლს რა-
 მელსაც, სიმბურვალისგან სახე ატკერცოდა. ვანდემ სცა-
 და ხელი მოეკიდა დიასახლისისთვის, მაგრამ თამადამ
 სტუმრის ასეთი ყოფა-ქცევა არ ეკაშნიკა და მოუწო-
 ლა მას წესიერებისაკენ::
 — გობოვთ, ყველამ თავ-თავიანთი ადგილი დაიკა-
 ვოთ— ბრძანა მან. ვანდემ დარიგება არ ესმოდა. ის დია-
 სახლის თავზე დაბარბაცებდა და ხელებს უფათურებდა
 მკლავებზე. აწწია თავი. სუფრა გამრავლებულათ მოეჩ-
 ვენა, ეხლა მან ფეხზე ჰკილია მღვდელიც, მასპინძე-
 ლიც, პატივისცემაც და სინდისიც. დაძლია ვნებამ. სტა

ცა ხელი მასპინძლის ვნება აშლილ ცოლს და მიძღროთ
 გადაეხვია. მოთმინება დაკარგულმა მასპინძელმა დავე-
 ლო ხელი ღვინით სავსე ბოთლს და სტყორცნა მოარზი-
 ყეს.
 — ვაიმე! —დაიყვირა ვანდემ და იატაკზე გაიშხლა-
 რთა. სისხლი გადმოშადრევენდა შუბლიდან. სუფრა აი-
 შალა. დიასახლისმა მორთო კივილი. მღვდელი მალი-
 მალ პირუტყვის იწერდა და ქორივით ტრიალებდა მაგი-
 დის გარშემო. ვანდემ ეგდო უძრავათ.
 — მე უნდა გამაპრიყვოს ქალაქელმა ინტელიგენტ-
 მა? — იმუქრებოდა თავმჯდომარე და თვალს განგებ
 არიდებდა იატაკზე გაქიმულ სტუმარს.
 — რამ გაგაშტერა, კაცო, სტუმარს ასე უნდა მოპყ-
 რება?!
 — ხმა ჩაიკმინდემ— მიამახა მან ცოლს და წაიწია
 მღვდელმა დააკავა.
 — მამო, შენი პატივისცემა, თორემ ორივეს ჩავა-
 ძახლებდი ეხლავე... —მოიბოდიშა აღმასკომის თავმჯ-
 დომარემ და მათუბერი გადმოიწია განზე, მეორე დღეს
 ერთ გლეხს შუბლ-შებვეული ვანდემ ზარანდია ურმით მც
 ყავდა მახლობელ სადღურისაკენ.
 თბილისი, 29 აპრილი. 28 წ.

გორისა (შორაპ. მარა)

ჩვენს სოფელს, გორისა,
საამაყოს წინად.
უკან ჩამორჩენა,
დახევა ხვდა წილად.
უპატრონოთ არის
სკოლა გაწვებული,
შიგ ნაფარდობს ქარი,
აღვირა-აშვებული...
ირგვილი დიდი ჭაა,
ბაყაყების ბუდე,
და ეზო იმხელა,
რომ მიბრუნდ-მობრუნდ
ორ წელს „ნაკაზშია“
მისი შეკეთება.
მაგრამ მის შესახებ
არ იზრუნა თემმა.
ექვსჯერ იყო კრება,
ოქმიც დაიწერა,
მაგრამ საქმეს ბოლო
ვერ უჩანს და ვერა...
დრო არის, შეუდგეთ
შეკეთებას მისას,
ბინა უნდა „ნორჩებს“,
სწავლის დაწყებისას
აღმასკომში დავალოთ
თხოვნებით და არსით,
არც ის იფერტხს ყურებებს
და არც „ნაწილობაში“...



პილსუდსის მომავალი გალაშქრება ლიბიის წინააღმდეგ

მა—რი.

კორკოული აპარკოვლანდა

„ცხონდა შენი ჰემქნელ-მშობელი— იტყვიან ნოლომე გლეხები, ისინი, რომლებიც შემთხვევით შეესწრებიან სოფლოურ ლხინსა თუ ქელებ-მელებში ჩვენს ყელ-გადაწეულ ექიმს—მიშას. რომელიც იმერულ ღვინოს ისე უშვებს „მახარისა ჭაბში“, როგორც „ტკბილ წამალს“.

მართალია, ამ „ტკბილ წამლის“ შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ტკბილი სიზმარი უფროა შესაძლებელი, ვიდრე ასეთივე სინამდვილე, ვინაიდან თუ ექიმი არა სეპს, მაშინ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთ ეარშიყება, ხოლო თუ არ ეარშიყება, მაშინ, ალბათ, სეპს და, მანუსადავმე, წამლის გამოსაწერად მას სადღა ეცლება, მაგრამ იმ სანეტარო ტკბილი წამლის შესახებ ჩვენ სიზმართითაც მშვენივრად შეგვიძლია მსჯელობა და დამტკიცება, რომ ტკბილი—ტკბილია.

თუ ტკბილი არ იყვეს, მაშ, ექიმი რათ სეპს და რომ სეპს, რათ არ იბერება?!

„ცხონდა შენი შემქნელ-მშობელი“, ეტყვიან ხოლმე მას გლეხები და აქიდან წარმოსდგა ექიმის მშვენიერი გვარიც —„ცხონდა“.

ცხონებაც კი საქმეა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ექიმი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უფრო უნდა იყვეს მოგონილი, ვიდრე ცხონებისა და საზოგადოთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის იქითა მხარეს მდებარე კიდეც უფრო კარგისა და, ჩვენი ძველების წარმოდგენით, კიდეც უფრო მშვენიერი რამე-რუმისათვის...

ასე არაა, სამაზრ-ჯანსაღ-განო?!

იგვი.

მ. მუთაისი ჩიონჯის სახმართველო

(სამასალო ნაწილის მისამართით)

სამასალოში, თქვენც იცით, არის ადგილი მზიანი, საქმისა მწარმოებელი, კაცი, ფლიდი და სვიანი, ფინასავით კულს აქნევს, გაქნილი გასაოცებო, ვერ დააბრკოლებს; თუნდ შეხვდეს კლდიანი ღრე და ბორცვები დაბალი ხალხის ლანძღვაში კისერი მიუღერიო;

ვინც მას „სმირნოზე“ არ უღვას, იგი სუყველას —მტრია, როცა უფროსთა წინაშე თვითონ სხეებს ანამღერია, რა ვუყოთ?—დროდან შეცვლილი ღდეს ბევრზე უფრო ბევრია! უმცროსებს თავზე აჯდება, უფროსს კი უწყობს კილოსა, ფლიდი ფლიდურსა ქცევაში რას ნახავს სათაკლოსა! კბილებით თთობს, რადგანაც გული სავეს აქვს შიშითა...

„არ გათვრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!“... უფრთი ფიქრობს: ქვეყანა საკრავი გრამაფონია!... მაგრამ ჩვენ ვურჩევდით, დაფიქრდეს: ერთ ადგილს ასრობს ფონია!... ფიორი.

„ნეპაროლოგი“

განსვენებულის (კოოპერატივის გახსნის) იდეა, ჯერ კიდევ „ცხონებულ“ ნიკოლოზის დროს ჩაისახა. ხოლო ამ შეიდი თვის წინა, გაზეთშიც იყო მოთავსებული დიადი მომავლის შესახებ პატარა წერილი. ამიტომ მასზე ზრუნვა იკისრა აღმასკომმა, რომელიც ერთხელ მოვიდა და ადგილობრივ შეისწავლა გასახსნელი პუნქტის გეოგრაფიული პირობები. რაკი ადგილი შე-საფერისად სცნო, მოიწვია მრავალ რიცეოვანი კრება, სადაც სანდ. კოხობემ, ლან. სამხარაძეს „უზნისტი“ უწო-და, რადგან ელადიმერს (რომელიც სიმართლეს და-ეყარდნო) გამოღმა უნდოდა მისი (კოოპერატი) გახ-სნა, სანდროს კი თავის უბანში (რომელია აქ „უზნის-ტი“ ეს „ტარტაროზმა“ იცის). ბოლოს, დიდი შეტა-კების შემდეგ, უპირატესობა მაინც გამოღმა ობ-ანს დარჩა, რომ არ გარდაცვლილიყო, ასეთია გან-სვენებულის მოკლე რევიოლუციონური წარსული.

მონდობილობით დათიკო ძველიძე.

შარჟი პროვინციიდან



— ხედავ სოფლის გზაზე „თათარს“?!

— რის „თათარა“ ჩვეულებრივი ვაუჯალი ტლაპოა, რომელშიდაც მგზავრი იძირება...

დეკემბერი

ლანჩუთი. ლანჩუთის სანიტარულმა სექციამ იგნისის 10-ს გამოაკრა პლაკატები შემდეგი წარწერით:— „ის ცხოველები (განსაკუთრებით: ღორბა, ძაღლები და თხები), რომლებიც შემჩნეულ იქნებიან ქუჩებში წესრიგის დარღვევაში, სასტიკ პასუხისმგებაში იქნებიან მიცემულნი“.

იქიდანვე. დაარსდა „ელაკომბა“ საზოგადოება, ვანოს მეთაურობით. წევრთა რიცხვი აღწევს შეიღამდე. **უპაღური შემთხვევა**

შუხუთი: შუხუთის კოოპერატივის ნოქარს ფულის ოპერაციების დროს მოულოდნელათ გადაცდა (სასულეში) 600 მანეთი, რომელსაც რევიზიამ აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება.

ჩიბათი. გომახურის კოოპერატივის გამგემ: „გაიმიას-ქნა“ 300 მანეთი.

ახალი კურსები

ლანჩუთის სააბრეშუმო პუნქტში ჩახვადის მიერ გახსნილია ლანძღვა-გინების კურსები. მეცადინეობა სწავრობებს პარკის ოპერაციების დროს, დილოს, 6 საათამდე. **„მარტისა“.**

„იემლის დაღუპვა“ (ს. ოზნა).

მოუთმენლისა და მძიმე ლოდინის შემდეგ გარდაიცვალა: გამომლა ოზნაში კოოპერატივის გახსნის იმედი. დაკრძალვა მოხდა ერთ თვეში 500 კომლ ვლების გულში. ერთხელ გულმემატკივარ რევიზიას, მობრძანდეს და გვანუგეშოს ჭირსუფაღნი. (დაკრძალვა მოუსჯელილობის ან „უამინდობის“ გამო, არ გადიდება)

ხების მოყვარული

(ოზურგ. მანრიდან).

ესე ამბავი სოფლიდან ქალაქში ჩამოტანილი „შათარის კუთხეს“ მომხდარი, ცრემლებით ჩამობანილი, გაღმობეს, რომ ივლავ გამოქეხარი დავითის, უნდა გავხადო ჩანგალზე წამოსაგებათ თავით—ის. მოგებხენებთ: ზამთარმა სოფელი წელში გასწვიტა ყველგან მოისპო ძროხები. ერთობ პირუტყვი გაელიტა შეიქნენ თხების ამბა, ქერი-ობლები და ღარიბი, თურმე ამ თხებზე გმირობას შეუდგა დავით—„ყარიბი“. ესე ქერივის თხებს რაინდი და დაიძახა: „მავათი!..“

ყველას დაეხოცავ, თუ შინდაც ფეხზე წამოდგეს მამათი!... ზოგს ყური მოისკრა, ზოგს—ენა, დასაჩენს ათარ ვეხები. რაღაბ დასაჩენ თხებისგან დარჩა ტყავი და ფეხები.. ასე დასრულდა, ეს ამბი, უსწორო, სწორ-უპოიარი და დარჩა თხების ჩლიქები დავითის მონაპოვარი.. ქერივი კი ცრემლს ღერის: დაქარიბი

თხები. ობლების მკვებელი, შენ თუ არ ისმენ. ტარტაროზ, ჯერ არ სჩანს ყურადმღებელი.. გესლი.

თხოვნა ტარტაროზს

(ავგულის წყალსადენიდან)

აქ გელოდებით ტარტაროზ! ჩამოიარე, ძამიკო. მონახულე უთუოთ შათირიშვილი შალიკო!

მუდამ დღე დამე მოერაღია და დაბარბაცებს ქუჩებში, ღრიოლებს, ქორიკანაობს, და მტრობას სთესავს მუშებში

ხევი ვიმსჯელით იმაზე, რებებზე მთელი დამებო, საგამ რა? ირსაც ვერ უთხრით. აწყალობენ ნათლი მამები! პირიღონი ყავს დამხმარე, და მანჯგალაძე ვალიკო, და ამ „სამებამ“ ტარტაროზ! ლამის აგვიკლონ, ძამიკო.

ამას წინაზე შალიკომ ვალიკოს თანახლებითა, ჯაბიაშვილის დუქანი გადააყრუეს ხმებითა.

გაიძხოდა შალიკო: „აი გიდი და გიდი, რაც მსურს, იმას ვაკეთებ, ეველა ფეხებზე მკილი!..“

იქიდან ძლივას დაბრუნდენ, მგზავრების დახმარებითა. იხსნიობდენ ერთმანეთს. მორიდებით და ქებითა.

ვადავიწყდა შალიკოს, ქი ელექტრონის მაშუქა, რადგან იმის თვლებში უმეკერიაღებდა სხვა ზუქი.

და ამ შალიკოს წყალობით ხელაში დავრბით მუშები, ჯოჯობეთს წარმოადგენდენ ვენი პარტაა ქუჩები.

ჩამოდი, ძამო, ჩამოდი, ზონახულე შალიკო, ექნება, შენი ჩანგლითა მუჟა ასწავლო ძამიკო!..

ენლნათური.

ნ ა ტ ვ რ ა

(ერთი ძველი ლექსის მიბაძვა)

სხვას არ ვინატრი, ნეტავი, რომ ტარტაროზათ მაქცია. ტარტაროზისა ჩანგლითა. კარდნახს გამომაქცია. ისეთს წავკრავდი ერთ ნოქარს, ფეხზეც რომ ველარ სღებოდეს, არამც თუ კოოპერატივს, სახლშიაც ველარ ჯდებოდეს,

გალიფეთ მორთულს გამსახლში ჩაჯდომა მოუხდებოდეს. მის მამა-ბიჭები „მუხის ტყის“ ყოველი ჯავრით კვდებოდეს, ათასი ეზოს ქანქარი პირიდან აღმოხდებოდეს. მისი ექნესა და ღრიოლი ქვიჩასს მოედებოდეს!..

ცხრა-კბილა

ტენეტა შილაბა



შოუს — ზაპესში

მამალმა რომ ყვილი შესწყვიტოს, ტროლოლამ ცაში გალობა. ძაღლმა—ყეფა, ხოლო ხბომ და ძროხამ—ბლავილი, მაშინ ხომ თავისთავად გამოელევიდა „თქვენს“ გამგეს და აღარც თქვენი ლექსი იქნება რამედ საჭირო. მის ძილს, ალბათ, სწორეთ ეს კონცერტი უწყობს ხელს თარემ, თუ ის დაირღვა, მაშინ „თქვენი“ გამგის მყუდროებაც დაირღვევა... ამიტომ დარჩეს ისეე გამგის ძილი ძალაში, ხოლო თქვენი ლექსი—სარედაქციო კალათში.

კაშო — ს—რაჰის მაი იაში

„ტარტაროზო

ძამია,

წამოლიდდა

შხამია....

ჩამოახხი

მაი—რაი...

რომ გლუხვომი

არია...-რ და სხვა.

ქვეშ კი ამ „ჩოლოქის სიგარე“ ლექსს მოწერილი იქნა კაშო—ა.

რედაქციის რეზოლიუცია ზედ ასეთია თქვენს პოემაზე: „კაშოლ—ა სარედაქციო კალათისაკენ!“

ი. ბაშვლს

არც ისეა, თქვენ რომ სწერთ:

„შენ ის მოგვეც (ქალაქელ ქალს ეხება), რაც გვაკლავა—

ქალაქისა ელვის ქარი,

რომ აენთოს ფინელიღმათ

ჩაქინდრული ქოზის კარი“-ო.

თქვენი სატრფიალო პოემიდან კი ისეთი „ცეცხლი“ მოშადროვებს, რომ ჩვენ საბუთიანში შიშმა შეგვიპყრო: ცეცხლი არ მოგვწნოს იმ „ქარს“ და არ დაიწვას მთლად—თქვა!..

ქარლ - გო - ს

ხილიან საბაშრითალოდან

ბარათ — ბამოხეთი ქარასა.

ბაზიპირღებთი ვიბასლოდის

ღიღი ლიბარტოს წირასა!..

კომპოლიქს.

„ერთხელ მსურდა თავი რომ ჩამომეხრებოდა“

ეს ამბავი თუმცა ბევრს არა სწყენოდა,

ვნახე სადაც დანგრეული „ხელეჩო“,

საც სიკვდილი მოუთმენლად მელიოდა“-ო.

გწერთ:

როგორ ფიქრობთ? ბრიყვები ხომ არ იყვენ, რომ ვისმე თქვენი განზრახვა ოღონდ მაინც სწყენოდა. თქვენ განიზრახეთ თავის ჩამოხრება „ხელეჩოზე“ და ისიც დანგრეულზე. გარწმუნებთ, იმის შესამოწმებლათ. თუ რამდენად გულწრფელი იყვენ თქვენდა მიმართ. ჩვენც ვსცადეთ, „ხელეჩოზე“ თავის ჩამოხრება, მაგრამ ვერა თუ დანგრეულ „ხელეჩოზე“, ასი პროცენტით უნაკლო, „მრთულ ხელეჩოზეც“, ვერ მოვახერხეთ ამ ოპერაციის სასურველად დაგვირგვინება. ამის შემდეგ, მთელი თქვენი „პოეტური შემოქმედება“ მიუაჩიეთ მტნარ ცილისწამებათ თქვენ ახლო - მეგობრებზე და ამ მიზნით თქვენი პასუხისმგებში მისაცემად გადავეცით საქმე მთლიანად სარედაქციო კალათას.

ბ. მანუცქიძეს

მივიღეთ თქვენი შარადა. შევუღებთ კითხვას და საქმე ქარულ მილიოდა, რომ უცბათ ბოლოს არ ჩაეფლა. ვებინა ის. თქვენ რომ სიტყვა გინდოდათ დასასრული-

სათვის, იგი იმ რეცეპტით ვერ ენახეთ. მიგმართეთ გოგებაშვილის ძველ „დედა - ენას“ (ზოგჯერ ასეთი საბუთის მოყვანა არც ახალ მეზარადეს აწყენს), სადაც ჩვენ და უნებლიეთ წავაწყდით ასეთი ხდაზას: „ოთხი ასოთი დასწერეთ ხმელი ბალახი“-ო ის კი, რითაც მიხდორა ვერ და ნახნავი იფარება გაზაფხულზე ხოლო შექმდეგ ფერს იცვლის. მზავალ ნაიოს ომ არის. სოლოდონ ზურგიელიძის ანგარიშით. ჯერ მარტო ცერკვეული არის ათამდე სხვადასხვა ჯიშის, თუმცა ზოგ კედელს ათივე ჯიშის მარცვლიც რომ შეეყარათ, მაინც არც ერთი არ შერჩება.

„დავალ - დავდივარ“-ს

ყველა „დავალ - დავდივარ“ ხომ სიარულს და მიი უფრო სწორე სიარულს არ ნიშნავს. თქვენც, აი, გინდათ ურადე მოგვეწეროთ საქილას ქარხნის შესახებ და ელემბით ლომბე - ყურეს:

„რომ დათვრება მაშინ

იტყვის ხოლმე ასე,

უნდა დავსტანჯო მუშა

კვლავ აწ მეთასე“-ო სწერთ.

შე შამაცხოვნებულო, ჯერ მოგვეწეროთ ცხრას ოთხმოც და ცხრამეტის შესახებ და შემდეგ გადაგეტანათ სიტყვა იმ მეთასეზე. მაგრამ, ალბათ რითმამ დაგულებათ. მაგრამ თქვენ კიდევ არაფერი იმდენი, ვიკითხოთ ჩვენ: ამ ხელა პოემა ჩაეკითხეთ და შოგ რაიმე ნათელი აზრის ნასახიც კი ვერ აღმოვაჩინეთ. ხოლო ყველაფერი ეს რითმების მიზეზით მოგვივიდა. დაანებეთ თავი ამ ოხერ რითმებს, მოგვეწერეთ უბრალოდ „ქრისტინულად“ რისი თქმაც გინდათ და მაშინ ნახათ, თუ როგორ შეხვდებით ჩვენ თქვენს ასეთს მომართვას, ახლა რომ ვეპყრობით მას, როგორც „ულმერათი საზოგადოების“ წევრი.

ღონ - კიხობს

თქვენ ათასი თუმანი მისაცემი გჭირათ მარტო იმისათვის, ვინც ლ. ფ-ლშვილს აგარაკზე წაიყვანს. თუ ესეც თქვენი მორიგი დონკიხოტაა არ არის აიღეთ და მიეცით ისეე ფ-შვილს. ამ შემთხვევაში გზაც მოკლე გექნებათ. სი მოკლე მარტო ქუეას კი არ უხდება, გზასაც არ აფინებს.



ექვს თანამდებობიანი ყაცი შორაბინდა

„მ ც ე მ ე, ო ლ ო ნ დ მ ა ს წ ა ვ ლ ე კ ი“

ანუ

კველი ფილოსოფია ახალი ყოფის სამსახურში



— ძია მამსივ, ძია მამსივ, რან მერჩით, რა დამიშავებია?
 — არა უშავს. ვიცი, უნ ვინ წაწვეა გეჩაბება და აი, მაც კველი ფილოსოფოსის მიერ აღიარებულ საშუალებით ცოტა დახეობება გიწვეს.

მეგობრობა

ამერიკული მოგვერდი

ესმის „იანკის“ არია,
რამაც „მაკაკა“ არია...



ჩინი—მინი, რას იტინი?
ამ „მაკაკას“ ჩინი შინი

რომ სხირს, იგნავს უენი ტვინი?
მაშ,—ბე—მოგტე გაიპინი..

ვ. კ.

ლალის წყლებზე „კაფემი“

(საზაფხულო)

მე უკვე მოგასწავნებთ ერთხელ ჩემი სიყვარულის შესახებ სტატისტიკისაღმებ. მეტი თავის ვაცნობა ამ დარგში ზედმატად მიმაჩნია.

მაგრამ აი, უცბათ ჩემ წინ წამოიჭრა საკითხი, რომელიც, ვფიქრობ, ჯერ სტატისტიკის მიერაც არ უნდა იყვეს სათანადოდ გაშუქებული, თუმცა მე საკითხში ერთგვარი ჩემბტური წინასწარი დაჯერება უკვე მაქვს. მე დაჯერებული ვარ ჩემბტური თვისობების სტატისტიკით, რომ ზამთარი თუ ღვინისა და საერთოდ — სპირტულის სეზონია, ზაფხული სხვადასხვა წყალეულის პერიოდით არის აღიარებული.

რა თქმა უნდა, ჩვენს ცენტრალურ სტატისტიკის სამმართველოს ჯერ ჯერობით, სანამ აღნიშნული პატივცემული დაწესებულება ვერც წოდებულ საზოგადოების კვების საკითხით არის დატვირთული, ჩვენ ვერ მოვთხოვთ უეჭველად ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მეორე, და, შესაძლებელია, მესამეხარისხიანი საკითხიც სავსებით ჩამოყალიბებული ციფრებისა და ცხრილებში, თუნდაც ჯერ ჯერობით, ისე და ისე „ანკეტი“-ს სახით.

მართალია, ქართული ეთიკისა და სიტყვარობის ზედმიწევნით მცოდნეს, მოქ. იოსებ იმედაშვილს უკვე იმ თავითვე ჩამოყალიბებული აქვს ჭამისა და სმის დამოკიდებულება ქართულ ლექსიკონში „სმა-ჭამის“ ფორმულად, რომელიც ფორმულის მიხედვითაც, სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ევალეზობა ჯერ და უპირველესად სმის, ხოლო შემდეგ ჭამის საკითხის შესწავლა და გამოკვლევა. მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც სჩანს, მას არ უსურვებია ამ შემთხვევაში პატივცემული იოსებ იმედაშვილის ფორმულით სარგებლობა და თავისი მოღვაწეობა კვლევა-ძიების სფეროში ჭამის საკითხით დაუწყია, თუმცა ამ შემთხვევაში სასმელიც ისე აქვს არეული საქმელში, როგორც საზოგადოთ ყველაფერი.

ჩვენ არ გამოვექიმაგებოდით ამ ეამდ იმედაშვილის ფორმულას, ვინაიდან თვითონ „პატრონი“ აღნიშნულ ფორმულისა ერთი ეყვის ჭამაგაბრ და მოსარჩლედ არა მარტო ამ ფორმულას, არამედ მთელ საქართველოსაც, რომ ამ შემთხვევაში არ გვაფიქრებდეს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ავტორიტეტი, პატივცემული ევგენი დვალი, რომელიც იცნავს რა იმავე თვალსაზრისს, რასაც იოსებ იმედაშვილი, თავისი მტკიცების დროს გამოდის შოთა რუსთაველის ცნობილი თქმიდან: „სმა-ჭამა, დიდით შესარგი, დება რა სეაარგულია“-ო.

ბოლოებს უტყაბუნებენო.

რა აზრი იქვს ამ ტყაბუნს? ზოთა რუსთაველის
მბულს უგულვით მტლანა-მტლუმიც“ კი მთელი ბედ-
ნიერებაა მასთან შედარებით. გარეშე მაყურებელში იგი
მხოლოდ უსიამოვნებას იწვევს.

ცუდია მხოლოდ და აუტანელი, თუ რომელიმე უაზ-
როთ გაქმეული „კულ“ ანუ „ბოლო“ ცოცხალ ადამიანს
სადმე სხეულის ცოცხალ ნაწილზე მოხვდა. ასეთ არა-
სახარბიელო წუთს გურული ქალი წამოიძახებს ხოლმე:
„ტანში დამზრინა!“-ო.

არავისთვის სასიამოვნო არ არის, რა თქმა უნდა,
შეუფლებელ „ბოლოს“ ასეთი შეხება.
მაგრამ დროა გადვილდეთ სჯაზე.

არსებობს ლიტერატურული მიმდინარეობა: „მემარ-
ცხენეობა“. მისა საუკეთესო წევრებმა იციან „ტარტა-
როზის“ ამ ჯგუფისადმი დამოკიდებულება. მაგრამ არც
ერთი დამოკიდებულება, მდგომარეობა, ჯგუფი თუ მიმ-
დინარეობა არ არის დაზღვეული. ზოგი მართლაც რომ
„მემარცხენელი ელემენტისაგან.“

ასეთ „ელემენტალ“ უნდა ჩაითვალოს ახლანდ გა-
მოსულ ეურხალ „მემარცხენეობის“ № 2-ში ბიბლიოგ-
რაფი-კრიტიკოსი, ვინმე „ლ. ანი“.

რედაქციის საგულისხმოად უნდა ითქვას, რომ სრუ-
ლიად საჭირო არ იყო ეურხალისთვის ასეთი „კულის-
გამოსკვნა“. იქნება „კულა ხარივით“ აკვიატებული ვი-
მეა!... მაშინ ევალებოდათ ეურხალის მესვეურთ იმის
გასინჯვა, თუ რას სწერს „ლ. ანი“.

„ლ. ანი“ კი სწერს:

„კოკიის დღე“

მე დავიღაღე ოცნების გზებზე
და უსახლკარო შენთან ვბრუნდები,
მეტად ბასრია ჰაერი მთებზე,
მეტად ბრწყინავენ იაგუნდები...
მაინც ეს ხმები და ეს ფერები,
ეს მოძრაობა და აგონია
ისე მწყობრია, ვით სიმღერები,
და ისე ნაზი, ვით სიმფონია!...
რა მომელოდა და რა დამარქვენს?
ნუ თუ ეს იყო ჩემი მიზნები?
სულის სალაროს რადა ვნდი სარქველს?
რისთვის ვინთვის? რისთვის ვიგზნები?
თითარ ზამბახების დვანან ფარდები,

გააქვთ გრიალი პალმების ქოლგებს
და ისე ჰყრიან თეთრი ვარდები,
თითქოს ათასი აქ გედი მოჰკლეს...
მეუბნებთან გრძნობა ვიმონებს,
შენი ლექსები დრომ მიმოფანტა...
მეც ხიყვარულით დამწვარ სტრიქონებს
გულში ვატარებ დღეს კონტრანაზანდათ...
ავხლად სურვილს მხურვალე ლოდნი,
გულს გინახავდი, როგორც შაჰ-ნამეს,
და შენ ვი თურმე სხვას ჰპირდებოდი
ათას ერთ კოცნას, ათას ერთ დამეს...
მოვიდა რისხვით დრუბელი ლეგა,
ზოგი დაიბნა, ხმლები დამყარა,
ზღვამ გმინვით ქვიშა შორს გამოიღქა
და ფუძე ნაპირთ გამოუთხარა...
სამუშაოდან დამბრუნებული
გარეუბანში ვავიცილი ქუჩას,
ფიქრობ, რათ უნდა გაჩერდეს გული,
როდესაც ბრძოლას ბოლო არ უჩანს?!
მოვდივარ მომაქვს სხვა მოგონება,
ეს ლექსება ჩემი ქონება,
ხაით წავიდე, როგორ გვობია?
აგერ წყალი დვას და ჭობია!...

ხუთი სუბათი-ხუთასი მილიონი!



რამდენი ასეთი არა მარტო სუბათი, არამედ განდობოვული ცოცხალი საქმე გააქედმ-
 გა ჩვენი საზოგადოება კავშირის სსსრკმვლოთ და სასიხაღლოთ, როცა ინდუსტრიულიზაციის
 მემორა სხსხი სავსებით იძნება განაღდებული... და „ტარტაროზს“ გული უკვე კავაოვილმ
 ბით ეცინება, რადგან წინდწინ არის დაწმუნებული, როც სხსხი სავსებით იძნება განა-
 ღდებული..

სად არის ეს ზომიერი ან, სად არის: „ლ—ანი“
 განაზრდობს:

„ზევით მოყვანილი ლექსი არ არის ერთი ავტორის
 ეს შედგენილია „პოეზიის დღეში“ დაბეჭდილ ლექსები-
 დან და წარმოადგენს კოლექტიურ (!) შემოქმედების ნიმ
 უშს. პირველი კუპლეტი გუთუნის გაფრინდაშილს, მე-
 ორე—ზომლეთელს, მესამე — გრიშაშილს, მეოთხე—
 ტ. ტაბიძეს, მეხუთე—მარიჯანს, მეექვსე—თარიშილს
 და მიყოლებით: იასამანი, ბაბილინა და ტერენტი გრანე
 ლი:

ეს ლექსი სხვადასხვა კუპლეტებიდან არის შედგენი
 ლი, მაგრამ მთლიანობა მინც დატულია, რადგან არც
 ერთ ქართულ პოეტს, აქ მონაწილეს, არ აქვს თავისი
 განსაკუთრებული სახე და მთელი ქართული ლიტერა-
 ტურა წარმოადგენს ერთ უნიჭო შტამს. ეს კიდევ ერთ-
 ხელ იმას ამტკიცებს, რამდენად დაცემულია ქართული
 ლექსის კულტურა.

მთელი პოეზია ერთი ფონია და მის გარღვევას არც
 ერთი პოეტი არ ცდილობს. ყველა კმაყოფილია, თუ
 შტამს შეუფარდა თავისი შემოქმედება.

ბოძოლა ინსტრუქციისათვის—ამ მემარცხენე პოეტურ
 ბის ლოზუნგის ...

ახლა ჩვენც ვნახოთ, თუ როგორ „იბრძვიან“ მემარც
 (ხენე პოეტები ამ ლოზუნგისთვის:

„მემარცხენეობა“ № 3:

- ჩვენში ყოველი ქვა
 სისხლით მორწყულია..
- რამდენი გულიც გვაქვს
 —იმდენი წყლულია;
- რადღები გარბიან
 მტკვარი იჭინთება
- ფეხებიც არ შიაკვს
 შეღარ იჭიდება

შორს მუხა ირხევა
 ფრინველთა ვრებულით
 და ღრიან ველებში.
 ღამე და ბინდია.

გაჯახირებულ სხეულიდან
 ლექსი გამოდის
 კადის ნატეხებს ემზავსება
 სულის ნახევი

არც ეს ლექსი გახლავთ ერთი ავტორის; ის ამიწ-
 ლებულია იმავე უფრალ „მემარცხენეობის“ № 2-დან,
 რომლის კუზედაც ბრძნულად ზის „ლ. ანი“ და ასე
 ვსთქვათ, „კუდზე ბზიკაც არ იკარებს“... ამოღებული
 თითო ლექსიდან (ბიძინა აბულაძისა, დეფთ გაჩეჩილა-
 ძისა და სხვათა თითო კუპლეტი).

მიუხედავად ამისა, იმ უნიჭობას; რომელზეც ჰგო-
 დებს „ლ. ანი“, სავსებით და პირნათლად ემსახურება
 ეს „ლ. ანის“ გავებით, „კოლექტიური შემოქმედება“...

რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშში ეს უნიჭობა
 მხოლოდ და მარტო ოდენ მკვლევარის (ამ შემთხვევაში
 „ლ. ანის“) — უნიჭობას შეიცავს და მეტს არაფერს. რა-
 ზედაც ჩვენ ახლა სიტყვას ვეღარ განვარძობთ. მაგრამ
 უფრო ნიჭიერთ და შეგნებულთ „მემარცხენეობიდან“
 ვეალეობდათ ამ „მემარცხენეობისაგან“ თავიანთი
 შედარებით ჯერ მინც სუფთა საქმის დაცვა.

ასე უტღია „ლ. ანები“ თუ უსუფთაო ბაღნები—
 კუდში!...

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ეს უფრო „მრუ-
 დე სათვალეობის“ ბრალია, ვიდრე საღი თუ არა საღი
 მდგომარეობისა;

და ჩვენც ხომ იქა ვართ, სადაც „მრუდე სათვალე-
 ები“ ან კიდევ—„მრუდე სარკე“ ჰკიდია... თუნდაც ეს
 იყვეს ვინმე „პატივცემულის“ ცვირია სხვა უფრალ „მა-
 ზივცემულის“ კუდის ძირში!...

ტარტაროზი,

რეჟისორი ახმეტელი, რელსთ გუგუნის ამხვეტელი...



— შარშანწინდელ სეზონში გემის საპე მარცხნივ ძლივს მივმართე...
 შარშან რუსთაველის თეატრში „რღვევა“ გემ „აკრორაითი“ ძლივს ძლივობით გამოტანა სამშვიდობოს...
 წელს კი... როცა წყლიდან, ასე ვსთქვათ, უკვე მშრად ვარ ამოსული, ეს რელსების გუგუნი ჯავრით ავერავერ გადამტანს: მეშინია ლიანდაგზე დაჯახებისა... მარცხიანი შეიქნა რაღაც ეს ოხერი გზა..

ლ ო ბ ო № 1

(საღ. უზრ. ცომისარიატის და ქალა აღმასკომის საყურადღებოდ)


რუსთაველის პროსპექტზე არის ლოტო, პირველი...
 (ეს საკონცერტო დარბაზში თუმცა არის საკვირველი!).
 თეატრში ხალხი არ შედის — აქ კი გაქედნილია!
 (ვინ არ ვინდა აქ არ დადის — „ყრუ“ თუ გამოცდილია!).
 ზეგზმა პატროსან კაცმა აქ „ჩაიბასქნა“ კვლავ...
 (შუშებიც ბევრი დადიან — ნაკლებია ბურჯუა!)

არის აურზაური და ჩხუბი, დავიდარაბა...
 (ვინ იცის, რამდენს ენგრევა: მუშტით გულას დარაბას).
 სსსარგებლო გასართობებს ვინც რომ ფეხს არ აკარებს, როცა დალაშქრება, ხელად ადგება ლოტოს კარებს...
 რაც მოგებას გიჩვენებენ — ვერ იხილავ მას თვლით...
 უეჭველად დაგაკლებენ — როგორადაც სურთ, ძალით...

თანაც „დავესკად“ გაძლიერენ ბილეთს, „ატრიტკას“, ნოტას... („დიანოად“ აგაკველდვენ — არ სჯერდებიან ცოტას!).
 და უსაზღვრო ძარცვა-გლეჯვამ, ვისაც სურს, აქ აჩაღებს...
 (რალა სხვაგან სანთლით ვეძებთ, აქ ვერ ვნახავთ ყაჩაღებს?!).
 — კომისარიატმა გვითხრა, შენ ვით ბედავ უარსო? იმის გადაწყვეტილებას გვერდს ვერვინ აუარაო!..
 აქ მსახური მომსვლილს უმზერს, ვით მონასა და ყმასა...
 (როგორც სურს ისე გექცევა, არ ვაღებებებს ხმასა!..).
 ზოგიერთ აქ მსახურთაგანს თავი მალლა უჭირავს, კრიკუნს დასახების დროზე, ტკიბილდ სძინავს და ხვრინავს. მოპარული კარტი იგებს — ეს ბევრმა აღიარა!
 (საჭიროა აღმოიფხვრას აქედან ეს იარა...).
 ვის ერგება, ვის აძლიერენ, ან ეს წესი ვისია?
 (საჭიროა, რომ ხანდისხან ექნას აქ რევიზია!!)
 სისუფთავეზე რა ვითხრათ, ნაგავის გოდარსა ჰგავს!
 (ამ საუცხოვო შენობას პატრონი ალარა ჰყავს?!).
 ვერ გაივლი, იმოდენა აქ ნაგავი ქუჩდება...
 კიბე, დარბაზი, ვერანდა; მოუვლელად ფუჭდება!..
 ახალ შენობებს ვაშენებთ, — აშენებულს კი ვანგრევთ?!
 (აღმასკომო, რასა ფიჭრობ? — ყურებს რად არ გაანძრევ!).
 ყველაფერით წინ მივიწევთ, ის ველარ ვნახეთ ხოლო, ლოტოების არსებობას თუ მოვლება ბოლო?
 ტარზან.

ნმპი (გურია)
 ყაფილდთა თავმჯდომარეს აქვე ნახავთ, თუ გწადია. ხევის აფთიაქის გამგეს, გვარად იგი ჩხიკვაძეა. შავი ღვინით გალემილსა დაჰკარგავთ თავის ბინა, დამთვრალა და დაწოლილა იქვე აფთიაქის წინა. თავს სოფელი წამოადგა წამლისათვის ერთი გლეხი, რა რომ ნახა მთვრალი გამგე მას დაეცა თავში მენი. მორიდებით გააღვიძა, რეცეპტი მისცა ხელშია: „შინ ავადმყოფი მიკვდება, სოლი მადგია ყელშია! გამოართვა, წიკითხა მომცინარემ დიდი ეწნით: „ეს წამალი დღეს არ არის, ველი ფოსტით ან დეპეშით!“ დეპეშით კი წამლის მოსვლა არ გვსმენია ჯერ ხანამდე; სჯობს, დეპეშით, ვისცე ჯერ არს, მოგვაშოროს მსგავსი გამგე!
 მანენ

სამართლიანობის მოყვარული გაგე



— მოიცა ერთი, კარგათ გახსინჯო, თუ შემდეგ ამჩემ თანამშრომელთაგან რომელი „შტატში“ ჩავრიცხო, რომელი „შტატგარეშე“ გავრიცხო, ხოლო რომელი სრულიად „შევაშოკლო“...

მეტროჭიპი

(სატირა I მოქ.)

მომხმედნი:

- ბარბალე—კაპასი დედაკაცი.
- გიგო—მესამე ნოქარი (მეტრო-ჭიპი);
- მიკია—ეაქარი.
- კეკელა—ხანში შესული მანდილოანის;
- გამგე კოოპერატივის;
- 1 ნოქარი;
- 2 ნოქარი;
- ფაცია;
- სონია;
- რუსტამ-მირზა-რეჯიმ-ოღლი—თათარი;
- ლეჩხო—გლები;
- ხუცესი;
- ლურჯხალათელნი;
- კონფერანსიე.

(სცენა წარმოადგენს კოოპერატივს. მოწყობილია ღაზები, მოსჩანს ყაფაზები, რაზედაც აწყვია ფართალი-კოოპერატივის აქვს ორი კარები: ერთი მუშტრებისათვის, ხოლო მეორე წარმოადგენს გამგის კაბინეტს. უკანა წმინდი წარმოადგენს დიდ გამწე ფარდას, რომელიც დახურულია დრომდე, ხოლო, როცა ეს პიესის კვანძის გასახსნელად საჭირო შეიქნება, მაშინ გადაიწევა ფარდა და გაიხსნება პიესის კვანძი. სცენაზე არიან: ნოქარი გიგო და კონფერანსიე. გიგო რაღაცას დალაყუნობს და თითონაც არ იცის, რას აკეთებს. სცენაზე, წინა პლანზე

გვერდით ზის კონფერანსიე. დილა არის. ვერ სხვა ნოქარები არ მოსულან და არც მუშტრები სჩანან.

გამოსვლა 1.

კონფერანსიე—საცოდავი სენი გიგო ამ მუშკოპის ნოქარია, უნდილია უბედური, რაღაც გლახა ნაქნარია;

სად არ დადგა სამსახურში, ვერ გამოდგა ვერსად ვერა, უსაქმობა და შიმშილი ბიდკრულს უბელზე დაეწერა...

ხან უფროსმა დაითხოვა, ხან კი თითონ აღარ დატგა, ჯარშიაც კი სსსლდათოთ. უბედური ვერ გამოდგა.

დღეს აქა ჩვენი გიგო, მუშკოპის ნოქარია, მაგრამ აქაც დაფართბალობს, როგორც დაკლული ვარია!

გამოსვლა 2.

1 და 2 ნოქარები—(გიგოს) გამარჯვება, გიგო, გამარჯ

ჯეგბა! შენ რაღა აღრე მოსულხარ დღეს?

გიგო—(იციანს) ხი, ხი, ხი, ხი! ვინდა აღრე მოვიდე და ვინდა გვიან, ამ ჩვენ გამგეს მაინც ვერას მოაწონებ.

1 ნოქარი—ნუ გეშინიან, გიგო.

2 ნოქარი—ისე დადექ, როგორც ბლალჩინის ჯოხი.

გიგო—(იციანს) ხი, ხი, ხი, ხი! ვერე, ვერე დავდებ ტელეგრაფის ბოძივით!

1 და 2 ნოქ.—(იციანს) ჰო, ასტე, ასტე!

გიგო—(მიდის გაჭიმული გამგის კარებიხაკენ, როგორც ჯარისკაცი და სთვლის) ერთი, ორი, სამი არა, თუ ღმერთი გწამთ, მე დასაბრაკი ბიჭი ვიყავი, რომ არ წამიყვანეს სალდათში... (კიდევ დადის გაჭიმული ჯარისკაცისავით და ითვლის) ერთი, ორი, სამი... (ამ ღროს შემოდის გამგე).

გამოსვლა 2.

იგინივე და გამგე

გამგე—ეს რა ამბავია! არა, არა, შებრიყვო, კოოპერატივი არის ეს თუ ყაზარმა?!..

გიგო—მინავათი ვარ, გასპადინ ტავარიში!

გამგე—არა, შენი სამსახური აქ არ შეიძლება!..

გიგო—ეს ერთი მაპატიე და ჩემს დღეში აღარ ვითამაშებ სალდათობას.

გამგე—(ნოქარებს) შორს ეს იაფფასიანი საქონელი, არ გვინდა! ძალიან ცოტა მოგებას იძლევა!..

2 ნოქარი—მაშ, რა ჩნას მუშა - მოსამსახურებმა?!.

გამგე—არაფერი საქორნი არიან ვე შენი მუშა. მოსამსახურენი, რაღაცას წვერილ-წვერილად ყიდულობენ და მეტი არაფერი ხეიარი არ ყრია მაგათში!..

1 ნოქ.—კი, მაგრამ მარტო ხეიარში ხომ არ არის საქმე?!.

გამგე—ის, რაც ჩვენ ცოტა მოგებას მოგვცემს, არ გვინდა.

2. ნოქარი—როგორ შეიძლება!..

გამგე—ყურები გამოიხიკეთ და გაიგეთ, რომ დღეს რეჟიმ-ეკონომია არის და რაც შეიძლება ცოტა უნდა დაეხარჯოთ და ბევრი მოვიყოთ!..

1 ნოქარი—ჰო, მართლა, ამხანაგო, ერთი მეტრო-ლაიფ კოოპერატივში და ისიც გუშინ დაიკარგა. ეხლა თუ არ გვიყიდეთ საზომი მეტრო, ჩვენ დღეს მაღაზიაში ვმარაგდებთ ვერ გავაკეთებთ!..

გამგე—ერთი კაპეიკის დახარჯვაც არ შემიძლიან!

2 ნოქ.—მაშ, მტკაველით ხომ არ გავზომავთ?!.

გამგე—გაიგეთ, რომ დღეს რეჟიმ-ეკონომიაც და ზედმეტი კაპეიკის დახარჯვაც არ შეიძლება!

1 ნოქ.—მაშ, როგორ მიუზომოთ ფართალი?!.

გამგე—როგორც ვადაა, ისე მიუზოქეთ.

2 ნოქ.—ასეთ ეკონომიას შეუძლიან სრულიად დალუპოს კოოპერატივი.

გამგე—რას დავებდ მე კოოპერატივს? მე ბრძანება მაქვს, რომ სასტიკათ დავიკცა, „რეჟიმ - ეკონომია“. არ შემიძლიან არც ერთი გროშის გადახარჯვა.

1 ნოქ.—მაშ, რა ვქნათ?

გამგე—თვალდათვალ გავზომეთ!..

2 ნოქ.—თვალდათვალ გავზომე, როგორ შეიძლება?.

გიგო—ისე შეიძლება, რომ მზე მალლა იყოს.

1 ნოქ.—ბიჭო, შე ლენჩო, ფართალი და თვალ და თვალ გავზომე ვის გაუგონია!

გიგო—მე კი გავზომავ და!..

გამგე—რატომაც არა! ხუთი წელიწადია აქა ხართ და „ნეუტელი“ აქამდის ვერ მიჩვიეთ თვალს?

1 ნოქ.—რაღა, ამხანაგო! რაღა შეიძლება უმეტროთ ფართლის გავზომე?!.

გიგო—ძალიან კარგათაც შეიძლება!..

1 და 2 ნოქარები—დედა, კილო!..

გამგე—როგორ, მე რეჟიმ-ეკონომიის მოსაარჩემ, მე დავარღვო პრინციპი და ზედმეტი ხარჯი გავწიო? არ იფიქროთ... თავში ქვა იხალეთ და, როგორც ვინდა, ისე მიუზომეთ! აბა, მე შეედივარ და გაფრთხი-

ლებთ: ერთი წუთით არ იქნეს შეფერხებული ვაქრობა, თორემ სამივეს სამართალში მიგცემთ!..

(გაღის).

გიგო—მე რას მერჩი, რა ისე მიუზომო, როგორც ლარი.

1 ნოქ.—უყურე ახლა ამ გლახის კირს! რას მიუზო-მავ, ბიჭო, რას?

2 ნოქარი—მამაძაღლს შარვალი ვერ შეუზნევი, მიღღემჩი ღია აქვს კიშკარი და მაგი მიუზომავს უმეტროთ?!..

გიგო—სწორეთ იმ შარვალშია საქმე, შენ რა იცი!..

1 ნოქ.—კაია, კაი. ჩეიღენ ენა!

(ორივე ნოქარები მტკაველით ზომავენ დაზგაზე მეტრის სიგრძეს).

გიგო—ხი, ხი, ხი! ტყუილათაა ზომავთ. არ გამოვესწორეთ!

2 ნოქარი—აა, აგერ მაქვს დაზგაზე გავზომილი და არ მოტდულილდე.

გიგო—მე არა მქირდება თქვენი მეტრო. ჩემი მეტრო მე სულ ზედა მაქვს. სადაც წავალ, თან დამაქვს.

1 ნოქარი—ვი, მისი ოჯახი დეიწვეს, ვინც ის გამგეთ დააყენა. „თვალდათვალ“ გავზომეთო... ორი-სამი მანეთის დახარჯვაც ეზარება და თუ ათი და ასი მანეთის ღირებულება გადავავლოთ, ეს არაფერია!.. ავია საქმის ცოდნა? ავია მომქირნეობა, ავია რეჟიმ ეკონომია?!..

გამოსვლა 4.

იგინივე და ლექსო

ლექსო—(თავს შემოყოფს) ამხანაგო, კომპერატია აქ არის?

1 ნოქ.—აქ არის, ბიძია, აქ რა ვინდა?

ლექსო—მე, შენი კირიზე, ამერიკა მინდა, ამერიკა!..

1 ნოქ.—რისთვის ვინდა, ბიძია, რისთვის?!.

ლექსო—ქვევითა ტანისთვის, შენი კირიზე!..

1 ნოქ.—ქალისთვის ვინდა, ბიძია, ქალისთვის?!..

ლექსო—ქალისა რა ჩემ ფეხებთან მინდა! ჩემთვის მინდა, კაცო, ჩემთვის!..

1 ნოქ.—ქვედა ტანი შენ რად ვინდა? იუბკას ხომ არ იცემ? ალბად, საპერანგე თუ ვინდა?!..

ლექსო—დიხ, საპერანგეც მინდა, და ისიცა!..

1 ნოქარი—რა ისიცა, კაცო, აღარ იტყვი?!.

ლექსო—შე ჩემანლაგ, ახლა, ყველაფერს ხომ არ გადაგიოთებებ! გელაპარაკები: საპერანგე და ისა... (ქვევით აჩვენებს).

1 ნოქ.—რა ისა, სანიფხე?!.

ლექსო—ჩხირი კედელს ძლივს არ მიხვდი?

(შემოდინან: ზუცესი, თათარი)

2 ნოქარი—მამო, მობრძანდით, საანაფორე თუ ვინდათ, კარგი ნაჭერი ვახლავთ!..

(ზუცესი მიდის მე-2 ნოქართან)

ლექსო—(1 ნოქარს) რა ღირს, ამხანაგო, ეს ამერიკა?

1 ნოქ.—ათი შუური და სამი ჩეთი.

ლექსო—შე ჩემანლაგ, ეს სამი ჩეთი რაღა არის?

1 ნოქარი—ასეა, ბიძია, ასე, ათი შუური და ერთი ყაპეიკი ღირდა, მარა ერთი ჩეთი ქე დაეაყელით ამ კამპანიაზე!..

ლექსო—რა კამპანიას, რის კამპანიასო! შე მუდრი-გო მე ფასსა გკითხავ და შენ კამპანიაზე მელაპარაკები?!.

1 ნოქარი—ჰო, ბიძია, კამპანია ქვია ამ დაკლებას, კამპანია!..

ლექსო—მერე და შე ჩემის თექვსმეტინაო, თქვენ კამპანიებს მართავთ აქა და საწყალ კაცს ერთი ჩეთის მეტს არ უკლებთ?!..

1 ნოქარი—ასტეა, ბიძია, და მე რა ვქნა!..

ლექსო—მოქერი, მოქერი ერთი ათი მეტრის!

(მიდის რუხტამა და ხელს გაკრავს ზუცესს).

რუხტამა—ვი, მუღლა, ზადი იქით! ამდენი ზღანო რათ ვინდა? მოაყერი და ზაიღე.

გოდება გრიშაშვილისა



აი სად ყრია ჩვენი ღიღება!
 ლამის სირცხვილით ავეწვას ლოკა...
 ასე გოდებდა და ამ გოდებას
 ძველი ტვილისის გოგონა მოჰყავს.

გვეჩენება ცალი ათი!
 კოლმერტივის ბოქებს
 მისევე უდებენ ურემს,
 იცის, რომ თავმჯდომარე,
 მას ნავითი დაუბრუნებს!
 გადის მას შემდეგ ხანი,
 ნავთს ელის თავმჯდომარე...
 არ მოდის იმას ნავთი,
 ოთახს უნათებს მთვარე...
 ძაფი გაუწყდა ლოდინს —
 და თავმჯდომარე გოდებს...
 კოლმერტივიც მოდის:
 ითხოვს ცარიელ ბოქებს.
 იწყება ორ თემ შუა
 ბოქებსზე უტლა, დავა...
 ასეთი ხალხით საქმე,
 ვინ იტყვის, რომ წინ წავაი...

მელა კულა.

ბიქტორი კურდელის მაგიერათ

(ძირულისათვის)

ბიქტორმა სთქვა: „ბანკში ვზივარ
 ვერეინ მოვა ჩემზედაო,
 უღვაშ გრებით საქეიფოთ
 ვჯდები ხშირათ ცხენზედაო...“
 ბანკის ფულები შევეყანწე
 ხუსკივადის ფენზედაო
 მიყვარს მკლავთა შემოხვევა
 ტიტლიკანა წელზედაო...
 გვიხვდეს: კაცი მოდის,
 პორთფელი აქვს გვერდზედაო;
 პოლიციონერებს მოუძღვის,
 გულმოსილი ჩემზედაო...
 რა შევინწე: გავახმორე,
 გადავჯექ სხვა სელზედაო.
 შემოაცვიფდნენ და ზრდილობით
 მეც წამოვბტი ზეზედაო.
 არ დამიშურეს: ერთმა წუწკმა
 კონდაბი მკრა წელზედაო.
 გამათრიეს, ამიყვანეს,
 ჩამოვკიდეს ზეზედაო,
 ვერაფერი ვერ დამაკლეს,
 თუმც დამზილეს ძალზედაო;
 მხოლოდ ეს სთქვეს: „დროებით
 მკუხნათ სამასურზედაო“.
 დღეს კი არტყინათა ვარ,
 ვიმღერე ბოზ ხმაზედაო;
 ჩვენს თავმჯდომარეს ხომ ბინდი
 ავაწებთ თვალზედაო?!

ძირულელი თულა;

გულუბრყვილო თავმჯდომარე

ორი დღით გავცდი ქალაქს,
 ქალაქს, დახვარტულს, მტვრიანს,
 ვეწვიე მყუდრო ალაგს,
 სოფელს მშვიდსა და სვიანს.
 და ეს ამბავი სწორედ,
 მე რომ აქ ვაქნობ მკითხველს,
 მოხდა მაისის ბოლოს,
 როგორც სოფელში მითხრეს...
 ერთ თემის თავმჯდომარეს
 ბურღი ეჭირა ხელში,
 თუმც ბურღით მუწაობა,
 არ ახსოვს თავის დღეში!
 ცხენის ქენებით, კახტად
 ჩვენ თემზე ჩაიარა —
 და ჩვენი თავმჯდომარე
 დუქანში დაიბარა!
 ერთი ტარიფის ხალხია,
 ერთმანეთს შეხედენ მყისევე!
 დამხდელურმა კითხა: ბოროლი
 სად გქონდა, სად იყიდე?
 მოსული ამბობს: „არსად!
 აქედან მიმაქვს თემში:

მიწებსა ვებურღვ სოფლად;
 ნავთი ამოდის ჩვენში!..
 ნუ ნუმობ! აბა, მითხარ
 თქვენს თემში ნავთს რა უნდა?
 აი! შე ტრუ და ვირთხა!
 (დამხდელს სიცრუე სძულდა!)
 — რამ მოვგონა, კაცო,
 რა არის, სულ ხუმრობ!..
 ენახავ, შენ მთხოვე ნავთსა,
 რომ ფეჩი გახსურო.
 მე მართალს გეუბნები,
 შენ იცი, თუ არ გჯერა...
 უტლა მე მასზედ ვფიქრობ,
 რაში ჩავახა ყველა!
 არა და, იქ იქცევა
 ამდენი ნავთი ტყვილა
 — „შენ ხუმრობ!“ — თუ ვხუმრობ...
 არ გამითენდეს დილა!..
 — ნაშ თუ ვე მართალია,
 ამოდის თქვენში ნავთი,
 ბოქებს გათხოვებთ, კაცო,

ლექსო ჭადის)

ხუცესი—იმე! რა უნდა ამ ურჯულოს ჩემგან?
 რუსტამ—რჯული და შენთან იონტურ, ნამუსი და
 შენთან იონტურ. ჩემთან რჯულიც არის და ნამუსიც.
 ხუცესი—(რომელსაც მოუტრეს სანაფორე) უი, დაგ-
 წყველოს სამას სამოცდა სამმა წმინდა გიორგიმ! ეს რა
 ეშმაკი გადამეკიდა!..
 — (მიდის და გზაში ჩაილაპარაკებს:) დურაქი!
 რუსტამი—(გაჯავრებული) დურაქი და შენა ხარ,
 უშაქი და შენა ხარ, დონლუზ, ქოფოიოდლი!..
 ♪ ნოქ.—რა გინდა რუსტამში?
 რუსტამი—(თვალს გააყოლებს ხუცეს და გაჯავრ-
 ხული) მულლა, ქოფოიოდლი!..

♪ ნოქარი—რუსტამ რა გინდა, ილარ იტყვი?!..
 რუსტამი—(ნოქარს) რა გინდა, რა გინდა!.. რა გინ-
 და და ჩიტი გინდა!..
 ♪ ნოქარი—რამდენი მეტრო გინდა? აი, ეს ღირს
 სამი აბანი, ეს ღირს ათი შაური, აირჩიე, რომელიც
 გინდა!..
 რუსტამი—მოყერი ათ შაურიანს შუდი მეტრო!
 ♪ ნოქარი—რამდენი?
 რუსტამი—შუდი, შუდი! (უჭრიან და მიდის).
 (გზაში ხუყესზე გაჯავრებული) მულლა, ქოფოიო-
 დლი!

(გავრძელება იქნება)

გოგია.

ფ რ ი ლ ო ნ ლ ა რ ი


მოლარეა ჩვენი ფრიდონ,
ჩკინის „ლარიც“ იქ ადგას, მასთან,



ფერადი თუ თეთრი ფული
შიგ უწყევია დასტა-დასტა...
და ორი გზა, ორი ლარი,
ორი ხაზი, ორი გეზი,
ფრიდონისთვის იყო ქვეყნად
სამომხრად ასპარეზი...




ერთი „სენი“ არ კიაროდა,



თითქოს ერთი ვერ ზღაპრადღა;



დილას: ბინით—ხაზინამდის,
ხაზინიდან—სალაროსკენ...
დროზე უნდა მიშველებდა,
იქ მიმსვლენი, რომ არ მოსცდენს!..
და ამაყად დააქვს ფრიდონს
ფულით საჭე ტყავის ბოხია,
ხელშიც—ტროსტი! თავში—ფლოსტი!..
სხვა შეგნება მორჩა... მორჩა!..
მხოლოდ ბოლოს აპ ბოლო დრომ
აკი ფაქტა ქაჯმა გვერდში
ქალებს წყვილად დატარებს,
ვერ „თავსდება“, ვერა—ერთში!..
და იქ... და იქ, მტკარის ფერდობში,
რომ ასეია „ელდორადო“,
უყვარს ფრიდონს „ღამის ტება“,
დროს ტარება უყვარს. ფართო!..



ყაზინოსაც შეგჩევია.
ღამ-ღამობით კარტს ჰფურცლავდა!..


და ამ ზომით, და ამ გზებით
 დაეჩუტა ფრიდონს ჯიბეი...
 მე შენ გეტყვი, სალაროში
 სჭირდებოდა იმის კიბეი...
 მოსწი კარს და გააოაღე,
 ამოიღე დასტა-დასტა,
 მე შენ ვიბრა, აქ სხვებსავით,
 მოგიხდება „კულში“ დაქდა...
 მაგრამ... მაგრამ არ ეძინა
 მუშგლებინს და რევიზიას:
 ტყობილობდა... ცნობილობდა:
 ვინ აძლევდა „კაპებს“ ზიანს
 და ერთ დღით... დღით არა,
 ხაზინიდან, რომ დაბრუნდა,
 ფრიდონს თავზე ცა დაეცა,
 ზედ მზეიც შავად გადმობრუნდა!...

როცა ფრიდონ სანთლით ხელში
 კარებისკენ მიიწია...
 შემდეგ—სუდი... ახსოვს ფრიდონს...
 როგორც გუმინ, ახსოვს ყველა:




ტყვილად მოსცდა ღვაშიჩავა,
 მესხიშვილმაც ვერ უშველა!..

რევიზია!... რევიზია!...
 აგრია ფრიდონს „სხვენში“.
 იცის საქმე, როგორაც აქვს,
 იცის მაგრამ... დარჩეს ჩივნი...
 — ეს რა არის? ეს—რა?!... ეს—რა?!...
 და ფრიდონიც ჰკიბავენ... ჰკიბავენ...
 შგონია, თუ აღრინდულად
 თავს ახლაც გამოიქლიბავს!..
 შიში თუმცე აქვს, შაინც ნიჩა
 არ უტყდება ფრიდონს არა..
 და იმ დამეს, ლოგინისკენ
 საძილოთ რომ დაიხარა;
 — კაკუ!... კაკუ!... კარზე ხედი!



და დღეს... და დღეს ზის კვლავ ფრიდონ,
 როგორც უწინ, ბადეს იქით,
 მხოლოთ აქ ფულს ხელს არ ურეცს,
 არც სალარო დამზერს რიხით!...
 ჰაზირა.



ორდერი და მილიცია!

ქ უ თ ა ი ს ი

— „რის მაქნისია ბალი ზაფხულში,
 — ზამთრობით არ სჯობს შოგ სერიქ-
 ნობა“.

აქ აღმასკომმა ბრძანა ეს ასე,
 ასე ბრძანა და ასეც იხება!
 ქალაქის ბალი წითელი მიწით
 ახილა, როგორც მეგრული ლომი,
 შიხურა მაგრათ ბალის კარები
 ზა ზედ დაადო ღიდი ბოქლომი!
 ამ შეა ზაფხულში გენიოსური
 ეს საქმე, ნეტავ, ვინ მოიგონა?!
 მე აღმასკომის თავმჯდომარე კი
 უფრო კვეიანი კაცი მეგონა!..

სიმრავლემ აცდინა



შენ ამბობდი ჩვენს მუშათა კოოპერატივს, საქო-
ნელთან, მუშტარიც აკლიაო?...
— ეს ხომ ლადისის წყლებს ეხევა ხალხი.

თელავის ელსადგურის გამგე

თელავის ელსადგური
კარგი გამგის ხელშია,
დათიკია ეს გამგე,
ყატი სამოთხეშია:
თვიურ ხელფასს გარეშე
თუმანს იღებს დღეშია!
კოლის მძაც მოიყვანა,
მოიყენა გვერდშია,
ეს ორი ვაჟბატონი
ორ-სამს გეტყეპავს დღეშია.
სიტყვა თუ შეუბოუნე,
ხელს წაგიჭერს ყელშია,
ავტოც ხელში ჩაივდეს,
გაიმართენ წელშია.
რადიო და ელსადგური
მათ პირად სარჩელშია
ეს ორი რომ ასე ლხინობს,
მუშა სატანჯველშია.
პროფკავშირსაც არ მოახმარს,
ისე გასწყვეტს წელშია.
ნეტავ, დარჩნენ ეს გამგეები
სანამ ასე ბნელშია?..

ეკალი.

წ ა ლ ვ ე რ ი 1928 წ ე ლ ს

1928 წელს საქართველოში, სხვათა შორის, გაშენებული იყო აგარაკი წალღერი, სადაც უხვად იკმეოდა სურ-
ნელება ყვავილებისა, წიწვინან ნებნისა და... ნესვისა.
მას ხელს უშლიდა ფრიად უზნიშვნელო რამ: კეთილ-
მოწყობილობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მაშინ
წალღერის აღმასკომთან არ იყო მოწყობილი კეთილმო-
წყობის განყოფილება და საკურორტო სამმართველოს
კი ამისათვის არ ეცალა.

1928 წელს წალღერის ბარაკში, მოაგარაკებთან ერთად,
თითქმის „პოდრუსკით“ დადიოდნენ ისეთი ოთხფეხა
ცხოველები, როგორიც არიან: ხარი, ძროხა და სხვა. მო-
აგარაკის ყურს ხშირად ატყობდა იქვე ტალახში ჩა-
სურებული ღორის საამური ღრუტუნნი.

ახლა, 10 წლის შემდეგ, როცა შესრულებულია წალ-
ღერის საკურორტო მშენებლობის 10 წლიანი პერსპექ-
ტიული გეგმა, რასაკვირველია, სულ სხვა სურათია.

1928 წლის წალღერი კი ერთადეად ფარებს წარმოად-
გენდა: ქუჩები სავსე იყო საქონლის პატივით, თხრილები
ვაიკით მიხარსით საქანალიზაცია მიღებს წარმოადგენ-
და და ფეხსადგილებში შიშით შედიოდნენ, რადგანაც არ
იყო აცილებული დანგრეულ ფიცრებში ჩაყირავების შე-
საძლებლობა.

მაიღამია და კულინარია

იმ წელს, რომელზედაც გვაქვს საუბარი, წალღერში
გავრცელებული იყო ორგვარი ეპიდემია: „საპარიკმახე-
რო“ და „საკბილისეკიმი“.

არსებითად, არც ერთი ამ ეპიდემიათაგანი არ იყო სა-
შიში, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენდნენ დროებით სო-
ციალურ მოვლენას წალღერის თანამედროვე ცხოვრება-
ში. თითო მოაგარაკზე მოდიოდა თითო პარიკმახერი,
ხოლო ყოველ მოაგარაკის თითო კბილზე—თითო კბილის
ექმი. მიუხედავად ამისა, აგარაკის ფარგლებში ხშირად
შეხედვლით თვაგაბურძეკნილ მოაგარაკეს არ იყო
იშვითი კბილის ტკივილის გამო ყბაახვეული მოქალა-
ქეც. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ კბილის ტკივილს
სწორედ კბილის ექიმთან ყოფნით წარმოიშვებოდა, ხო-
ლო თმის გაბურძეკვა—პარიკმახერიბთან სიარულისა-
ნა.

სურსათ-სანოვავის სიძვირე დამოკიდებული იყო მე-
ტეოროლოგიურ პირობებზე და მოგაჭრეთა ფსიქოლო-
გიურ მდგომარეობაზე.

კოოპერატივი და კამკო ვაჟრობა

როგორც ყველგან, ისე წალღერშიც ითვლებოდა კოო-
პერატივი, მაგრამ იგი მხოლოდ... ითვლებოდა. კოოპე-
რატიულ დუქნის გახსნა ისევ და ისევ მაღაზიის გამგის
და ნოქრების ხასიათსა და ხოშხე იყო დამოკიდებული.
ყოველ შემთხვევაში, წალღერის არც ერთმა მოაგარაკემ
არ იცოდა, თუ როდის იყო ღია კოოპერატიული დუქანი.
თვით მაღაზიაში ბლომად იყო საქონელი, მხოლოდ ნა-
კლებათ მოიპოვებოდა პირველ მოთხოვნილების საგნები;
სურსათ-სანოვავე და სხ. სამაგიეროთ, კერძო სავაჭრო-
ები დღე და ღამ ღია იყო და, როგორც იგივე ბოროტი
ენები გაიძახოდნენ, კერძო სავაჭროს როლი თანდათან
იზრდებოდა აგარაკის სავაჭრო ბრუნვაში.

განათობაში

წალღერში ბლომად იყო ისეთი კულტურული გასარ-
თობები, როგორც არის: „სიკინჭილი“, „მეველამ მიგო“,
„ლოტრეა“ და სხ. სამაგიეროთ, იქ სანთლითაც ვერ
იპოვდით წიგნთსაცავ-სამკითხველოს, ჰადრაკს და სხვა
ამისთანებს.

პრიზისები

როგორც საერთოდ ხდება ცხოვრებაში, ისე წალღერ-
შიაც იყო ერთგვარი კრიზისი. ეს გახლდათ კრიზისი
ნავთის.

ნუ გაგიკვირდებათ: მაქათალია ბაქოს ისეთივე გეო-
გრაფიული მდებარეობა ეჭირა, როგორც ახლა, მანძი-
ლიც იგივე იყო, რაც ახლა არის, რკინის გზაც იყო და
ნავთის ბილონებიც, მაგრამ წალღერში ნავთის კრიზისი
მაინც მუდამ იყო.

ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ამბობდნენ, რომ წალღერ-
ში ნავთის კრიზისი გამოწვეული იყო „სტანდარტ ოი-
ლის“ აგრესიულ მოქმედებით. იყო მეორე ჯგუფი, რომე-
ლიც წალღერის უნაეთობას კელოგის პაქტს აწერდა. იყო
საზოგადოების მესამე ნაწილი, რომელიც ნავთის კრიზისს
ბაქო-მათამის მეორე ნავთსადენის გაყვანის დაგვიანებით
ხსნიდა.

მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ ისეთი აცეიებიც, რომ-

ს ა ა გ ა რ ა ქ ო



ზაფხულს მანგლის ქალები...

ნარდი... მამაკი... ქალები...

ლებიც ამბობდნენ, რომ წალვერის უნავთობა იდგილობრივ მუშაკების უთაობაში უნდა ვეძებოთო. ამ უკანასკნელმა შეხედულებამ ფართო გამოხმაურება პოვა წალვერის მოაგარაკეთა ფართო ფენებში.

საერთოდ, გამწვავებულმა კამათმა უფრო გავრცელებული მდგომარეობა: მოაგარაკენი გათენებამდე ღვებოდნენ რიგში და ელოდნენ (ზშირად ამაოდ) ნავით დატვირთულ ურბებს (!)... დიად, ნავთი ურბებით მოქონდათ წალვერში, თუმცა მატარებელი ხშირად ცარიელიც დადიოდა. ზოგიერთები ამტკიცებდნენ — ურბები აამუშავეს ადგილობრივ მეურნეთა შორის უმუშევრობის მოსასპობათო.

ლოდინისაგან გაღიზიანებული მოაგარაკენი, უმთავრესად სკამებით, სკამ-ლოგინებით და სხვა ჩამოსასვენებელი ნივთებით მოდიოდნენ ნავთის რიგში და ხშირად ჩამოეძინებოდათ კიდევ, მით უმეტეს, რომ რიგში მდგომთ ნებადართული ქონდათ ხვრინვა, ფშვინვა, ფსტენვა და ძილის სხვა ატრიბუტები.

ასეთი იყო წალვერი ამ ათი წლის წინად — 1928 წელს. სურათი მთლიანი იქნება თუ მიუმატებთ რომანიულ სცენებს წალვერის დასასვენებელ სახლების ზოგიერთ, ფრიად ინტიმურ კუჩქულებში.

აღლარა-აღლარასან.

უბედური შემთხვევა

ნეოკლასიკური პოეზია

(ბაზრქმელება, იხ. „ბარტაროზი“, № 168). თაუზრი მემოკა

იმას ვამბობდი...

აჩის ისეთი ბედნიერი წამები,
როდესაც კაცი, ამ სიტყვებით განაწამები,
სალამობით შედიხარ კლუბში, რომ დაისვენო
და თანაც ყელი ნაყინით ან და ბურახით გაისვენო...
(კლუბებში ხომ ყველაფერს „დაკლებულ“ ფასებში
ჰყიდის!...)

მაგრამ სმა-ჰმა ჯიბის ბიუჯეტზეც ჰკვიდია!
მიერთმეგ რამეს,
რის შემდეგ, შენაც, „საგარეთ“ გამოწყობილი,
„გვიგულავებ“ ნეპაწავით ჯიბებში ხელებ-ჩაწყობილი...

როს მოგწყინდება თავბრუ დამხვევი ტრაილი
და დაუსრულებელი სეტიალი,
შესდები წუთით
(ხელში ქუდით,
და ხმეცბიუროკრატის მედიდურ პოზით)
და ყელ-მონადერი კომყოფოჩივით, პარში „სოვენტ-სკი“ პაპაროზით,

თვალეირებ ვაუებს და ქალებს...
ასე და ამრიგად წყალს ასმევ თვალებს...
უკრავს ორუესტრი...
და ასტრაუში მესტერო

ასტრონომიულათ „ოსტრობს“!...
ერთი „პიანცა“ მუსიკანტი,
კამეჩივით მსხვილი და გიგანტი,
„ტორეადორში“ ურევს „ფოქსტროტს“...
(ალბათ, ისიც თუ „ოსტრობს“!...)
დგებარ და თვალთა ხედვის რეგის ტრაკიაში ატარებ ყველას

ზოგის ღუმელს, ზოგის ცხვირის ცემას,
ხოლო ზოგის ხეულას...
აგერ პოეტი ობლიდა ზის მარტოთ მარტო, ჩაფიქრებული,

(ალბათ, მიტომ, რომ „გოხიზდატმა“ არ გამოისცხ მისი ლექსთა კრებული!) —
სამკითხველოს კარებში კი ვერკეტაძე კრიტიკი,
რომელსაც უბეღ ქვეშ მოშლილი აქვს თითქმის ყველა „ვინტიკი“,

კარიკატურული, კრეტან კატია რეკრიკოვას აფრიატიკებს
რომელიც „ჩიტაღიში“ ისე ხმაბლოლა ტიკტიკებს,
რომ ჩუმლაყის მოშლილი „გრომკოგოვარიტელი“ გვიგონებათ,

ისე ავირევს თავს, ჰუქუს და გონებას...
„მენუგოლოკიდან“ გამოდის რიგი ქალების

დიდი ცოდვის „აღსარება“

ზ ა ხ მ ა რ ო

(სამკურნალო წყლის აღმოჩენი ექსპედიცია).



— მამაო მარხვა გავტეხე და არ ვიცო, რაღა შევქვამე..

— დიდი ცოდვა ჩაგიდენია, შვილო..

— განა, მე ჩავიდინე? მეპურეს პურში ვებებრთელა ტარაკანა გამოეცხო, ველარ შევნიშნე და პირდაპირ შიგ შავატანე..

ბანშაროს მოსდის ცნობები: სადღაც არც ცხელი წყალით. ფაიკო ამბობს, ანთაძე: „თვით გადაავლეთ თველიო“, ამ წყალმა სასწაულებრივ განკურნა ერთი ქალიო!.. — სიცხელით კვერცხსა მზხარშავს, ჰკრა ივლიანემაც ბანოო... დაიძრა ექსპედიცია, რომ მოინადოს ვალიო, ცამეტი კაცით შემდგარი და ერთიც წინამძღვარიო. მივიდა, მაგრამ რა ნახა, ბაყაყთა საბუღარიო: ორი მოზრდილი ბაყაყი. სჩანდა ჯირკვს წამოშვდარიო. ამ რიგათ ექსპედიცია, ნობილეს დამავგარიო, დაბრუნდა სრულად უვნებლად, არ დაუტარგავს კვალიო. კოწიამ უთხრა გრიშას: „ექსპედიცია ჩვენო მითი სჯობს ნობილესას, რომ არ დაეამტვრიეთ (ხენიო, და არ დასჭირდა ჩვენს ძებნას „კრასინ“ და „ამუნდსენიო“!..“

წიწმატი.

(მოკეცელო მანდილოსნები მათ უტყვირთან იქვს თვალებათ...)

„იონსეციაში“ თამაოკრეცილი კომსოპოლკა არმიელთან ერთად გარმოშკანე ხტის და როაკავს... აი, იქ ერთი ჯგუფი უაქუნს რადიოს, მეორე ჯგუფიც უსმენს!.. (მხოლოდ ორივე სქესის „კორ-რადიოსს!..“)

ერთ „მეშჩანვას“ აკვირებს მზისგან გარუჯულურ ექსკურსანტები. რომელთაც შიშველ ფეხებზე აცვიათ გაქეცილი „სანდლები“!

„პროლოგურე სლიდელტ ანუ გაკრპე-ლება უკან მოსდევს.

დონ-კიხოტი.

რევიზიის მოლოდინში

სცენა: — სკოლის სამასწავლებლო. დილია, მაგიდასთან ზის ფაცია.

ფაცია:—ერთი, წელს გოუძვრებოდე ამ რევიზიას და, თუ გინდა, ჩემს სიკრძე სანთელს ოუნთებ ანჩია ხატს.

„ნიჩერტა ნე დელიაუტ მოი დეტა“. ჯერ იყო და დიდი ზამთარი, მერე ყელვიტებოდა, მერე ექსკურსიები, ჩემი სიზარმაცე, არმიყობა - სიყვარულობიე და ეს სასწაულო წელი ქე გარისინდა.

რა ჯანდაბა დაეხვედრო რევიზიას, ა? ლამაზი მანც ვიყო, რომ მევეწონო, იმ ოჯახ-ამოსაუღეტებს.

კაკო: — გამარჯობა, ფაცია! რამ დაგადონა, შე ქალო, ხუთი წლის შეყვარებულებით?

ფაცია:—თუ ძმა ხარ, მითხარი: რევიზია რომელ სკოლაშია, ხო არ იცი?

კაკო:—აგერაა, მუხიანში. (ფაცია შეკრთება). ხომ პიცი ჩემი მოწაფეების ამბავი. რომ ჰკითხოთ სად ცხოვრობ-თქვა, ამერიკაშიო—ასე გიპასუხებენ. რა ვქნა, არ ვიცო! გავხდე ავად! რაფერ გავხდე! დავიჭრა რამე! რაფერ დავიჭრა არა და ჰამის მადა გაფუჭებული მაქვს, მთელი ღამეები რევიზორები მელანდება. ჩემი გიტარა, მანდალინა, სკრიპკა, ახლად გამოწერილი გარმოშვა და ყველოსაბედა საქულას ობოლივით არიან ჩამომწკრივეხული. ცრემლის ნაკადში იხრჩობიან. ერთი თვეა, შე-

დაც არ შემხედდაც მათთვის. რევიზიის მოლოდინში თა-ვიც ღამეიწყდა.

შალვა:—გამარჯობათ თქვენი. (რავა საქმეები, სა-დაა რევიზია თუ იცი? ერთად ეკითხებიან). თუ ძმა ხარ, თავი დამანებეთ. ახლა შემომიჩნდა ის ჩემი შეყვარებუ-ლი ანიჩქა, წუხელი „სეიდანია“ დამინიშნა და 2 საათამ-დი, ნიკოს ჰიშვარს იქით რო ბეოლაა, იქ ვიყავით აყუ-ღებული კელაბტარივით. გაკვეთილები არ მომიშვადე-ბია, რევიზია მუხიანში ყოფილა, ასე მომწერა ამ დი-ლას. უღრილამ: „შემგვიდენ თუ არა, ორი მასწავლებე-ლი აქანავე ამოფხიკეს ყურნალიდანო“. თურმე, თუ მთელი ზაკონ-კანონებით და მისი ინსტრუმენტ-ტონო-რით არ გადაეცი გაკვეთილი, ისთე ნიპრიწ!..

კომპლექსიზაცია, ნატურალიზაცია, ბიოლოგიზა-ცია, დემაგოგიზაცია და ათასი მამამალობიზაცია უნდა იყოს შესაბამილიცებულ, შერწყულ-შეწოვილი.

საშა:—გამარჯობათ პოლკონიკებო! გილოცავთ რე-ვიზიის დღეს. (ყველანი ერთად—რავაა, ბიჭო საქმე, რა-ვაა?). ...აუუ.. მე რომ მაქ. იმისთანა მიეცა საკრამენ-ტოს! ორი თვეა „თსა და გიგო“-ს ვასწავლი მოწაფეებს-ფიქრობდი: აი, აგერ მოვა რევიზიას, აი, აგერთქვა, მარა არ შეგჭამოს ჰირმა. ეს დღეები ქე გახლიჩინდენ და მე მესამე სემესტრისთვის ხელი არ მომიკიდებიათ თუ გვეიდენ სულთა-მხუთაეები, სრიალიზაცია ხელში

ვითომ გაბრიყვება მოუნდომა



— სად არის გამგე?
 — აი, ხელდავ პირდაპირ სახლს?!
 — როგორ? ამ სახლების ჩამორთმევის გაცხელებულ პერიოდში ნუ თუ დავიჯერო, რომ გამგეს შეარჩინეს იქ სახლი?!
 — არა, მას კი არაფერი შეარჩინეს, პირიქით, ხუთი წლით იქ ჯდომა მიუსაჯეს და ისიც სახტიკი იზოლიაციაში!..

ჩოხატაური

ესე ამბავი, ტარტაროზ, საქმეა მეტად უცეში, საულ, რაღაც ათი დღე არის, კუდებს რომ სწევენ ხუცები!.. კრულ იყო მათი სახელი რომ გაახარათ, ნეტავი, დღეს რომ ნუკრივით დახტინა, გუშინ-წინ განაბერტყავი?!.. ჩამოიკიდეს „ოლარი“, მოიხსნეს „ანაფორები“ და ფარფაშობენ ისე, ვით გულ შემზარავი ყოარნები!..

ალბათ, თუ ეპისკოპოზმა... (ასე მაქვს განაგონები) ჩამოსვლისთანავე ხუცებთან გააბა გრამაფონები: — „გამხნევილი, რადგან ძველ დროს — დრო დადგა უკეთესიო სულ „სხენაირათ“ ელოცულობთ, გამოცელილია წესიო!.. (ხომ ხედავთ მოთმინებითა იზოვეთ კიდევ „ხეფსიო“). ამ რიგად, ბერის ნოტებით, მღვდლები გავიდნენ გლეხებში, (საწყლები!.. ისე დაზობდნენ... წე —

ტყავი გამოძვრათ ფეხებში), ვაპ, რომ არიან ჯგო კიდევ, ჩვენს ხალხში ზოგიერთები, (უფრო ბებრები...) რომ კვალად ელანდებიან ღმერთები, ჩვეულებრივად, ვით ძველად, დაჯორგეს თვისი „ხონჩები“, საქმეებს თან მიაყოლეს ლოცვის საფასო გროშები. და ბერს მიათვებს რიდებით, გარშემოსეულს ხუცებით, (ღლავეით პირს რომ აზჩენდენ დიდი ხნის მშვიერ მუცლებით...) დაბრძანდა ბერი თამაზად, ხუცები გოქებს ყლაპავდენ და კმაყოფილნი პირი ჯვრით მაღლობას გამოხატავდენს. მაგრამ როდესაც ფულუმბს, ღრონი დაუღვათ გაყოფის, თქვენს მტერს ისეთი! ნესტორ

მღვდელს თურმე მოთმენაც არ ჰყოფნის!.. ბერს უთხრა: „გატყობ მაშაო, სულელი ხარ და ცეტო, ფულს შვაზე მიყოფ, არ გესმის, რომ მინდა შენზე მტეო!.. შენსავით მარტოს კი არ მაქვს, მე, დაბნეილი ხახაო, — შეილი მყავს ერთი — უმაღლეს უკვე ათავებს ასლაო, მეოოე, საშუალოდან სწავლული დაღის კარშიო მესამეც „ფარმაკეტკა“, საბჭოთა აფთიაქშიო!.. ბერს გაეცინა... თან მწარედ დააკაქუნა კბილები და სთქვა: სუ ყველა ნაწაწალო თუ ყავს ამ ხუცებს შეილი მამ, მამის ხუცურ სიყალებს, რათ არ აზხელებს ისინი?! კითხულობს ბერი და პირზე მას არ შორდება სიცილი!.. შემდეგ ადგა და წაიდა, აღარც—საკურთხი! აერც—გროში: მგონი, ეს მასაც კი უკვრის, ასე რომ ხდება—ამ დროში! წაველა

მიკავია. ისიც ქე ვიცი, ბარე ორი თქვენგან რო დას-რიალდება ქონიან ნიჩაფზე, მარა რა ვქნა? შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მარა დიხხანს ვერ ვრჩები: მა-ლე გამოვდივარ იქიდან.

მე ის მიკლავს გულს, რომ ჯამაგირებია მომატებუ-ლი და ესლა მოხსნა სამსახურიდან სიკელილი არაა!

ეგ არაფერი, ნაშა მითხოვდება, ნაშა ქანაპარეს, ტა-ვარი შივებო, ჩემი საქმე, ქანაპარეს. (ჯდება და უკრავს გი-ტარას, თან ამღერებს):

დავრდომილი სნეული,
 უნუგეზოდ ვხტირი მე,
 რევიზია კარს გვადგია,
 რა ვქნათ, შენი ჭირიმე!

კოტე ყაჭკაქი: — გამარჯობათ თქვენნი. (ერთად—გა-კიმარჯვას, ძია კოტე).

ფაცია: — კონსტანტინ გეორგიევიჩი! გამოცდილი პე-დაგოვი ხარ, გეითხარით როგორ მოვიქცეთ, რევიზია სა-ღაცაა შემოანათებს..

კოტე: — შეილებო! რამ შეგაშინათ? რევიზია და სკოლა გაგეგონათი იმეტამ მიდის წინ ჩვენი საქმე-ის მამაცხონებულები რევიზიის სახთ კი არ უნდა გვეპ-

ლინებოდენ. (აბა როგორ, აბა როგორ?—ისმის ხმები).

არ გახსოვთ როგორ ლანძღავდენ ინსტრუქტორებს ამას წინეთ გაზ. „მუშა“ ში. ინსტრუქტორები სასწავლო წლის დასაწყისში უნდა მოდიოდნენ, უნდა აძღვედნენ მასწავლებლებს ახსნა-განმარტებას და არა რევიზიის სახით ევლინებოდნენო. დღეს რომ შემოვიდეს, ასე უთხ-რათ: — „რა დარიგება მომეცით, რომ მითხოვ ანგარიშს-თქვა“! (ყველას იმედი მიეცა. ზოგი ნარდს თამაშობს, ზო-გი მანდალინას უკრავს. ქალიშვილები მღერიან):

უბედურმა ჩემა ქმარნა
 საღამომდე ყანა ფორცხა,
 საღამოზე რო მოვიდა,
 ერთი ორი ქე მაკოცა.
 ფორცხა, ფორცხა, ფორცხა,
 მკოცნა, მკოცნა, მკოცნა, მკოცნა.

(მოწაფეები ხრიალობენ, თუმცა დარეკილია უკვე საათზე მეტი).

ფაცია: — რევიზია, რევიზია, ვაი ჩემ თავს! (ყველა მ-გარეთ გაიხედა. მათ რევიზია ამ მდგომარეობაში წააწყ-უ-დათ).

სცენა ჩიბათის ცხოვრებიდან

(გომანხურში ყურ-მოკრული ამბავი)

ვოსტა (ზის თავის ღუქნის წრე) — დევილუბე კაცი დევილუბე! ტარანაი გაძვირებულა! რაფერ დროში ვართ რაფერ დროში ვაიმე რა ვქნა?

სერგი (კრალოსანით ხელში მოდის): — რაშია კაცო საქმე, რა გაჯავრებხს?

კოსტა: — თავი მოსაკლავათ მაქ, რა ვქნა, არ ვიცი. შეიხედე ერთი ჩემს ღუქანში, თუ რამეა 4 თავი ჩიხინი ტარანაის მეტი! ამით ირჩინება „ცოლშვილი“? რა დროში ვიყავით წინეთ, სერგო ჩემო, რა დროში?!

სერგი: — ნუ გეშინია, კოსტა! ცოტა კილო გამაგრდი! რალაცა ამბავი არის. დღეს თუ ხვალ აგენი (აღმასკომისკენ გაიქნევეს ხელს) აღარ იქნებიან!..

კოსტა: — შეიტყვე რამე ახალი თუ?

სერგი: — სიზმარი ვნახე, დაუცვეთელი. დაცდილი მაქ...

კოსტა: — შენ პირს შაქარი, ავი მალე იქნებოდეს, თუარა მერე რალა მიჭირს: უორდანაის ფულებით სამსე მაქ დახლი!..

სერგი: — შენ უორდანაის ფულები გქონია და მე კი უფრო უკეთესი — ნიკოლოზის მაქ. ხანდახან ვამხეურებ, არ „დანოტოს“ მეთქი!..

კოსტა: — ავი ყლოფერი კაი, მარა ერთი იგი მოთხარი, ხომ არ შეგიტყვია ვინ მოკლა ჩვენი ვირი?

სერგი: — არაფერი არ ვიცი. იმ დღეს აღმასკომს ენბარა და სალამოს ქე მომკედარიყო...

კოსტა (ამოიხრებხს): — ემ! რა კარგი იყო ცხონებული! მეც ვხმარობდი, შენცა ხმარობდი, ავი ხუცესი (უჩვენებს წინ მოსახლეს) ხმარობდა... ახლა რაით წაეიღოთ წისქვილზე სიმინდი?! ოჰ! რა დროში ვართ, რა დროში?!.. (შეიხედავს ღუქანში) შოთია! შოთია, გადენე ღორები!..

საკამიასერიდან

სოფლად სას.-სამ. საკრ. ამხ., რომ უღარიბეს გლეხობის ინტერეს იცავდეს, ეს ეხლა პიონერმაც კარგად იცის; მაგრამ სულ სხვაგვარად იცის საკამიასერის (ოზუ-რგეთის მაზრა) საკრედ. ამხანაგ. თავმჯდომარე ლუკა ძნელადემ. ლუკა „თავისებურად“ აკეთებს საქმეებს და სესხს უფრო შეძლებულთ აძლევთ. თავმჯდომარე ამბობს: „ღარიბს რომ სესხი მივსცე, ის მაინც ვერ გადაიხდის — დახმარებათ ის ჩაეთვლება, რომ სესხს არ მივცემ და ვალიც არ დაედება“. აბა, ერთი დაუპკირადი? ახირებული ახრია!

ლუკას „საქმენი საგმირონი“ ამით როდი განისაზღვრება: „სათესლე სიმინდი რომ მოვიდა, ლუკამ აღმასკომიდან გამოიტანა ღარიბთა სიები, მაგრამ, არ შეგჭამოს ჭირბა, როგორც ჩემბერლენს არ გაუკეთებია ინგლისის მემალარეთათვის რაიმე, არც ლუკას იმ სიის მიხედვით არ უმუშავია. იქვე არ ჰყავდა შეძლებული ნათესავეები? „პირიც ნათესავეებისკენ“ — ო, — აი, ლუკას დევიზი!..

გლეხობა ლაპარაკობს: „რატომ არ დაიქცა ის დღე, როცა შენ აგირჩიეთ, თითი რატომ არ მოგეტყვია მაშინ“ — ო..

საკითხავია: გამეგობა ლუკას „საქმეების“ მოწმე ხომ არ არის?! გამეგობამ გლეხობის ასეთი ჩივილი არ უნდა დატოვოს „ხმად მლადადებლია უღაბნოსა შინა“!.

კირილიისონ.

შორაპნიდან-მოლითამდე

1) თუ შებრძანდებით, სალიანდაგო განყოფილების ჰუბანში, ნახავთ, ყველა თანამშრომლებს უსაქმოთ, დილას წაიბეზავებენ 3 საათს და შემდეგ კი ზოგი მასხარობს. ზოგი ზღაპარს ყვება. უფრო ძველი მამასახლისათ ნამყოფი პანკავიძე, ჩვენი ძმა ვილოლია სამუშაოს დასრულებას წინ ერთი საათი უნდება თარჯიმანს, ვინაიდან უფროს მონაგარიშეს, ძია ლუკიანოვს ქართული სრუ-

ალკანოს თემის „ალ

(პროპიონ)

მოხ-სამკითხველო



გამგზე, სიმონ ფრუიძე: აბა, ჩემო, „ალფა“! სამკითხველოში არავინ შემოგეპაროს. მე თუ ვინმემ მიკითხოს, გადაეცი: დღეს ვერ მოვა, არ სცალია-თქო!..

ლიად არ მოსწონს და ისევე რუსულათ აწარმოებს საქმეებს, რის შემდეგ გადმოქართულებასაც უნდა დღემში ერთი თანამშრომელი.

2) თუ შეივლით მე-8 საოსტატოს ანგარანში მატაბელეს ვერ ნახავთ ვერასდროს, მუშები კი ჩივიან, ხოლო აღმინისტრაცია სდუმს.

3) ხარაგაულის სადგურის უფროსი ტელეფონზე არ გაავაგონებს, სანამ თავთ არ მოებრძინება, თუნდაც უძახოთ ორი საათი, რის გამო სცდება ქვის სატებ კორიერში მუშები და ქვით დატვირთული ვაგონები.

4) სადგურ მარელისის მორიგე, ნაუბა გეგეშიძე, ყელის გაზეთის დამწერსა და სამკითხველოსაც უტრიალებს დედას.

5) ლელვან-მარელისის თემის აღმასკომის თავმჯდომარე მოდის თავის კაბინეტში 12 საათზე, მდივანს 1-ლ საათზე, ხოლო გლეხები მათ უყურებენ 6 საათამდე.

6) იმავე თემის „უპო“ — განყოფილებაში გამგეს ნახავთ აყვირებულს, იმასთან რაიმეს ყიდვა ძნელი და მოუხერხებელია გლეხებისთვის.

7) ხოლო სადგ. მარელისის „ზაქტო“ — ფარდულის გამგეს კიბაშვილს ნახავთ კვირაში მხოლოდ სამჯერ, დროგამოშვებით.

განჯიბუდა.

ფა“ და „ომაგა“

სიალური

ფ ო ს ტ ა



გამგზ, გეოსო კოკალიანი: აბა შა, ჩემო „ომაგა“! ეცი მაგას, არ მილაღატო, ხირცხვილი არ მაჭამო, არ გაჯობოს!..

*) იგულისხმეთ: მურია!

სენაშვილი

მღვარეობა

ღმერთმა ელვარება ნუ მოგაკლოს, მაგრამ შენ რა გინავეს, შენ კაი კაცო:

„ხან ერთ ტყეში, ხან შიგორეში დაფრინავთ თურმე ფრთები!“..

ციკიბოთ ჩვენ, ფრთები, რომ არ: გაგვანია, ამ ცხელ ზაფხულში ტფილისის ქუჩების მტერიან ჰაერს რომ ვნთქავთ და იძულებული ვართ კიდევ ზოგი ამ სიტყვით ტვინშეთხლებული პოეტის „უხვი ნაწარმოებები“ ციკიბოთი...
სანაღამ-ს

ჩვენ ისეთი სტუმარი არ გვინდა, რომელიც ჯერ სტუმრობას გვთხოვს და მერე „ხმის ამალღებას“ ჩვენ

სტუმრებს სწორეთ ამ „ხმით“ ვაფასებთ. მაშასადამე, თუ ჩვენი სტუმრობა გინდათ, ჯერ „ხმა აიმაღლეთ“.

„კო-ნი“-ს

სამტრედიის ბაღში ავარები მოქმედებენო, გვეწერთ, იმას კი არ გვეწერთ, თუ, სახელდობრ, რას აკეთებენ, თქვენი მოწოდება მაინც სამართლიანად მიგეჩინია:

„დაკა-დაკა იწყება და ასტყდება ხათა, ბაღის ადმინისტრაციევ, სათა ხარ, სათა“?!

ან და საერთოდ სად არის ადმინისტრაცია, რომ ყველაფერი ეს მოაწესრიგოს?!..

საკითხი უკვე აღმოჩნდა: „კონი“ არის. ვნახოთ, ვინ რა მიიჯოს?..

ბრატუნას

საერთოდ „ბრატუნა“ ზოგჯერ კარგია, მაგრამ არც გადაჭარბება ვარგა, როგორც თქვენ გემჩნევით: „ამას ჩანგალი ჩავსცეთ“, „იმას ყური ავუწოთ“, „იმას ცხვირში ამოვკრაო“... ერთი სიტყვით, „თვითონ სჭირთ და თვითვე ჰკერავთ“. ველარ მივხედით ჩვენს დანიშნულუბას. „ტარტაროზი“ კი ასე არ სწირავს. ჩვენთან ტარანი თვლითაა, ხოლო წამალი და ღონისძიებანი—სააფთიაქო სასწორით!

ჩარხს

ჭუთაისის ტექსტორგის მალაზიის გამგე, იგივე კანტარალიორი პეტრე თუ საქონელს „წინიდან და უკანინდანაც იძლევა, ამას კარგათ გამოვიკვლევთ, ხოლო დანარჩენი თქვენს სცენაში სტარტაროზო ვერაფერი აღმოვჩინეთ.

ხლეპუს

„ათას ერთი ღამე“-დან არის ეს ამბავი თუ ბათომის ცხოვრებიდან. შე კაი კაცო, პირველად თუ იმგზავრეთ ბათომში, აბა, რა მოგიგიდოდათ?..

ტარტაროზის ნათლია-ს

ჯერ ტარტაროზის ქრისტიანობა ვინა სთქვა და მერე შისი ნათლია?!.. მაგრამ ამას რომ თავი დაეხანოთ, კელოგს, ჩემბერლენს და მუსოლინს, რომ ეპოტინებით, მანდ, ახალსენაკში კი ცოტა ვინმე იყო კბილ-გაააჯ-ჩაივი?!..

კელოგს, მუსოლინს რომ მისდევ, ტარტაროზის სავალ-ბარგებს, „გრძელი ხედეა“ მოიმოკლე, ნათლია—ჯან, სენაკს არგებს!...

იგნაშურას

ტარტაროზმა ასე ბრძანა: „მოახსენეთ იგნაშურსა: მეზობლის ქალი თუ ჩხუბობს, შენ ნუ უღღებ იმას ყურსა, უფრო საზოგადო საქმეს გაუწევდე „სამსახურსა“!...“

იაღონ-ს


იაღონმა კი არა იაღბუზის ღონმაც რომ აგვეწუროს „ღამის“ თამაშს ვერავის აუეკრძალათ: თუ ვერაფერს დამკიან, თავს მაინც გაირთობენ. სულ ერთია, რა თავიც არ უნდა იყვეს.

მუთაისის მუშაკორთა ბიუროს

იქ ჩვენს იუმორკორს „ლახვარს“ ვილაც დანტერე სებული პირები არ ასვენებენ. მიიღეთ ზომები ადგილზე ბრთვ.

ტარტაროზის რედაქცია.


ბ ე ნ ც ე ლ ა ქ ი ს „ ბ ე ნ ც ი “



— რა კონტად გამოიყურება ეს „ბენცი“, თქვენს არც კი იჩინებს, რომ უბრალო სანაგებია და მბტი არაფერი!..
 — როგორ?
 — როგორ და მერა ხედავ, რომ ვიბ ყოველდღე მხოლოდ ჩვენი ბაგბე ჯდებაჟ.

გ რ ე მ ბ რ ე მ ი

ტარტაროზი და მოხილვისაცია



გ.გ.გ.

განსდა სამხედრო გაწვევის წმა და
 მოსდის ტარტაროზს თავში ფიქრები:
 „უიარაღოთ ხალხს რომ თავზარს ვსცემ,
 მათ, იარაღში რაღა ვიძნობი?“

კინტირია კიტრიაკაპეიკიანიძე

— ესაა შენი „ბალშევიკები“, მშვიდობის მოყვარული ხალხიაო, რომ იჩენებდი? სასოწარკვეთილივით წამოიხაზა კიტრია კიტრიაკაპეიკიანიძემ ერთ ავისტოს საღამოს, სახლში რომ დ. ზოლენდო თავისი ჩვეულებრივი „საღამოო მაციონისაგან“ ლადიძის კაფემდი და იქიდან სქან—სახალდის.

— რა იყო, რა ამბავია? ვინ გაგაჯავრა, ბოშო, არ ხტუევი? შეეკითხა მას ამ ამბით ელდნაკრავი ჩიტყე, კინტირია მუღულე.

— რა იყო და კი უშველებელი მობილიზაცია „გამოაკრეს“ ამ საღამოს ავტო, კაცი რომ არაფერს არ მოელოდა, ისე...

— მობილიზაცია?!... გაიოცა თავის მხრით ჩიტყემ თავზე მანდილის სწორებით და იქვე ჩამოჯდა ფეხებმორყეულ სკამზე, შიშისა და გაოცებისაგან არაქათ გამოლეულივით, თუმცა ჩიტყეს, როგორც ქალს მაინც და მაინც, არც კი ესმოდა კარგათ მობილიზაციის აზრი, და მნიშვნელობა. არ ესმოდა, იმიტომ კი არა, რომ რაიმე გამოცდილება არ ჰქონდა იმისი, არამედ იმიტომ, რომ ბევრი რაიმე წარსულის შესახებ მესხიერებიდან უკვე გამოფერთხილი ჰქონდა, როგორც საცერიდან უკანასკნელი ფევილი, ხოლო ბევრ წარსულში გამოცდილ სიმწარეს შემდეგ იმდენი სხვა უფრო მძიმე უსიამოვნება გადაეფარა ზედ, რომ ის „ზორეული წარსული“ ამ „ახლო უსიამოვნებებმა“ სრულიად დაჩრდილეს.

კიტრიაკაპეიკიანიძეები, როგორც გვარი გვიჩვენებს, სოფლური ჩამომავლობისა იყვნენ, მაგრამ ქალაქშიც იმდენადვე ფეხ-მოკიდებულები, რამდენადაც ეს მათი გვარის მეორე ნაწილს შეეფერებოდა... „საკიტრე“ სოფლის მეურნეობა და „საკაპეიკე“ ქალაქში ხელზე თუ ფეხზე ვაჭრობა—კინტირიას პროფესია შეადგენდა იმ თავიდანვე. საერთაშორისო ომმა ეს ხელობა კიდევ უფრო „დაბწნა“ და ჩამოაყალიბა კინტირიაში. „საბოილონი ჩამოსულა მოსკოვშიო“ — რომ იბახოდენ, ამ ხნებთან შეცავობრებული საქმიანობა კინტირიას მოგონილია თუ არა, ყოველ შემთხვევაში კარგი „ნაცნობი“ მაინც იყო.

შემდეგ, ყველაფერი რომ აღიარა კინტირიაშიც ჩამოკყარა ფრთები, სახამ ზედ უკანასკნელ ბუმბულამდე არ შეეპოქეს ყველაფერი მისგან ამოთვალწუნებულმა „ბალშევიკებმა“.

„სოფელში რომელიდაც ვუდიან აზნაურისაგან „ტოჩილი“ დარჩილი მამულზე კინტირიას ბალი, ბოსტანი თუ პურეული იმდენი მოეკვებოდა, რომ „მთელ ქალაქს ჰკეზავდა“, როგორც მას უყვარდა ლაპარაკი.

ხოლო ქალაქში ედგა ერთ ომში გაწვეულ თუ, ომში გაწვევის შიშისა გამო, „გაქცეულ“ პოლინელ რომელიდაც კინტირისაგან მცირე ვალში დაგირავებული, ხოლო შემდეგ „კანონიერი გზებით“ უკვე სრულიად მითვისებული სახლი. ეს სახლი უკანასკნელ ხანამდე, ასე ესთქვათ, „აჩრენდა“ კინტირიას და მის მეუღლეს. შვილი იმ თავიდანვე არ ჰყოლია კინტირიას, თუმცა ახალგაზრდა ვაჟები, ზოგი—მოსწავლეები, ხოლო ზოგი—ქალაქში სხვა რაიმე საქმეზე მყოფნი—ჩიტყეს თითქმის გამოუღვეველად ეყენა ბინაზე და ქმარის მიხედვით, ესეც „ცხოვრობის გამოსარჩენს“ მისდევდა.

ჩიტყეს ახლაც არ გაუფლია თავისი ხელობა, როცა კინტირიას სახლზეც შეაშობინეს და სოფელზედაც. ახლა ის დადიოდა რუსთაველის პროსპექტზე და ჩიტყესათვის საკენკათ ცხელ-ცხელ ცნობებს ჰკრეფდა.

ამელამდელმა ამბავმა მაინცა და მაინც ვერ ასიამოვნეს ჩიტყეს. მან სასწრაფოდ ლოგინი გაწავლა და ახლად შენაცოცხლებსავით შიგ გაეხვია. კინტირიამ კი მხოლოდ სარტყლას შეხსნა მოასწრო, ისე, გაუხდელად გაიშლართა „კუშეტკაზე“.

სამწინელი წარმოდგენები მოსვენებას არ აძლევდნენ ცოლ-ქმარს. სამხედრო კომუნისმის გამოანაცადნი არ იყვნენ, მაგრამ რასაც ამის შესახებ განაგონს იყვენ, მათთვის შიშის საწყისად ისიც საეხებით საკმაო იყო. — ალბათ, ეს შავი პურიც სულ გაწყდება, გაუფლვა პირველად კინტირიას უსიამოვნო აზრმა. ამას მიჰყვა სხვა დამოისპო ამქვეყნად, აცისთვის მშვიდობიანი მოსვენება...

ძილი, რომელიც ძალიან გვიან ეწვია მას, უფრო სულთმობრძავის ბორგვასა და ხრილს წაგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ უღარდულ ხვრინვას. მისი გული ყოველ წამს ელოდა სროლათა და აფეთქებთა ჯოჯოხეთის. ამიტომ, საკმაო იყო კუთხეში თავისი გაჩუქუნება, რომ კინტირია თითქმის ნახევარი მეტროს სიმაღლეზე შემხტარიყო. თავგებიც თითქმის სწორედ განგებ ამ ღამეს იჩინდნენ განსაკუთრებულ სიტუაციებს, თითქმის გამოცხადებული მობილიზაცია იმათაც შეეხო: წიწინებდნენ, ჩუჩუნობდნენ, ხტოდნენ და მალაყებს გადადიოდნენ... იმათ აყოლებდნენ კინტირიაც ხტოდა თავის სარეცელზე, რეზინის ბურთით, ან კიდევ საპნტ ბაშის კრინიკა ფითილიბიით.

ღილით ჩიტყემ ადრე გამოჰყო თავი ქუჩაში. ფურნემში მან ყური მოჰკრა სიტყვებს: „საცდელი მობილიზაცია“—.

— ალბათ, ხალხს თუ სცდიან, შეტყობა უნდათ: ვინ არის მათი ერთგული და ვინ მტერი, რომ შემდეგ თეთრი



24 აგვისტოს, საღამოს, „სპირიტუალთა“ ბათალიონების სასტიკი უამრტების უამრტებ, ბრძოლის ველი“ მტკარის პირას აღეხრების საზინელ სურათს წარმოადგენდა...

პური მხოლოდ ერთგულებზე დაბრკობონ — გაიფიქრა ჩიტკემ, დაკავშირებით იმ სმებთან, რომელიც თეთრი პურის მალე ბაზარზე გამოშვების ირგვლივ უკვე კაი ხანია ტრიალებდა...

— ადგი, ბოშო, შენც გადი ქუჩაში, ხალხში შევერიე და ერთი ორი მთავრობის სასარგებლო სიტყვა შენც გადაისროლე, — მიმართა შინ შემობრუნებულმა ჩიტკემ ქმარს, რომელიც ჯერ კიდევ გულღმა იწვა და ლუწასაბივით ჰერს მისჩერებოდა...

— რაა, გაიგე რამე თუ? — როგორ თუ რაა, მთელი ქვეყანა ამოძრავებულა... „ხალხს სცილიანო“, ასე სთქვეს ფურნეში. მალე თეთრი პურის ციობას დაეწყებოდა... ალბათ, უნდათ გაიგონ: ვინაა მთავრობის ერთგული, რომ შემდეგ თეთრი პური მხოლოდ მათზე დააბრკობონ. ადგი, კაცო, ადგი შენც გადაისროლე ერთი ორი „ახკისი“, არა უშავს: „ხალხები დაეცევიან“.

კინტორია ზმორებით წამოდგა, დაბან-დაივარცხნა, ჩაიცი და გასწია თავის „საგუშავოსაკენ“...

მივლი კინტორია და ფიქრობს: „მოდი და ხალა შენ გააჩივი: ვისთან უნდა სთქვა ამ მთავრობის ძვირი და ვისთან — ქება“...

— რას ამბობ, დედაკაცო, რის თეთრი პური, რის ჩლაგი, რის ფლაგი?!... ომი იქნება, ვაი არა აქვს შენს კინტორიას, ომი და... თუ გაუძელით, კიდევ გეშველა, მგონი, რაღაც ისე შეენიშნე დღეს ქუჩაში ხალხის ლაპარაკს — ქაქანით მიუბრუნდა თავის ცოლს, მალე უკანვე შემობრუნებული კინტორია.

ნაშუადღევს კინტორიას აზრი უკვე შეიცვალა ორის გარემოებით: ქუჩებში უკვე თითქმის დილიდანვე ტყეა არა ჰქონდა დიდუბისაკენ ამოძრავებულ ცხენებს და ეტლებს, ხოლო კობტად დარაზმული გუნდები გაწვეულ, მუშებისა და ხელოსნების წერაობების ქარავნებით მისდევდნენ ერთი-მეორეს.

სალამოს კინტორიამ ისევ იცვალა აზრი ქუჩებში დაკლებულ შიმინ-შუშინის ზეგაღლენით.

მეორე დღის აზრი პირველი დღისას აღარ ჰგავდა. მესამე დღემ კიდევ უფრო შეაწუხა ალალ-ბედზე მიგდებულ საქარულასავეით მერყევი ცოლ-ქმარი... გლენთა გუნდები, ცხენები და ეტლები შორეულ სოფლებიდან ქუჩებს იკლვდნენ: დგანდგარით, ჩიქიქით, სიმღერით და ყვირილ-ბიკილთ.

— ომა, აი, ნამდილი ომა დაწყებული, მალავენ, თორემ... ფილოსოფოსობდა კინტორია...

— თეთრი პურისთვის გეცდიან, თორემ ავერ შენც დაინახავ, — უჭრიდა ჩიტკე.

მეხუთე დღემ ომის საფრთხე და შიში ისე გაფანტა, როგორც გაზაფხულის ქარმა — ზამთრის ღრუბელი.

კინტორია მოეშვა, ჩიტკე ქმარს ჭოქოლას აყრიდა: რითაც სასილიდან ძალაუნებურად სულ ქუჩისაკენ ერეკებოდა მას.

— ევალხად არაფერი წამოგედეს, აი, ცული არაფერი სთქვა ღვევანდელ მთავრობაზე, თორემ შემდეგ „შევიდობით, თეთრო — პურა“, — არიგებდა ჩიტკე ქმარს.

კინტორია დადიდა ფრთებ-ჩამოვარდნილი ბატყით და ქუჩაში მოსაუბრეთა გვეუფებში გზა-დაბნეულ კულდახარებით ხან აქ თუ ხან იქ ერეებოდა: სადაც აქებდნენ ჩატარებულ მობილიზაციას, იქ ისიც ფართოდ უშლიდა ტრახანის გულდას; თავს, ხოლო, სადაც ცუდათ იხსენიებდნენ განვილი ამბებს, იქ ერთ-ორ სიტყვას „კაჭკაჭივით“ ისიც ჩაპკრავდა, მხოლოდ დიდის სიფრთხილით და ისიც გაათკეცებული დაკვირვების შემდეგ.

ოჯახში გამარჯვებულათ თავს ჯერ-ჯერობით ჩიტკე გრძნობდა და ქმარს წარა-მარა არცხვენდა თავისი მიუხდენარობისათვის.

მაგრამ... აი, საცდელი მობილიზაცია ჩატარდა, გავიდა დღე ორი, სამი და ჯერ-ჯერობით არც ჩიტკეს ნაწინასწარმეტყველები თეთრი პური სჩანდა ბაზარზე...

— სად არის შენი თეთრი პური, ა? სად არის მეთქი?!


აყვედრიდა კინტორია ცოლს, თითქოს ეს უკანასკნელი ყოფილიყვის შეგვიანების მიზეზი...

მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და სახაბაზო ოო-ნები მართლაც გამოიქედა ზამბასავეით რბილი და თეთრი შოთებით თუ „ევასკა პურებით“...

— აჰა, ხეთქე! დაატანა ერთ დილით ფურნედან დაბრუნებულმა ჩიტკემ ლოგინში ჯერ კიდევ მონებიერე კინტორიას მისამართით და თეთრი პურის ვეებერთელა ნაქერი მაგიდაზე დასდო.

დარცხენილმა კინტორიამ სანატრელ თეთრი პურს შორიდან ნდომით თეთრი კბილები ღრეკით შემოანათა...

ხოლო ამის მოწამე ჩიტკე კი ჰფიქრობდა ქმარზე: „აი, შენ წელკავიანო, შენა, ცბილეები, მართალია ასე თუ ისე თეთრი გაქვს; მაგრამ გული კი... გულში ისევ ჯოჯოხეთის მუფუხალივით ხარ გაღულული“...
ო.ნისიძე.



გან-ც კი, დილით, საცდელ მობილიზაციის სანატარულ საზემბის მიერ, ბარკოლის ველი წამსებდით გაწვენდით იანა მტრის შემოსევიც ყოველი ნაშთისაგან...

გ ა ლ ა რ ე უ ლ ი ბ ო რ ჯ ო მ უ ი

„ბარბაროზი“-ს რედაქციისაგან:

ამა წლის 18 ივლისს ამხანაგი გადარეული უგუნე-ბით შეიქმნა, როგორც იტყვიან „ხასიათი დაეკარგა“. დილიდანვე მის სახეს მოწყენილობა დაეტყო. ოჟღა თაყნაქინდრული და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „გუნება—ბუნებაო“. გადარეულის ავადმყოფობა ყველასთვის ცხადი იყო. ეტყობოდა მასში ძლიერ სულიერ ტენზის ქონდა ადგილი.

„ბარბაროზი“-ს რედაქციამ მაშინვე მიიღო შესაფერი ზომები: მის ბინაზე შეგროვდნენ ჩვენი რედაქციის კოლეგიის წევრები, თანამშრომლები და მრავალი მკითხველები. ხალხი ფეხზე იდგა, რადგან გადარეულის ბინაზე სკამი არ აღმოჩნდა.

დაუყენებლივ შესდგა „კონსილიუმი“ აშხ. ს. თ.—ის, ონისიმეს, სინებატოს, ჰაზირას და წიწაკას შემადგენლობით. აგრეთვე გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია ცნობილ პოეტ—მწერლების: ევგენი დვალის, დანისელის, ტ. გრანელის, ბოგდანოვ-ჩარხიშვილისა და სხვათა შე-

ტ. გრანელმა ვერ მოითმინა სიხარულისაგან და ხმა მალა დაიღრიალა:

„გაუმარჯოს ევგენ დვალს“.

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“ — ისმოდა ხმები და ოთახი დაიფარა ტანის გრიალით. იმ წუთშივე ტელეფონოგრაფით აღძრულ იქნა შესაფერი შუამდგომლობა საკურორტო სამმართველოს წინაშე. რამდენიმე წუთის შემდეგ ამანაგება ფრანკულიანმა გვაცნობა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და გადარეული უნდა გამგზავრებულიყო მეორე დღეს ბორჯომში.

ყველას აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედებდა ეს ცნობა აშხ. გადარეულზე და მართლაც გაიგო თუ არა მან, რომ ის ერთი თვე იგზავნებოდა ბორჯომში თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გადახედა ყველას.

ევგენი დვალი მართალი აღმოჩნდა...

მეორე დღესვე 19 ივლისს, აშხ. გადარეული გაემგზავრა ბორჯომში, რომელსაც თან ახლდა შისი პირადი მდივანი აშხ. წიწაკა. გადარეულის ბორჯომში ყოფნის დროს სვენი მკითხველები დაყენებით მოითხოვდნენ მის შესახებ დაწერილებით ცნობებს (მისი ჯანმრთელობის, გუნების, დროს ტარების და სხვა). სამწუხაროდ, დღემდე მათ მოთხოვნილებებს სავსებით ვერ ვაკმაყოფილებდით. დღეს კი საშუალება გვაქვს სრული ცნობები მივაწოდოთ მკითხველებს გადარეულის შესახებ მისი დღიურის გამოკვლევების საშუალებით. დღიური საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ეხება, როგორც მის პირად ცხოვრებას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ამ დღეებში გადარეული დაბრუნდება ტფილისში და შეუდგება „ბარბაროზი“-ს თანამშრომლობას, მისი ჯანმრთელობა აღდგენილია ასი პროცენტით.

წ. შ.

აქვე ვთავაზებთ პოეტ—მეცნიერის ევგენი დვალის ლია წერილს რედაქციის მიმართ, რომელიც საინტერესოა იმ მხრივ, თუ როგორ დაუმასხაბრებლად ვიღაც ქორიკანები ჩიოქს სცხებენ მცხოვან საზოგადო მოღვაწეს და მეცნიერულ პოეზიის მამა-მთავარს საქართველოში ევგენი დვალს.

„ბარბაროზი“-ს რედაქცია.

რუსთაველის პროსპექტზე გავრცელებული ქორები, ვითომ მე წინდაწინ მცოდნოდეს გადარეულის უგუნეობის მიზეზი, ჩიქს მცხებს, როგორც მეცნიერს და პოეტს, ვიცხადებ, რომ ეს ქორები ვრცელდება პირადი, მტრებისაგან, რომლებსაც სურს ჩემსა და გადარეულს შორის რაიმე ნათესაობა აღმოაჩინონ, რომ მით მეც გადარეულთა მომნათლონი. ტყუილი ამბავია; გადარეული, როგორც ვიცი გურული უნდა იყოს, მე კი „წმინდა სისხლის რაქველი ვარ“. ნათქვამია ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,—ფუჭია მათი ოცნება. ჩემი სახელი მუდამ უკმაყოფილო იქნება, როგორც შოთა რუსთაველის პარტიის დამარცხების, მეცნიერისა და პოეტის. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოვიკვლიე გადარეულის უგუნეობის მიზეზი ეს შეადგენს მეცნიერულ საიდუმლოებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის ნაყოფია იმ ფსიქოლოგიური და დამოკიდებული სიტუაციისა, რომელიც მე მეკუთვინის მეცნიერებაში და ეწოდება დვალისში. ორიოდ სიტყვა იმ ორი სიტუაციის შესახებაც, რომელსაც გადარეული ხშირად იმეორებდა „ბუნება—გუნება“. ეს ორი სიტყვა ლოლიკურ კავშირშია იმ სულიერ ტენიონსა, რომელსაც განიცდიდა გადარეული 18 ივლისს. ვინ არ იცის, რომ სიტყვა „გუნება“ ბუნებისაგან წარმოსდგება. ადამიანი, რომელიც მდიდარ ბუნების წიაღში სცხოვრობს, მუდამ მკვირცხალ-ხალისიანი და მზიარულ გუნებაზეა.

წინააღმდეგ მოკლენას ეხედავთ ჩვენ, როცა ადამიანი ბუნების გარეშე სცხოვრობს. ასეთი ადამიანი მუდამ დაღვრემილია და მუბლშეკრული. მე ცხონებულ ზურ-



გადარეულის ბინაზე შეგროვდნენ თანამშრომლები...

მადგენლობით; მოწყვეული იყო კონსულტანტებათ მწერალთა შემდეგი-ჯგუფები (წარმომაღლებლები: „უმოქმედობის“, „არის ფინთების“, „ყულუნწიების“, „მარცხველების“, „ას ოც იანცების“ *), რომელთაც დავეალათ აშხ. გადარეულის უგუნეობის მიზეზების გამოკვლევა. მთელი დღის განმავლობაში კომისიის წევრები თავებს იმტკრებდნენ და უშულებს იქულებს ავადმყოფი თითები, მაგრამ არ იქნა და ვერ გამოარკვეეს მიზეზი გადარეულის დანადგეიანებისა. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, გადარეულის ბინა სსაფლაოს წარმოადგენდა. გადარეულის მოწყენილობა თითქოს ყველას გადაადებოდა, ამ დროს გაისმა ცნობილ მეცნიერ პოეტის, ევგენი დვალის ბოხი ხმა:

„მოქალაქეო, გადარეულის უგუნეობის მიზეზი გამოარკვეულია, მე თავიდანვე ვიციდი, რაში იყო საქმე, მაგრამ უნდა გამოვიტყუე, მე მიწილდა ერთხელ კიდევ დამემტკიცებია ყველასათვის ჩემი გენიოსობა. მე იმინდოდა თქვენც აგემუშავებიათ თქვენი გზარები, თუმცა წინდაწინ ვიციდი, რომ თქვენი აზროვნება დროს დაყარავა იქნებოდა და მეტი არაფერი. გადარეულის უგუნეობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მან არ იცის წრეულს გაგზავნილი იქნება თუ არა ის რომელიმე კურორტზე. ევგენის კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ

* ას ოც იანცების“ ჯგუფის სახელწოდება წარმოსდგება ას ოც იანცების, ანუ ამფორიაქებლებისაგან, რომლებიც სხენებულ ჯგუფს შეადგენენ. იანცს გურიაში ამფორიაქებელს ეძახიან. სხენებულ ჯგუფის მიერ მართლაც ამფორიაქებულია ძველი მწერლობა.

გილიძის მუდამ ვეიანსმებოლი იმაში, რომ ზაფხულობრივ ტვილისში ცხოვრებას სჯობია კურორტზე ცხოვრება, ცხადია, ტვილისი ბუნებით ვერ დაიკევის... ალბათ ამ გარემოებით აისხნება, რომ ზაფხულობით ხლება ტვილისის „განტვირთვა“ მცხოვრებლებისაგან, რომლებიც მიემგზავრებიან სხვადასხვა ბუნებით ადგილებზე. ასეთი განმარტების შემდეგ, მე ვეფიქრობ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებიც დამეთანხმებიან იმაში, რომ ჩემი მეცნიერული მიდგომა წემოსხნებულ ორი სიტყვის მიმართ სრული ქეშმარტებაა... მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ჭორიკანების წინააღმდეგ და მოუწოდებ საზოგადოებას გამოუტყნოს მათ სასტიკი ბრძოლა.

პატივცემით პოეტი—მეცნიერი ვეგენი დვალი (ქვეყნის თვალთ).

ჩემი დღიური

20 ივლისი. დღეს ბორჯომში ვარ. ტვილისიდან ჩამოვედი წუხელის. ჩვენს წინ ახრდილივით აფუქდა ვილაც ასალგაზრდა ყმაწვილი.

- თქვენ ვინა ხართ,—მოგგმართა მან.
- ამხანაგი გადარეული და მე წიწაკა!—იყო წიწაკაცას პასუხი.
- გადარეული. ჰმ, ჩვენ ასეთ ხალხს არ ვღებულობთ.



გადარეული ბორჯომის სადგურზე

- თქვენ ვინა ხართ? — გაკვირვებით ეკითხება მას წიწაკა.
- საკურსამის წარმომადგენელი.
- აა, საკურსამის, მაშ ინებე, — და წიწაკამ გაუწოდა მას საკურორტო სამშართველოს წიგნაკი.
- გადარეულებსაც გზავნიან.—ჩაილაპარაკა მან თავისთვის და წინ გავიძღვა.

ამ დილაოგის დროს, ვილაც „ბოროტ გამზრახველს“ (უკეთ რომ ესთქვათ, თავისთვის კეთილგამზრახველს) ჩემი „ჩემოდანიდან“ თერთი ტუფლები ამოეცოცებია. ამ შემთხვევის გამო, ბერი ვიცი და კმაყოფილიც დავრჩი. მე ისიც შეყოფა, რომ კურორტზე ვაგატარებ ერთ თვეს, წამლები კი შეიძლება ფესვიშველა იყო.

ხვლიდან აბაზანების მიღებას დავიწყებ. ექიმების რჩევით მთვარის აბაზანებით უნდა დავიწყო ექიმობა.

21 ივლისი. მომთავსეს მეორე სანატორიუმში, რომელიც ამაყად ვადაპყურებს ბორჯომის ხეობას. ახ, რა უვალწარმტაცია ეს ბუნება. რომ შეიძლებოდეს გადაეძახა აიოლა ქვეყნის პოეტებს: პოეტებო, ყველა ქვე-

ყნისა, აქ შეერთდით. ახ, დედასა. ნეტავ ვიყო პოეტი ისეთ ლექსს შეეთხზავდი, რომ ევგენ დვალსაც კი მოეწონებოდა.

წინათ ეს შენობა (მეორე სანატორიუმის) ყოფილა; ყოფილ დიდ თავადის სერაგეის (სერაგი ერისთავი არაგვის ევანოს), რომელიც ბორჯომს წელაწადში ორი კვირით ვსტუმრებოდა თურმე და მის მიდამოებში ნადირობით ვრობოდა, როგორც ოთხფეხა, ისე „ორფეხა“ ცხოველებზე. რომ სერაგიეი მონადირე ყოფილა ეს იქიდანა სხანს, რომ ამ შენობის ოთახების კედლები მორთულია, ირმის რქებით, ისე რომ, აქ მყოფნი, თითქმის ყველა ნადირობის იშტავე არიან. ნადირობენ კიდეც. ალბათ მეც ვინადირებ.

22 ივლისი. მივლიან ექიმები გარეშგაბ, სან-უბირ; გიორ-ელ და ლენ-რუხ, მთავარი ექიმის ბაირონის ხელმძღვანელობით.

23 ივლისი. დღეს, საღამოს 7 საათზე, მთვარის აბაზანების მიღებამდის ბაღში დიდი ზემით დაარსდა ტურქაეშირი („გუბსოუზი“), რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კოლა პირგულაძე. ფალიაშვილის ორკესტრმა შეასრულა ცნობილ დირიჟორის გელი-ძიჩილის დირიჟორობით სიმფონია: „მთვარის აბაზანა“. პრველ ტონურზე უკრავდა თვით ივან პეტროვიჩი.

24 ივლისი. დღეს ჩავეწერე ტურქაეშირში, რომლის წესდების თანახმად უნდა ვასრულებდემ შემდეგ მოვალეობას:

- 1) დილიდან შუადღემდე ნადირობა, 2) შუადღიდან საღამომდის ტყეში „ჩრდილის აბაზანას“ მიღება, 3) საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ბაღში ნადირობა, 4) ათ საათიდან „მთვარის აბაზანი“—სი მიღება; 5) ტურქაეშტრში მონაწილეობის მიღება.

ტურქაეშტრი დაარსებულია ტურქაეშირთან, რომლის წევრები ვალდებული არიან ორკესტრშიაც უკრან. რომელიმე ინსტრუმენტზე.

25 ივლისი. დღეს ვინადირე. დავიქირე ერთი ხოხობი. ლაპაზი ფრინველია. გალიაში მყავს. დღეს კარგ გუნებაზე ვარ. დავიწყე ლაპარაკი.

26 ივლისი. კვლავ უგუნებოთ შევიქენი. ხოხობი ვამიფრინდა, ვაგივე პირველ სანატორიუმში ვადაფრენილა იქ ასალგაზრდობი დასდევნიან, რომელთაც ხოხობის გულისათვის ერთმანეთში უსამოგუნება მოსვლიათ და ერთმანეთი დაუკაწრავთ დღეს ნადირობდენ ექიმები, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდენ, მათ შორი არ აქვთ ნადირობის. ცნობილი მონადირეა ტურქაეშირის თავმჯდომარე კოლა. საღამოს შესდგა ექიმ გრიზა - გაბის კონცერტი. იმდენათ სასიამოვნო იყო მისი ხმა, რომ დილამდის არ დამძინებია მიუხედავათ იმისა, რომ ყურები ბამბით მქონდა დატუებული.

27 ივლისი. დღეს ტბაში ვისეირნე. თან მახლდენ ჩემი ექიმები სანდრო უბირაშვილი, გრიშა ვაბუნიძე, ვალიკო ტალიანი, ტბაში წასვლა უაზრობათ მიმანდა. ვამობდი: „ტბაში ხომ ვეღლებსა და ბაყაყების მერე არაფერი იქნება საინტერესო მეთქი. მოგტყუედი! ტბაში ტბა არ არის. ეს პატარა საფარაკო ადგილია. როცა მივდიოდი გზაში „ხითვას“ ვადავყვარეთ. ტბისაკენ მიმავალი მატარებელი „უკუუშვა“-ს რომ ეძახიან ხაშურის მომართულებით წავიდა. მატარებელი მიქროდა. ვაგვზორით ბორჯომს.

— არიქა, ჩამოვბტე! — დაუძახე მე თანამგზავრებს და ის იყო უნდა ვადამგზარეყავი, რომ ვაგონიდან მოვსვლტი და მატარებლის ქვეშ მოვეყევი. პირალმა ეგდე და ჩემს მუცელზე მისრიალებდენ ბორბლები. ცოტა მოშორებით მატარებელი გაჩერეს და ექიმები ნელა ჩამოვიდენ ვაგონებიდან. კიდეც მოვიდენ ჩემთან და მეც წამოვიდექი...

— ნუ გეშინია! — მომაძახა ექიმმა ვალიკო ტალიანმა, მომგარდა გარეშ ვაბ და გული გამძისიჯა.
— არა უშვას, ცოტა მომაძებულათ ფეთქს, მაგრამ შემთხვევალი ვაღალბა ასე იცის.



ბაღში ტურჯავშირის გახსნა

ბორჯომში დაებრუნდით. ამ დროს დაიძრა ტბის კენ მიმავალი მატარებელი და ჩვენც არხეინად მივქროდით ტბისაკენ. როგორც გამოირკვა, საღურ „ბორჯომბაღის“ უფროსი დავთარი ასეროდა და ტბისაკენ მიმავალი მატარებელი შეცდომით ხაშურისკენ გავგზავნა.

28 ივლისი 1 აგვისტო. მებუთე დღეა წვიმს. წახდა ნადირობის საქმე. ტურჯავშირის თავმჯდომარემ კოლამ ნოტა გაუგზავნა წვიმას. ფიქრობენ ზვალ დარი იქნება. მეც მებუთე დღეა სანატორიუმიდან არ გამოვსულვარ და ას ოცი საათი მძინავს.

2 აგვისტო. დღეს თავი ავიწონე, თავი კი არა მთელი სხეული... ათი დღის განმავლობაში ხუთი ფუთი მომატებული ვარ. გამოდის, რომ დღეში ნახევარი ფუთი მემატება.

ამემაღ ათი ფუთი ვარ. რომ ვიანგარიშით დანარჩენ 20 დღის განმავლობაში 10 ფუთა მომემატება, ტური ლოსში ვიქნები ოცი ფუთი. კარგი ამბავია, თქვენ ნუ მოშიკვდებით, აველაფერს, რომ თავი დავანებოთ ჩემი გა-

დაზიდვა ტფილისამდი ოთხჯერ მეტი დაჯდება, ვინემ ჩამოზიდვა დაჯდა.

— მომგვარეთ ადმინისტრაცია!—დავიყვირე მე. ჩემს წინ სვეტებით დაესვენ: სანატორიუმის გამგე, ნიკო ყიფშიაშვილი, მწე და სამი თეთრ ხალათიანი ქალი (სამივე თამარა).

— მოქალაქე ყიფშიაშვილო!—მივმართე გამგეს,—თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მთავარი ექიმის ბაირონის აზრით, მე სისუქნე არ მომიხდება.

თქვენ ეს იცით, მაგრამ მაინც არ მეშვებით და დღეში ათჯერ მაქმევთ; რას ნიშნავს ეს?—ცყვიროდი მე.

— რა ექნა მოქალაქე გადარეულო, გინდათ თუ არა, უნდა ჭამოთ: ასეთია აქაური წესი.

— არ შემიძლია, ამდენის ჭამა, გაიგეთ.

ვლრიალებდი. ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა „ლაციროვანი“ ტუფლებში მთავარი ექიმი ბაირონი. მან მაშინვე გაიგო რაში იყო საქმე და მარცხენა ყურში ჩამჩურჩულა: „გამგე პართალია, შენს ულუფას ომ არ გადაყრის.




მთვარის აბაზანების მიღება

ქამე, არა უშავს.; ხომ გაგიგონია: რასაც შესქამ ის შვებრა ჩებაო... მე დავმედილი.


8 აგვისტო. ხელო ტარტაროს ველი. პოლიტიკურ საკითხებზე მექნება ბასი. „გახურებული“ ნარდის თამაში სანატორიუმში. ნარდის ჩემპიონობას ჩემულობს ექიმი გროშ ვაბ; რომელსაც შეუძლია 24 საათი ითამაშოს, ათ ხელში ერთ ხელს იტებს, „მაღალდუ გრიზა“-ს ევახინ მას.

4 აგვისტო. ტარტაროს სადგურზე დავხვდი. ვადამეხვეთ ერთმანეთს. ბორჯომი დათვალეირა. მეც თან ვახდი. საუცხოვო შობებულებებით დაბრუნდა ტფი-

19 აგვისტო. დღეს საღამოს, 7 საათზე, ბორჯომის ბაღში გაიხსნა სრულიად ბორჯომსა და მის რაიონების ტუჩკავშირის წევრთა საერთო კრილობა, რომელსაც დაესწრენ დღევანდელი ყველა სანატორიუმებიდან, დასასვენებელ და კერძო სახლებიდან და ლიკანიდან. აქ დაესწრა 1000 დღევანდელი. თავმჯდომარეთ ერთხმით არჩეულ იქნა ექიმი ბაირონი. მოხსენება ტუჩკავშირის მუშაობის შესახებ გააკეთა კავშირის თავმჯდომარე კოლაში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ტუჩკავშირის მუშაობა წრეულს თავის სიმალეზე აუყვანია. ადგილობრივი თითქმის ყველა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახ-



გადარეული 5 ფ.



გადარეულის კვება



გადარეული 19 ფ.

ლისში. ომის შესახებ გეჰქონდა ბასი. ტარტაროსის აზრი გარკვეულია: იმპერიალისტური სახელმწიფოები ომს გვიშალებენ. სულ ერთია: ომი იქნება—დაიღუპებიან, არ იქნება—მიინც დაიღუპებიან. ასეთია მისი აზრი.

თუ როდის უნდა იქნეს ომი, ამის შესახებაც ის გარკვეულათ ამბობს: შეიძლება ამ წელში, შეიძლება გასათ, შეიძლება ორი, ხუთი, ათი და ასი წლების შემდეგ, შეიძლება ისიც რომ ომი ვერ მოასწრონო.

5—18 აგვისტო. 13 დღეა რაც უფუნებოთ ვართ. მიზეზი ორია: ერთი ის რომ ცხრამეტი ფუთი გავხდი და ძლივს დავიარებო. ასე შგონია ნიადაგი ნაწვიმარი იყოს და ტალახიანი, ისე ვეფლები მიწაში. მეორე მიზეზი ის არის, როგორც ბაირონი ამბობს, რომ მე ზედმეტი მთვარის აბაზანა მიმიღია. მაგრამ, რაც უნდა მომივიდეს, ხელო უნდა ავდე და ტუჩკავშირის ყრილობას დავესწრა. მე დღევანდელი ვარ მეორე სანატორიუმებიდან.

ღებში არსებულა, კავშირის ჰყოლია 5000 წევრამდე. კავშირის მუშაობა მოისუსტებდა თურმე; მხოლოდ ლიკანში, საცა მთავრობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები არიან. ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება, რომ იქ თურმე პასუხისმგებელი პირები ამ კავშირის წინააღმდეგ უპასუხისმგებლო აგრიტიას ეწეოდნენ. მაგალითად ფილ-მახს თურმე სასტიკად გაულაშქრია ამ კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი რუპრესიებისა ლიკანის ახალგაზრდობა მთლიანად ჩაწერილია ამ კავშირში. ყრილობა დაიხურა ღამის 2 საათზე. ორკესტრმა შეასრულა სიმფონია: „ტუჩ; ტუჩ“...

20 აგვისტო. ბორჯომიდან ტფილისში დავბრუნდი. თავს კარგათ ვგრძნობ, მოვიმატე 14 ფუთი, 39 გირანქას ერთი რამ მაფიქრებს: მექნება თუ არა ნება ტარტაროში ვივლი ჯღომისა. ხვლიდანვე შეუღლები „ტარტაროში“-ს თანამშრომლობას.

გადარეული.

ა მ ა ლ ლ ე ბ ა


(გურია)

„ვაქაქცა“ გალინადირა სოფელი კობტა, მზიანი, „ტალახას“ ძირში მდებარე, კაკლუცი, თავზიანი. უწინ რომ ფოთში ბუქავდა, ჩაქვსაც ხომ წვენი ადინა, აწ სავაქროში, ვით ჩარჩი, როდ გაიჩინ მან ბინა. გაიძვერულ მოქნილობით რომ არა ყავს იმას ტოლი, ოცის კობტათ გატყავება, არც დაჩქება ტყავზე ქონი. „ბაქარა“ და „სამფურცელავ“, „ბაიბურთი“ ოც-და ერთი. წინეთ მისი „საქმე“ იყო, სწყალობდა კიდეც ლმერთი. უყვარს სხვისი დამცირება და. სარჩულით ლაპარაკი.


მას სარკვეში რა ჩანდო,—ნახო ხაყო, აგრაკვი. კოპპერატის, გლეხკომს კაცი, ხომ არა სოფლის არცა ჩირად, მეგობარიც მისი არის, ვინც რომ დადის იქა ძვირად. გლეხი არის „კაცი“ ვგე; და გლეხების თეალის ჩაი, არა ერთი გლეხის ზურგზე იყარა მან თვისი ვინა. ჯარიელის მემკვიდრეა, „ტარიელობს“ ეს „ლომ-კაცი“ გუმინ ვარდენ მასწავლებელს მოაღინა ყბაშ ტაცი. „სუხები“.

ლუკაჲ ჭაჲა უმეგულეჲა.


მონაგარიშედ მსახურობდა
ხაპ-ტრესტში ლუკა,
დიდის წვა-დაგვით მოსდიოდა
მას პური, ლუკმა;



ჩაჭკირკიტებდა ჩოთქს და დავთარს,
ვია მიჯაქვეული,
და თვის ოციდან პურისათვის
სულ აკლდა ფული...
ერთი-ლა იყო ლუკას ხეედრის
შემმსუბუქები,
შორი იმედის სანატრელი
ტკბილი წუთები,
რომ წელიწადში თუთხმეტი დღე
ჰქონდა შეგებისა,
როცა შესწყვეტდა იგი ჩოთქზე
ჩხაკუნს ქეებისა...
ემზადებოდა ამ დღისათვის
ო, რა რიგ ლუკა!
თითქმის შთელ თვით წინ თნევით ყელშ-
სდგებოდა ლუკმა,
მომხდარა ისიც, რომ წყლის წვეთიც
ჰკეტდა სასულეს!...
რა აჩქარებდა, მე არ ვიცი,
ასე ამ სულელს!...
განა, სუ ყველას ლუკასავით
ეჩქარებოდა?
იქ საექსპერტო კომისია
გვიან კრებოდა:
საათის ერთზე, ხშირად—ორზე,
ზოგჯერ — სამზედა...
რამდენჯერ „ყვინთში“ შერხეულა
ლუკა სკამზედა,
და იატაკზეც მოუღია ზოგჯერ
ბრაგვანი...
იქ შემოწმება კია, მაგრამ...
არის სხვაგვარი...
ბოლოს მოვიდა ლუკას ჯერიც
და ლუკას ხეედრი:




დიდხანს უზილა მას ეჭიმმა
ბეჭი თუ მკერდი,
რალაც ანიშნა მან სხვა ეჭიმს
და გადუგზავნა,



ამნაც სინჯა, მაგრამ სიტყვით
არ გაუმუღაუნა,
ისე მისჩხრიკეს და მოსჩხრიკეს
რალაც ქალაღზე,
როცა მოსთელეს და მოჰქანცეს
მათ ლუკა ძალზე....



უკვე თოთხმეტში დაიწერა
შეების ქალაქი.
ხვალ, თუთხმეტიდან, დაეთარო და
ჩოთქო, ნახვამდი...
მაგრამ... ეს მაგრამ სალაროა,
სხვა გვარად—„ქასა“,
რომ სდგენარ „კულში“ და წინ გიდგას
ხალხის ზღვა—მასა...
ბოლოს როგორმე მიადგები
სალაროს კარსა,
მაგრამ, თუ ფული შიგ არ „ქყავის“,
არც გავცემს ხმასა...
ასე ერთ კვირას, ათ დღეს თუ მეტს,
ეთრია ლუკა....



ბოლოს მოლარემ ხვედრი ფული
„გადმოუჭუჭკა“....




ახლა ქალაქში ეცა „მუშკოპს“,
„ზაკტოს“, ბოცსა...
„სადაჩოთ“ ტანს ხომ რამე უნდა:
მიეცე—მოეცეა!...
ერთი ორი დღე თუ სამი დღეც
ამას შესწირა...
ახლა სამეზავრო ბილეთისთვის
სადგურს შესტირა...
ჯერ მან ამისთვის იქ ქალაქის
სადგურს უარა
და, ორიოდ დღემ ასე უქმად
რომ ჩაუარა,
ეცა ვოკზალს და ბარგით, ბარხნით
მიდის იერიშს!

ულონოდ ბილეთი იგდოს, თორემ
გულში არ გრძნობს შიშს!...
და მართლაც ბოლოს მიატანა
საბილეთემდე...
— ხურდა არა მაქვს—სწუხს მოლარე:
— ჩემს სინდისს ენდე!..
და შეირჩინა მან ლუკასგან
ორი აბაზი!
მაგრამ ბილეთით ხელში ლუკა
არ სწუხს აბაზე;
მას სხვა დაეცა გულში—ლახვრად
და თავში—მეხად,
მზად იყო კლდეზეც დარღისაგან
გადსარჩენად:



კელის კალენდარს გამოსხმოდა
უკვე ოცდარვა!
ფული რომ იყვეს, შეიძლება
მისი მოპარვა,
მაგრამ დღე რომ დღეს ისე მისდევს
ვით ქანი—ქანებს?!
აქ ჩვენი ლუკაც სადგურიდან
ვზას ვადღუგანებს,
და სამსახურში კვლავ ცხადდება
ის ოცდა ცხრაში!



ჩოთქსაც იამა და ზედ ქვეზმაც
შემოპყრეს ტაში!...

როგორ იომა ტიტემ

— გამარჯობა, ტატე! საიდან მიიღიხარ?
 — ო! ვაგიმარჯოს, ჩემო დათო! აი, ავერ ვიყავი ქა-
 ლაქშია და, იცი, ჩხუბი იყო. ისეთა ჩხუბი, რომა, პა-პა-პა!
 ნამდვილი ვინას ვადა, აი!...
 — რა ჩხუბი, კაცო! რას რომაე! მართლა იყო?
 — ჩემმა მზემ, მაში მართლა! ფრანკუხი, ანგლინი
 და თათარიც ერია, აი! მერე არა მკითხავ, როგორი და-
 ვერიე! ჰე-ჰევი! სულ ბღვირი ავაღინე მეც. მაში!
 — ტატე, მართალი თქვი გული ნუ გამიხეთქე, კაცო,
 თუ მართლა ჩხუბი იყო, მერე იციანი? რას იღრიკები?
 მითხარი რალა, სინამდვილე!

— მაში, კარგი. ყური მიგდე. გუშინ წინა, კაცო,
 სოფლიდან ქალაქში ვაგსწიეთ მე და ჩემმა დედა-კაცმა
 ცოტა რალაც საყიდელი მქონდა და საღამოს ისევე უნდა
 წამოვსულიყავით. ჩაველი საღვურზე თუ არა, იქვე
 კომპარტისკენ ვავეშურეთ საყიდლებზედა. მაგრამ ვე-
 დაე, კაცო, დაეტილია. მიკიტნებსაც დაეკეტათ და თავი-
 ანთ დუქნების წინ იდგნენ. ვეზდა, ჩემო დათუა, რომა
 რალაც ეს ხალხი ქუჩაში ვარბი-გამორბის, რალაც ფაცუ-
 რია ქუჩაში. დედაკაცი შეშინდა და მეკითხება: „კაცო, ე
 რა ამაზეია, რომა ეს ხალხი ფეთიანებივით ვარბი-გამორ-
 ბიანო?“... სიმაართლე ვითხრა მეც ავებენი. მიველი და
 ერთ ღობიან მიკიტანსა ვკითხე: „ერთი მითხარ, ვეთაყვა,
 რა ამაზეია ქალაქში, ხომ მშვიდობა არის მეთქი? იმან ე-
 თი გაიღრიკა, ხელი ზედ ცხვირთან მომაღო და ხრინწი-
 ნი ხმით დაიღრიკა: „ვაა! შენ გეცინა? თუ მთერალი
 ხარ? ხედავ, რომა, მტერი შემოგვესია და უნდა ამოგვე-
 ყვიროსო, ბოლშევიკები სადაც არიან გაიქცევიანო!“ —
 ერთი კი ფერი მეცვალა, მაგრამ თანაც ფეიქრობ: ბიჭოს,
 ეს როგორ მხსდებოდა, კაცო: გუშინ არათფერი არავის
 უთქვამს ჩხუბზედა და ესლა რომელი ჰაეროპლინით ჩა-
 მოვიდა-ეს მტერი ასე მალე მეთქი. ნაღდათ მატყუილებს
 ეს ქოფაკი, ვიფიქრე, არ დაუჯერე. ესე ვდგევარ და
 ერთბაშად ვილაცამ დაიყვირა: „არიჩა თავს უშვევით:
 მტერი მოვიდა, გაზს უშვებს, თავი შეიფარეთ სადმეო“...
 — კაცო! ნამდვილად სიხარაში ვარ მეთქი—ვამბობ—
 აქეთ-იქირ ვიშხირები, თვალებს ყურო მოხვერივით ვა-
 რიალბ და კაცი არსად ჩანს, ვის უნდა ვაეშვა გაზი, ვე-
 რა ვაეფიქე ჩემი ფეფელაც მოშვარდა და... თავს ვუშვე-
 ლოთ, ტატე, ვილბეებით... გაზი მოგვწამალავსო. მოვისხე-
 ნი ხელად ჩემი ხურჯინი, ცსტაც დედაკაცს ხელი, ჩაე-
 ყიდინე თავი ხურჯინის ვსტატეში, აქ ისუთიქე მეთქი,
 ვუთხარი: გაზი არ მოგვდებდა მეთქი; მეორეში კიდევ მე
 ჩავეყავი ცხვირი. ვდგევართ ასე და ველოდებით სიკე-
 დილსა. ვავიხედე, მორბიან ვილაცები, სულ ყვითლა-
 წითლად ჩაცმულები, ჯამის ოდენა თვალბიანი: არც
 ცხვირი აქეთ, არც პირი, არც თმა, არც ყურები... ვიფიქ-
 რე: ნამდვილათ ეს არის მტერი და მოვაშხადე, რაც უნდა
 იყო, ერთს მინც დავეყავე მეთქი. ერთი მომიხლოვდა
 თუ არა, რალაცას მანიშნებს ხელით. თქვი: „ნამდვილათ
 გაზი უნდა უნდა მესროლოს მეთქი!... თავი ხურჯინიდან
 ამოვიღე, სუნთქვა შევიკარგავექმიღ და ერთი მაგრა ჩაეარ
 ტყი თავში, მოვიდა მეორე, ზრუფში რალაც გიდელასა-
 ვით წამოვიკადა, იმასაც ერთი იმისთანა ავადე, რომა
 „ვაი“ დაიყვირა. სწორეთ რომ ვაეშველდი, გული მომე-
 ცა! ესლა მესამეს მივდექე, ერთი სიტყვით, დავერიე ყვე-
 ლას. აპა, პაა! რომელი ხარ ვაქვაცო, მოდიო, უთოფოთ
 დავიხეთქავთ მაგ ხარაბუხა თავებს მეთქი!... ფეფელაც
 მაქეზებს, არა: „დასცხე, ტატეჯან, დასცხე, მაგათ უნდათ
 ჩვენი ქუეხის დაქცევაო!... ერთი მომვარდა გვერდიდან
 და მიყვირის: „წაიქეცე, წაიქეცეო“—რას რომაე მეთქი,
 როგორ თუ წაიქეცე, სანამ სული მიდგანა, წაქცევა რას
 მიქვანი მეთქი და ერთი იმასაც მივყავო ლახათიანათ.
 ერდბაშათ ვავიხედლოთ, ეს ჩვენი მილიციონებიც არ
 მომესინე! შემომესხენ გარსა და მაკავებენ: „დადმე, და-
 დმე, გუყოფაო, — მეძახიან, — როგორ თუ დავდე —
 მუხუხები, განა, თქვენც მილაღატეთ, თქვე შერცხვენი-

გაღლი განდგილოცა

ანავისა ფოსტო,
 მთა-კორტონზე კობტო,
 სოფლით განდგილოცა
 შენი როგორ მოხდაო?!



— მიშველეთ, ფოსტაში მინდოდა ახელა ტარტარო-
 ზისთვის წერილი უნდა გამგზავნა და შუა გზიდან კი
 თავვევ დავგორდი...

— არა უშავს, ჩვენ სულ ვგორობთ, მაგრამ არ იქნა;
 ფოსტა იქიდან მინც ვერ „დავაგორეთ“, რომ იმ კორ-
 ტონიდან დაბლა, სოფელში ჩამოვტყანა...

ლებო მეთქი? ვლრიალკებ — დაიცა, შე ოჯახქორო, ნუ
 დავამტვრიო! — ერთი მომეარდა, აინახა თავზე ჩა-
 მოფხატული და მუფხნება: „ამხანაგო, ეს ჩვენა ვართ!
 მართლა არ გეგონოს, ესლა ჩვენ საცდელ ომს ვაკეთებთ,
 რომ ვინიცობაა, მტერი მოვიდეს, როგორ მოვიქცეთ, წინ-
 დაწინ უნდა ვიცოდეთ; მართლა არ გეგონოს: ესლა არც
 ვაზია და არც არავინ კვდებაო... სხვებიც ვარს შემომე-
 ხვიენ, ღვანან და იციანიან. შემრცხვა, ჩემო დათო, ისე,
 რომა გაზი რომ მომხვედნოდა, ის არ მანენდა, როგორც
 სირცხენილმა დამარეტიანა. მივხვტი ყველაფერს. მერემ
 გამახსენდა, რომ აკი შარშან ზაფხულში ჩვენ სოფელ-
 შიაც გააკეთეს მასეთი საცდელი ომი ახალგაზრდებმა, მე
 კი სულ არ გამახსენდა. წამოვედით მე და ფეფელო დარ-
 ცხვენილინი, ტყვილა შემომელახა ის ხალხი, მაგრამ ამ
 შეცდომას სულ იმ მტრებზე ვიყრი, თუ ცოდვა გაუწყრათ
 და ოდესმე რაზე მართლდაც ვაბედეს, მაში!...

— აი, ყოჩაღ, ჩემო ტატე. მაგ გეპატივება, როგორც
 ხუმრობა, მაგრამ, სამაგიეროთ, შემდეგში კი გამოვალ-
 გება!...

გაზი.

ანდაზის გაბითურება

კეჭარა ჯინაიში



ამბობენ: „ორი ჯურღლის მღვარი ერთსაც ვერ დაიჭრის“. მე კი ავერ მთელი სამი ჯურღელი მყავს გამოპირული და ვამბობ: „ნეტავი, მეთხეც იყვის-მეთქი!“...

ენახოთ ვასილ ჯინაშელი, ნულენობას მიყო ხელი, მცხოვრებლებს აღარ ასვენებს, მთაღ აიკლო ეს სოფელი. რაც რომ ქონდა, გაათავა ქეიფში ღროს ტარებაში, ყველას ლანძღავს, ვიც შეხედება, ღვინით მთვრალი გორავს გზაში. კომპერატეში ვნახე, რომ ვადაბტა იგი დახვლი, ნოქარს უთბრა: ღვინო მომე, თუ არ ვინდა მოგხედეს ყბაში! ხომ იცი, მე რა ხოში მაქვს, დღეს უნდა ვესა ამ დუქანში, ხანამ ორ სამ ბოთლს არ დავცლი, ისე აღარ ვაველ კარში. ნოქარმა, რომ იუარა, ვასო ეცა მარღათ წელში, გაიმართა ქილიაობა, ურთ-ერთს მისწვენდნ ხელით ყელში და ნოქარი მან როცა წასაქცევად მოიშვედია, ანას უყურებდა საიდრო, კალაძე და ვილოდია. ამით აღარა თავდება მისი საჭეე საფიზრონი, მიქაძის ქერისგ რომ მიუხტა, იყო მაშინ ალიონი მოტაცება დაუპარი, მაგრამ ვერ შეტება კარი, შემდეგ სხვაგან მიაშურა: სურდა დულეჩავას ქალი იქ შეზომლებმა გაუღვს, ასტებეს აურ-ზაურთ, ზოგი ქვას ეძებს ზოცეც სარს, შეიქმნა დიდი ხმაური... ასეთებს ის ხშირად სწადის, სურს ასე განელოს ფონია. ტარტაროზ, შენი ჩანგალი იმას დაჩლონგდა, ჰგონია. *)

სანა,

მეტროჭივი

(გაგრძელება, იხ. „ტარტაროზი“ № 160)

ბამოხვლა ს.

იგინივე, მიკიჩა, კეიელა; ფაცია, სონია და ბარბალე. (კეიელა მიდის გიგოსთან. ფაცია და სონია 1 და 2 ნოქრებთან. ბარბალე შორიდან უყურებს, თუ როდის მიაქცევენ ჯურღლებს ნოქრები. მიკიჩა საქონელს ათვლითერებს).

კეიელა: მითბარი, პაქალუსტა, რა ღირს პალეიაზეა? გიგო: ოთხი აბაზი, ბატონო! კეი: ვა, ასე ძვირათ, რატომ ჰყვით? გიგო: ხი, ხი, ხი! როგორა, ძვირია?! ძვირი კი არა, ეხლა ფასები დაკლებულა.

კეიელა: იი, დაკლებული კი არა, გადაკლებული, წახევარი კაბიკი გინდ დაეკლიათ, გინდ არა. ერთი მითხარი, შენ გაზღას, რამდენი მიაქვთ ხოლმე ერთ წყვილ „პალეიაზკიათეის“?!

გიგო: მე რა ვიცი, ზოგს გძელი მიაქვს და ზოგს მოკლე!

კეიელა: ვა, მაინც რამდენი დამჭირდება, არ უნდა იცოდეს პრაქაშოქმა?! გიგო: (იციანს) ხი, ხი, ხი! მე რა ვიცი, რამსოტე გინდა?

კეიელა: ხმა გაიქრე! მოქერი ერთი სამი მეტრი და ენახოთ: რაც გამოვა, გამოვა. (გიგო შედის, ფარდა გადაფარებულ მის ოთახში პალეიაზკის მოსაქრელათ).

ბარბალე: (მისწი-მისწევს სონიას და ფაციას და თქა თონ წინ წადგება) არა, ამ ბარიშნებს, რომ იკლოკურებო, მე აღარ მომხედეთ?

სონია: (ბარბალეს) უზრდელი!

ფაცია: ბრიყვი!

ბარბალე: ხმა გეიწვეიტეთ, თვარა იკოცლოს ბარბალემ, მე თქვენ დაგინაცოთ ცხვირები.

სონია: ვის დაუთაქავ, ვისა?!

ბარბალე: გაჩუმდი-თქვა, გელაპარაკები!

ფაცია: უსინდისო!

ბარბალე: (მივარდება და წვდება ორთავეს საყელიში). ვინ არის უსინდისო, ვინა?

სონია და ფაცია: გვიშველეთ, მილიტონდერ, მიღე კიონერ!

მიკიჩა: (ჩავარდება შუაში) ვა, ვა, ვა! კაკა რაქმა გაგონილა ქალების ჩხუბი?



ბარბალე: (მიიჩიას) შენ რაღას ეჩხირები, შე გაბე-
ჩილო, შე მიამუსო, შენა!

ნოქრები: მოითმინეთ, მოითმინეთ.

მიიჩია: (გაჯავრებული) ჰა, ჰა, თორემ ხომ არ
გინდა!

ბარბალე: რა მინდა, რა! ხმა გაიყმილე, თორემ მაც-
რუმბივით მუტელს ზედ შუაზე გავიფხრეწავ!

მიიჩია: ჰა, ეე! გაფხრეწაზე ნუ იქნება, თორემ ისე
ვაფხვნიწო, რომ ოროცმა პარტნოვმა ველარ გაეკროს!

ნოქრები: მოითმინეთ, აქ ჩხუბი არ შეიძლება.

კეკელა: (მოაჭრევინებს პადვიზკას და მიღის) უი,
ქა? ეს რა ყოფილა! მუხი კი დაეაყარე შენს ქალობას!

ბარბალე: რაიო, რაიო! შენც ენა ამოიღვი, შე ბოს-
ტნის საფრთხობელივ? ხმა გეიქრე და გეიარე, თვარა ისე
დაგამყავო, რაევიტ კაუხუტო!

კეკელა: უი, უი, უი! ქალებში გამოწყდი! შენ, ქა-
ლებში, აპა! უყურეთ ამ ქალა-ბიჭვას, რა აზბებშია!.. (მი-
ღის).

ბარბალე: (შეუბღვერს და ცოტა წაიწვეს) ხმა გეიქ-
რე-თქვა, გელაპარაკება! (კეკელა გავარდება, სონია და
ფაცია, რომლებიც აქამდე გულწასულნი ისხდნენ სკამზე
და ნოქრები აბრუნდნენ, მოაჭრევინებენ საქონელს და
გადიან) მომიჭერი ის ზოლიანი ჩითი!

1 ნოქ. რამდენი მეტრო, ბატონო!

ბარბალე: (ხმა მალდა) რეა, რეა! (ნოქარი უფო-
მაცს). უი, მუხი კი დაეაყარე თქვენს კომპრატინას! ერთი
მეტროს ყიდვა რაეა გავიჭირდათ, თქვე ცოდვის შეიღებ-
ბო! ემანდ ნაკლები არ იყოს, თვარა ცეტხლს წაგიკი-
დებთ.

1 ნოქარი: რა ექნათ, ბატონო, „რევიმ-ეკანომია“
არისო და მეტრო აღარ გევიდა გამგემ.

ბარბალე: მუხი თქვენც დაეაყარეთ და თქვენს ეკო-
ნომიასაც! მომეცი ჩქარა. (გამოართმებს).

მიიჩია: (მიმავალ ბარბალეს) ე, ე, ე! დედაკაცი
კი არა ნამდილი ტხსია, რადა, უფლის მალდმა!

ბარბალე: (მიიჩიას სიტყვებზე შემობრუნდება) რა-
იო, რაიო, რა ბრბანეთ?

მიიჩია: ე, ე, ე, ეა! ეა!!

ბარბალე: ეაი შენ და ქარცეცხლი!

მიიჩია: ეე, ეე, ცოტა ჰკვიანათ, თორემ გავაფრი-
ნე, აი...

ბარბალე: რას მიხამ, რასა, შე ტყლიპიანო შენა!
(დაეტაკება და გადის)

მიიჩია: (2 ნოქარს) მოიტა, ძმაო, მოიტა ეგ ჩითი,
ერთი შმედიობით წვიდე აქედან! ეგ დედაკაცი კი არა,
პულამეტრია მე და ჩემმა დებრთმა! ეა, როგორ გერმან-
ციი ზარბაზანივით დამეტაკა. (გადის).

გამოსვლა 6.

ნოქრები და ხუცესი.

ხუცესი: (შემოდის ძალზე გაჯავრებული. ხელში
მის მიერ წადებული საანაფორე უჭირავს) არა, ეს რა
არის! ავია კოოპერატივი?

ნოქრები: რაშია საქმე, მამაო?!

ხუცესი: რაშია და ამ ნოქარს ორი მეტრო აკლია..

ნოქრები: როგორ თუ აკლია!

ხუცესი: შევარცხვინე ასეთი კოოპერატივი! შე კა-
ცი, ერთი მეტრო რაეა ვერ უნდა იყიდოს დაწესებულე-
ბაში!

1 ნოქარი: რა ექნათ, ასტე ინება ჩვენმა გამგემ და
არ გევიდა მეტრო.

ხუცესი: ღმერთმა თქვენც შევარცხვინოთ და თქვე-
ნი გამგეც! არ მინდა თქვენი საქონელი, მომეცით ჩემი
მუსლი!

2 ნოქარი: სხვა რამე წაიღეთ, ბატონო, ჩეკი გამოა-
წერილია და უკან დაბრუნება აღარ შეიძლება.

ხუცესი: როგორ თუ არა შეიძლება! აპა, ავიც თქვენ
გჭირდეთ. (მოაგდებს ნაქერს) მე კი მოვნახავ ადგილს და
მასლეს გავაბიბთ. (მიღის) ეს ულაში კატის ბანალი
მყოს, თუ, საცხა თავი გაქვთ, იქნა ფეხები არ დაგაკე-
რვინო. (გაჯავრებული; კარებში ისეთი სიმძლავრით

დაეტაკება რუსტამას, რომ ორივენი წაიქცევა) ვაი, შენი
ოჯახი ამოაგდოს ღმერთმა, შე ღონდღულუო შენა!

რუსტამი: დონღულუო და შენა ხარ, ეშმაკი და შენა
ხარ! მულა, ჩოფოიოლი!

ხუცესი: ღმერთო, მისხენი მე ბოროტისაგან! არა
რა გინდა ჩემგან, ჩე ურჯულოვ?

რუსტამი: რა გინდა, რა გინდა! შენ რა გინდა, ქო-
ფოიოლი!

ხუცესი: (კარებში) წყაუღიმც. აყაი, შე ეშმაკიმ
კერძო შენა!

1 ნოქარი: ნუ გავერობ, რუსტამ, ნუ..

რუსტამი: (ჩაილაპარაკებს გაჯავრებული) მულა
ქოფოიოლი!

(2 ნოქარს), ბიუო, რა არის ეს?

2 ნოქარი: რა არის და ჩითია!

რუსტამი: ჩათი, ჩითი! მეც ვიხი, რომ ჩითია. მე შენთან
შუღი მეტრო უთხარი და შენ ოქსი მოყერი! შენთან ნა-
მუსი არ არის? შენთან სურსხული არ არის? სად არის
ხაზენი?

2 ნოქარი: ჩვენ ხაზენი არა გეყავს. ჩვენა გეყავს
გამგე.

რუსტამი: სულ ერთია ჩემთვის; რატომ მოყერი ოქ-
სი? ეშაქ ქოფოიოლი!

2 ნოქარი: ნუ ივინები-თქვა, გელაპარაკები!..

რუსტამი: ქოფაქ ქოფოიოლი!

1 ნოქ.: კიდი! —

რუსტამი: ზარმა! (ამ დროს შემოდინა: ფაცია, სონია
და კეკელა. კეკელა მიღის გიგოსთან).

გამოსვლა 7.

(ივინივ: ფაცია, სონია, და კეკელა)

ფაცია: (გაჯავრებული) ეს რა არის?!

სონია: ეს რა აზბავია! —

ნოქრები: რაშია, ბატონო, საქმე?!

ფაცია: (1 ნოქარს) ვაი საზომი კი გქონია, შენმა სი-
ცოცხლემ!

სონია: მოკლე მონახავს, მაგრამ აშნაირი მოკლე
მეტრო, თქვენ რომა გქონიათ, არ გამოვინა!..

1 ნოქარი: რაა მოკლე, ბატონო, გავაეგებინე!..

სონია: რა და მეტრო. ამას საში მეტრო აკლია. (არ-
ვენებს ნავაქრს).

1 ნოქ.: ალბათ, აშნიკაში თუ მოვედით!

ფაცია: აშნიკა! — რატომ სულ მოკლეა თქვენი მეტ-
რო, რა უჭირს, რომ ერთხელ ჩვენსკეაუც წამოგადეს
მეტრო?

რუსტამი: ბიუო, მე და მოკლე მომესი, შენთან სურ-
სხული არ არის?

ფაცია: სად არის გამგე?

2 ნოქარი: მოეა, ბატონო, მოეა!

რუსტამი: მოეა, მოეა, როდის მოეა! ქოფოიოლი!

სონია: (ფეხების ზრახუნით) გამგეს დაუძახე-თქმე!

← გამგეს! (ყვირილზე შემოდის გამგე).

გამგე: რა აზბავია, მოქალაქეო, რას ღელავთ!

სონია: რაეა რას ვღელავთ! ფული მიეცი, საქონე!

ლი მოეაჭრევენ და საში მეტრო დამაკლეს.

რუსტამი: ჩემთან და ერთი მეტრო მოპარეს. მე შუღ-
უთხარ, მაგან ოქსი მოგსა.

გამგე: (ნოქრებზე უჩვენებს) ამთ ქნეს ეს აზბავი!
სონია და ფაცია: დიახ, მაგათი.

გამგე: (თათარს) შენც მოკლე მოგცეს?

რუსტამი: მე სასულში ზავიდა, გაზომა და ველა, ერ-
თი მეტრო მოკლე მოვიდა.

გამგე: (კეკელას გიგოვს აჩვენებს) თქვენ ამ ნოქარ-
თან ივაქრეთ?

კეკელა: დიახ, ბატონო!

გამგე: არაფერი დაუკლია?

კეკელა: თვარა, არა. მე სწორედ ზომაზე მომცა, რაე
მინდოდა!

(დახასრული იქნება).

გოგია

შ ა ვ ი შ ე ა ლ უ რ ო ბ ა

საფრანგეთში მოახდინეს ცდები
დედაქალაქის გასაახალგაზრდადებ-
ლად.
(გაზეთებიდან).




— დედი ნუ გეშინია, მალე გაგაახალგაზრდადებენ, აი...
შაა, რაო? განა, მე ჯერ ბებერი ვარ, შე არამზადავ?!

„პ რ ი ო მ ი ა ლ ა“

ათი დღეა ვდგავარ ნარკომების კარზე.
მოლოდინში ბედის გაცეკარი ჯვარზე.
ყოველ დღით არის ოჩერედი დიდი,
ვერ იღირსებ ნახვას, თუ ბიჭი ხარ, მიდი.
კანდელაკი ვნახე (ვიქტორი რომ არი),
სთქვა: „მე არ მეხება, ნახე კომისარი!“
სამჯერ დავდებ რიგში კომისარის კართან;
მითხრეს: „არ ღებულაბ!“ ან გაშიშვებს მასთან.
დამეკარგა რწმენა, დამეღრიჯა სახე,
„უპრავდელმა მითხრა: „გურგენიძე ნახე!“
გურგენიძემ მითხრა: „ნახე შარიაში,
ეს მე არ მეხება, მისი საქმე არი!“
ერთი კვირის შემდეგ, ვნახე შარიაში,
სავარძელში იჯდა, მომაწოდა სკამი.
მომისმინა, მითხრა: „ნახე გაბრიელი,
მან გაგხალს იქნებ ბედის მადლიერი“...
თუმც არ იყო რაღი გაბრიელის კართან,
მაგრამ მანაც მითხრა: „წადი კომისართან!“

ადრე ავდებ დღით, როგორც კი ინათლა,
და დავდექი რიგში კომისარის კართან.
პირველ რიგში ვიდექ, ვით ბრინჯაოს ხეები,
და მოვიდა უკვე საათის თორმეტი.
ვფიქრობ: სადაც არის, გამოთენდეს უნდა,
მაგრამ ამ ღროს ახლოს ზარიც არაწყუნდა.
გამოვიდა ვიღაც ელპიტე თუ ქეთო
და სთქვა: „ნულარ იცდით: „დღეს პრიომა ნეტო!“
მეთე დღე არის, გამეფხიკა ჯიბე,
უხარგებლოდ ვტყებენ დერეფანი, კიბე...
ისევ რიგში დგანან კომისარის კართან:
ვანო, შავლი, პეტრე, ელპიტე და შართა...
კაბინეტში რეკავს ტელეფონის ზარი,
იძახიან უკვე: „მოლოდ კომისარი!“
სირველ რიგში მე ვარ, ვინ გამისწრებს მითხარ?
შევარდები ხელად, არავის არ ცითხავს...
მაგრამ ვაბ, თუ ბედმა გამწიროს და მავნოს,
და იმანაც სადმე სხვასთან გამაგზავნოს?!..
გოსული.

უმნიშვნელო დაბრკოლება



— დასწყევლოს ღმერთმა, თითქოს გამოცდებისათვის ყველაფერი უკვე მზად მქონდა: სურათი, მეტრიკა, ატესტატი, სიღარიბის მოწმობა... მხოლოდ ერთი-ღა დამავიწყდა...

— რა?
მომზადება...

ბასუსი ტარზანს

ვინოს ტარზანს ყველა იცნობს: მძლავრს, გულღვანს, ღონიერსა, უნ კი, მუშკორთ შესარცხვენათ, ყალბს უფრო შავს და ცბიერსა.

— რას ფიქრობდი, როცა სწორდი სასადილო „მალამოზედ“? როდის ნახე გარყენილება: დღით, ღამით თუ საღამოზე?!

— თქვენა სწერთ რომ, იქ არსებობს გარყენილი პროსტიტუცია? ამის მთქმელი და დამწერი ან ბრძევი, ან ტუტუცია!..

— ის, ვინც თერთსა შავით ხედავს, მუშებს არქმევს ბნელსა ძალებს, ეკვით უმზერს შრომის შვილებს, პათიოსან მუშა - ქალებს!..

— ამისათვის ბასუსს აგებ: შენ ცრუ ლექსზე ან დღეს ან ხვალ დღის სინათლის და სიმართლეს სად გაურბი, საით წახვალ?!

— საბუთები და კითხვები გვაცნევს; რაც არის ტარზანი, რაც იქ ხდება გამოჩნდება, მას კი სიყალბის თავზარის.

— რედაქციას, ვთხოვ, დანიშნოს გამოკვლევა უცბად, სწრაფად, რეზულტატი გამოქვეყნდეს ან პარასკევს ან და შაბათს!

კანტრალიორი გრიშა.

ბახმარო

ტარტაროზ, ტანად მსუქანი, ჩვენსავით არა-გამზამარო, — წელს მაინც ჩვენსკენ წამოდი, მიიწახსულე ბახმარო. ჩავლადარს მისცემ რვა მანეთს, შეგდებთ გამზმარ ცხენზედა; ბახვის-წყლის შირში დავგზდებით, ძღვენებს მოგართმევთ ძღვენზედა.

ცხენს ეძებს თვისი პატრონი, მოივლის არე-მარვას; მთებიდან მთებზე სირბილი ოფლს ასხამს ტანზე, ცხარვას. ცხენს წესი დაურთვევია (მერე-და გამზის ბოძანება!) ბალახს სძოვს შინდორს ტიალზე, არ ბეჭს ამისი რა ნება! მოლიციას და ტყის მცველებს ვინ შეედრება რიხშია! ცხენები დაუქერიათ, ჩაუმწყვედვიათ ჩიხშია. ხუთს მანეთი ჯარიმა არც ისე მცირე ფულია:

ერთი დღის ნამუშევარი ერთს წუთში დაკარგულია... „ჩემი რომ დავიჭერიათ, რად არ იჭირავთ სხვისაო“? საკვირველია: სხვაზე მეტს თუ ჩემი ცხენი სერისაო?!“ პასუხად ხელად მიიღებს: „ჩქარა ჩამოდი ფულიო, „თორემ სიმშობლით შენს ცხენსა „აქ ამოხდება სულიო“... ამ დროს კი ზოგი ცხენები იქვე ბალახს სძოვს მწყვანესა მზარამ ისინი სხვებსავით ჩიხში ვერ წაიყვანესა, — რადგან „ღიდ-კაცთა“ ცხენია, იქვე უფლებად და შანდატი (თავიდან ამ ბახმაროზე იყოს ასეთი ადათი). —

— მოლარე ქალმა არ იცის, ფულის დათვლა და მიღება (წარმოიღვინეთ: არ იცის სალარო როგორ იღება) ან ირ ვფიქრობთ სადმე „ღიდებში“ არ ჰყავდეს. მას პროტექცია,

თორემ ასეთებს არ გზანენს უმუშევართა სექცია. ეხლა, ფოსტას თუ იკითხავ, ქე ამოაქეთ მზიან დარში, მხოლოდ ვახეთს უმთავრესად აგროვებენ ვაკი-ჯვარში. წან, ფოსტასთან საღამო-ჟამს, სუყოველთვის „მიტინგია“. ნემსის წვერსაც ვერ ჩაავდებ ვერ თუ შერგო შიგ დინგია! იძახიან ყველა გვარებს, დაუღლიათ ყველა ხახა, და ზოგიერთ „უწინა გვარზე“ ხალხში ისმის: „ხა-ხა-ხა-ხა!“ და აქარეებს ამ დროს მრავალს: „ოტკა“, ხაში თუ ნიორი... ფოსტალიონს ვერ უდრება გამაჯილი უხვგლიორი; ვეარს კითხულობს და წერილებს მტრედებსავით აფერხს ცაში... (ვინც მიიღებს წერილს ან ფულს, მობადულოს უნდა ქაში!).

წიწმბერი

სიზმრის ახსნა

ტოპანიარის თამისათვის (კუთ. მაზრა)

1. სიზმარში წარმოკავშირში კარგი ვაჭრობა ნახო, —ნიშნავს: მეორე დღეს დაკეტილი იქნება, და თუ ღიაც იქნა, ხასიათმა თუ არ მისცა ნოჭარს—ნიასარიძეს, ვერ მიიღებთ სიმინდს, დარიგება თუ დაიწყო და რაიმე პატარა ეწყინა, ხალხს დასტოვებს, დარიგებას შესწყვეტს ნაჯოხით ხელში წითელ სასაიდლოსკენ წაყავს. თუ კარგი ნაჯოხი იქნება, შეგიძლიათ დაუცადოთ, თორემ მისი მუშაობის დაწყებამდე გული წაგივიათ სიმშილით.

2. სიზმარში ნახათ—ტოპანიარში დიდი ბაზრობა იყოს, ნიშნავს: ნახათ მეორე დღეს ხსენებულ ნოჭარს ნიასარიძეს ხალხი ბუზივით დაედევნება პოტირალბივით და დაუწყებს კითხვას: როდის მოგვეცემთ პარკის ფულს? როდის დარიგებთ სიმინდს და სხვა. პასუხს მიიღებთ:... მაშაო, ბაბა, ჯერ დრო არა მაქვს, თქვენ ასე ხარ და მე ერთი, ნუ შემქამთ!—ო.

3. სიზმარში რომ ექიმი ნახოთ, ნიშნავს: მეორე დღეს წარმოში იქნებით აბრეშულის ფულის ან სიმინდის მისაღებათ, მუშაობის დროს ნოჭარ ნიასარიძეს თავი აუტკივდება, წარმოკავშირიც დაიკეტება და გეტყვით: „ვერ გაუძეულ, ბაბა, თავი შეტკინა, წადით სახლებში და ხელ მოღიეთ“.

ცომალი.

ცნობათა მიღება

ნიმარულ მიმხრანბს

შე კაი კაცო, ჩემბერლენს რომ ეპოტინებთ, ალბათ, ჯერ ღიხის გვირაბსაც არ გამოსცალდებიხართ. ან ეს ჩენნი აზრი სწორია თქვენზე, ან მართლაც რომ ემიგრანტი ხართ. იქნება ინგლისური ენაც მშვენიერად იცით, ფრანგულზეც თავისუფლად ლაპარაკობთ, იტალიანურზეც, ესპანურზეც და ვინ იცის, კიდევ—რამდენზე. მხოლოდ ქართულ ენაში თუ მოკოკლებთ ცოტას, როგორც „ემიგრანტი“.

„პ ი ბ ა“-ს

შაღდადის მეკარტეთა შესახებ ჩვენ უკვე მოვათავსეთ ამას წინად. თქვენს ლექსში არის ახალი პიროვნებანი, მაგრამ საჯანი მინც ძველი რჩება, ისე, როგორც თქვენს ლექსში ხოლმე:

„სამსონაც მას თანაუგრძნობს, ეს პარტიული „ძველია“, დღე და დამ კარტის თამაშით ჯიბე გაუხდათ სქელია“—ო.

და შემდეგ ეს ჯიბის გასქელება მშვენიერად გაქვთ დახატული:

„კარტი მანეთად იყიდეს, მოიჯერეს იმით გული, თავნი ფული გასწორეს, კარტი დარჩათ მოგებულნი“—ო.

მაგრამ, აგანა, მარტო ეს? ჩვენს ყურადღებას აღარ ანგარიშობთ?!

ჩი—ჩი“ს

ოთხ გვერდზე რომ გაგიჟიშავთ თქვენი „დარბოზ შარადა“, არ იქნა, ვერ მივა-ჩიჩი-თ თეატრის დასამხარადა!.

შ ა ლ დ უ რ ს

თქვენი მესტიერული კარგია, მაგრამ ნამეტანი გრძელი. მასში მოხსენიებული ამბები ისე სჩანან, ბორნის თოკზე რომ ქინძის მარცვლები აცევათ. სწორეთ მოკლეთ და მკაფიოთ, მაგალითად, თქვენ რომ გიწერათ თქვენს მესტიერულში:

„ვერ ჩვენ შვედიო ქველამი, ქე რომ ვუძახით მაგიდას, მისამართების გაგება, ან თუ სხვა რამე მაგინდათ“—ო.

აქ, როგორც ხედავთ მართლაც ყველაფერი მოკლე და მკაფიოთ არის მოკრილი, სიტყვებიც ალბასივით მოკვეთილებია.

ალა-ალა-ს

ტბახმელას სადგურის ყოფილ ექიმის შესახებ ვწერთ ასე:

„ერთ დროს ამ სადგურში იყო ვინმე ვვან თევზიფი, ეს სადგური მისთვის იყო საღებავი „პაწა“ კევი“—ო.

მაგრამ „მღეპელი“ კბილი მანც მოუცევეთია „საღებავ“ კევის. ახლა თუ თევზიფი შორიდან ინტრიგას ეშვევა, ავიღებდით და მოგვერდით გარკვევით, თუ რაში იხატება ეს მისი ინტრიგა. ასე „ზეპიროთ“ წერაც არ შეიძლება.

კ ა შ ს

უბრალო „ტარტაროზი“-ს № 165-ში, გვერდი 5, მოთავსებული ლექსი, სათაურით: „სოფ. დედაბუე, ოზ. მაზრა“, „კატი“-ს ხელმოწერით, არ ტბება მოქ. მოქ. შალვა გენძე-ხაძეს, ალექსი ცხომელიძეს, რისიმე ყაზანიშვილს, თინა, გუგული და ტანია ღლონტებს.

ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენ იუმკორთა ვინაობას არაუვის არ ვუმხელთ?! ვისაც სადაო აქვს რამე, ჩვენთან იღაოს.

ტარტაროზის რედაქცია.


„გრძელი“ და „მოკლე“



— რა ცუდი მოსახმარია ამ ქარში ეს „გრძელი“ ყაბა!...

— აბა, ქა, ავერ ეს ჩემი შლაპაც... ისედაც მოკლე „პოლიები“! ჭკონდა და ქარმა სულ მიმინგრ-მომიგრია! სწორედ რომ არ ვამოხვებულა უცხს ამ ქარში...


მწაგე გამოსდილებიდან



— მამილო, ა, მამილო, რა არის ეს უქსი“? —
 — მისი უძრავი ძონივითა საფხარტველოა, ვვილო რასაც იმ უვიტან, უმადო იმ უკვი
 ძვემის დარღვევამდე სულ უძრავითა მძვსი..

მეგობრობა

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს



— „მსუბუქი არტილერია“-ო, გაიძახინა და დიდგონ საბაბო ავტომობილებით უი
 მთავარი მთელი ქალაქი.
 — რას ამბობ? რის „მსუბუქი“-ა რაც „დ ედამეფის დამამეფებელი“-სოჯად ესანი
 არიან, აი!...

ჭრიჭინების სუზონი ანუ „ფაქტი“ და „კაქტი“

„ყველა გზას, რომში მივყევართა“—იტყოდენ ძველად...

ახლა კი არც ერთი პარტიისანი, ცოტად თუ ბევრად მრდილობიანი კაცი ცხვირსაც არ იზამს რომისაკენ. იქიდან კი მხოლოდ ფაშისტური გზები მოემართებიან ყოველი მხრიდან და ისიც მხოლოდ ვარშავამდე.

ასეა სუზონისა და მოდის საქმეც.

ყველა მოდა პარიზიდან მოდის და, მაშასადამე, ყველ „სეზონს“ პარიზში მივყევართ. სეზონი და პარიზი ისე არიან გადაბმული ერთმანეთს, როგორც ომი და პუანკარე ანუ კიდევ — პილსუდსკი და ვილნო, გინდ, — ჩემბერლენი და „ერთა ლიგა“.

მეტყვიან: ეს ხომ მხოლოდ შლიაბას შეეგება“—ღ; შლიაბა დიხს, შლიაბა ვასლავთ ყველაფრის გვირგვინი! თუ ადამიანი ბუნების და ცხოვრების გვირგვინია, შლიაბაც და საერთოდ თავსარქველი ადამიანის გვირგვინი გახლავთ.

ეს უღაოა.

ამიტომაც არის რომ ყველა „სეზონს“ ბოლოს და ბოლოს მართლაც პარიზში მივყევართ. უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა: „პარიზისაკენ“, რადგან დაპარიზენი ქალაქები, როგორცაა: ენევა, ვერსალი თუ სხვა ისეა „მიკრობი“—ილი პარიზე, როგორც სოკო—დამპალ ხეზე.

სეზონი არც ჩვენთვის არის უცნობი ხილი. ამჟამად მგალითად, ჩვენში თავდება აგარაკების სეზონი. ზაფხულის განმავლობაში ქარხნებისა თუ დაწესებულებათა დროებით შეთხველებული შტატები ისევე იცვება. წარმოება მღიერდება. მუშაობა ყაირათიანდება. დროებით მითვლემილ-მიზნედილი ენერგია ყველაფერში ისევე ცხოვრდება, მძაფრდება და ფხიანდება. პაერში მტვერი და მური კლებულობს. ცოტათი ობი და მქვარტლი კი უმატებს ქირვეულობას, აგერ შემოდგომის ბოლოდან, მაგრამ ეს არაფერია. სამაგიეროდ, აბლაბუდების ხანაც მაღე გაივლის ანუ, უკეთ რომა ესთქვათ,—ის უკვე განვლილი სასლგებისა და ბინებისათვის მაინც. ახლა ობდება უფრო გარეთ, მზის ყურზე აბამს თავის ვერცხლის ფერ ქსელს, თითქოს უნდა ის შეახარბოს შორიდან ცინ ლურჯ იალღზე ნებივრად, გაყოლილ ცეცხლივან ოქროს ვერცხლს. უნდა კიდევ ობობას, რომ სადმე შემოგვიანებული ბუზი თუ რომელიმე სხვა ალქატი მწერი მარქცად მაინც აცდუნოს და შეიტყუოს თავისი ხანფანგის „გავლენის სფეროში“, თარემ, ხუმრობა საქმე როდია შემდეგ გაზაფხულამდის მარხულობა!..

და ობობაც ოსტატურად აბამს სუფთა პაერზე, ღობე-ყორებესა, ხის ტრეტებსა თუ ჩალა-ღერწყამთა შორის თავის ვლვარდ ძაფებში!..

შორიდან მაყურებელ მწერებს ხიბლავს ხოლმე ემძაფების ვლვარება და იტაცებს მათ თავისკენ.

საკვირეელია, რომ ობობებსაც აქვთ ხოლმე თავიანთი სეზონები: „სომინაო“ და „სავარეო“.

მაგრამ რალა ობობების ქცევა გაიკვირვო? მწერთა შორის ობობა თითქმის ყველაზე უფრო გრძნეული, ან გარიშიანი, შედარებით ცოტა ხარჯით თავის გამბანი პრსია.

აი, კრიჭინები!..

ამათზე უფრო სულელი, ცეტი და თავფქვილა ხალხი, მგონი, ესპანიაშიც კი ძნელი აღმოპაჩენია არა თუ იტალიის ზოგ კუნჭულებში ან კიდევ — პარიზის სალუნებსა თუ შანტანებში.

მიუხედავად ამისა, კრიჭინებსაც აქვთ ხოლმე თავიანთი სეზონი.

აი, ხენა-თესვა, რომ არის გახურებული, ან კიდევ ყვავილების ცვევნა და ნაყოფთა დასხმა, მაშინ კრიჭინები სღუმან.

რატომ?

ისინი ხომ ყველას სულელ, ცეტი და უთაო ხალხთა მიაჩნა?.. მე კი ასე მგონია, რომ კრიჭინები ძალბონ ტყვანები არიან. ხენა-თესვის დროს რომ ხამურდენ, ვაი თუ რომელიმე უხარო ვლგხმა უტყბათ ხელი მიავლე მოავლოს და ყველას უღლებში უტყბათ თავები!.. მიდი მერე და ასეთ გლგხს უმტყციე, რომ შენ კრიჭინა ხარ და არა ხარი, და, რომ შენი საქმეა: მინდვრად ხტუნაობა, ხოლო ხის ტრეტებზე კ, რიჭინა“ და არა ხენა-თესვა!..

ზაფხულში, განსაკუთრებით ზაფხულის მიწურულში, როცა ბაღსა თუ ტყეში, ნახნავსა თუ ნაბარავში, მინდვრათ თუ ეზობებში ყველაფერი ზაფხულის პირაში დასხმულ ნაყოფებს მოყვითალოდ თუ მოწითალოდ იღებავს ხოლმე და იმდიდრ - იმწიფებს, უღელში შებამის შიში უკვე თავიდან ამორებულია და კრიჭინებს, ასე ესთქვათ, თვალები ებრიცებათ ბუნების ამ უხვების კალთის ბერტყაზე და ისინიც მოპყვებიან დაუსრულებელ „მრავალეამიერს“. ზის თავისთვის მაღალი ხის გრძელი ტრტის თითქმის ზე კაკალ წვერზე, რომელიმე კანკებდაგებებული, ფუქსაეტი კრიჭინებელა, გადაპყურებს ირავლივ ხეებსა, ბუჩქებსა თუ ქირახულზე დავსილადალდეუებულ „ნაყოფთ, ყველაფერი ეს თავისი ჰგონია დაწყვის, „აწიფებს“ სტვის ისე უღლებთ მოვლილ-მოყვანილ ნაყოფს!.. ისეთი გაბმული ყრიაშული აქვს ატეხილი, რომ მასთან შედარებით ანდრია სალოსის დღმილს ჰვავს აღირიდელ ქუთათურ თავად-ანხანურთა კუდაბნიკან შეიღების მაქროს შემოსვლაზე აყოლებული დაბწნილ „პარალალ-ვარალალო“!..

